ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი 19-25 იანვარი, 2009 №3 (3496) ფასი 1 ლარი




## მსოფლიოს ჩემპიონი დინამოში!

## ფიფამ პოლ კესანი ისრაელში გაუშვა

პოლ კესანიმ თამაშის უფლება მიიღო! გეცოდინებათ, „ზესტაფონის“ გაბონელმა ლეგიონერმა რამდენიმე თვის წინ თვითნებურად დატოვა ქართული კლუბი და რასიზმის ბრალდებით კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა. საქმე ფიფამდე მივიდა, სადაც იმერულმა კლუბმაც გააგზავნა საჩივარი და კესანის დასჯა მოითხოვა. ერთი ხანობა კესანი ისრაელის „ჰაპოელ შმონაში“ ვარჯიშობდა, მერე იქაურობა დატოვა და ფიფას გადაწყვეტილებას ელოდა, ახლა კი გაირკვა, რომ მას თამაშის უფლება მიეცა. ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გამოუგზავნა ფაქსი, სადაც წერია, რომ სანამ პოლ კესანის ფინანსური სასჯელის ზომა-წონას გაარკვევს და ამით „ზესტაფონის“ სარჩელს დააკმაყოფილებს, მანამდე გაბონელ ფეხბურთელს დროებით საერთაშორისო სერთიფიკატს მისცემს. მოკლედ, კესანის უკვე შეუძლია „ჰაპოელ შმონაში“ თამაში და, როგორც შევიტყვეთ, მისი დებიუტი 24 იანვარს „ბნეი სახნინთან“ შედგება.

თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოს ჩემპიონატში ასეთი შთამბეჭდავი კარიერის მქონე ფეხბურთელი არ ჩამოსულა: კი, ავსტრალიელ ნედ ზელიჩს თავის დროზე ჩემპიონთა ლიგის მომგებ „დორტმუნდში“ უთამაშია, მაგრამ „დინამოში“ ჩამოსვლისას 35 წლის იყო. აი, არგენტინელი მარცხენაფლანგელი გონსალო მარკოს ჩარასი კი ჯერ 25 წლისაა და ორი მატჩი ჩაუტარებია არგენტინის ნაკრებში... უფრო ვრცლად კი, ჩარასი 1983 წლის 13 მაისს (თარიღი როგორ მოგწონთ?) დაიბადა როსარიოში, მისი პირველი კლუბი „როსარიო“ იყო, მერე „ველეს სარსფილდი“, „კილმესი“ (არგენტინა), სოფიის ცსკა, ამერიკული „დალასი“ და ბრაზილიური „სოსიალი“, „კაბონკრიენსე“ და „ვასკო და გამა“. „დინამოში“ მყოფ არგენტინელს ქვეყნის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშევი, 2002 წლის მუნდიალის წინ კი ნაკრების გაფართოებულ სიაში იყო. პო, ჩარასმა მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგო ურუგვაიში...

## ელვირა თოდუა: მე ქართული კი არა, მეგრული გვარი მაქვს




## რუსეთი სამხრეთ ოსეთს საქართველოსთვის ჭკუის სწავლებაში დაეხმარა

# დილემა

## ასათიანი და კალაძე პრობლემებმა შეაწუხეს



მალხაზ ასათიანი და კახა კალაძე

პრობლემებმა შეაწუხა საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი ლიდერი — მალხაზ ასათიანი და კახა კალაძე.

ასათიანს კიევის „დინამოსთან“ იჯარა დაუმთავრდა, თუმცა მოსკოვის „ლოკომოტივში“ დაბრუნებას აღარ აპირებს და ახალი გუნდის ძიებაშია.

რკინიგზელთა თავკაცმა რაშიდ რახიმოვმა უკვე საჯაროდაც თქვა, ასათიანის ადგილი ჩემს გუნდში არ არისო, რასაც კლუბის პრეზიდენტმა ნიკოლაი ნაუმოვმა თავისი სიტყვაც მიუმატა — ასათიანს კონტრაქტს გავუწყვეტთ და თავისუფალი აგენტის სტატუსს მივცემთ, ოღონდ კომპენსაცია არ მოგვთხოვოსო.

ამას ქართველი ფეხბურთელი არ თანხმდება და გუნდისგან ან ახალი ვარიანტის მოძებნას ითხოვს, ან ვარჯიშის უფლებას.

მოკლედ, ამ საკითხში მხარეები ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან.

სხვა სახის პრობლემა აქვს კალაძეს. „მილანის“ მცველს თავი ძველმა ტრავმამ შეახსენა და დიდი შანსია, ოპერაცია დასჭირდეს, რაც, ფაქტობრივად, სეზონის დასრულებას ნიშნავს.

ვნახოთ, რას ეტყვიან კალაძეს ბელგიაში, სადაც ის გამოსაკვლევად ჩავიდა ცნობილ ექიმ მარკ მარტენსთან.



## რატომ გაუშვეს სოფო შაფათავა ავსტრალიაში?!

## სარბიელელები გილოცავთ ნათლისღებას!

# გია გრიგალავა? გაზეთიდან ვიცი

## შესაძლოა, დაფინანსება გაიზარდოს



სარბიელის არქივიდან

ექტორ რაულ კუპერი ორშაბათს, 19 იანვარს ჩამოვიდა თბილისში — ათიოდ დღეში არგენტინელი საირლანდიოდ ნაკრების შემადგენლობას დაასახელებს. შეიძლება ითქვას, საფეხბურთო საქართველოსთვის სეზონი სწორედ 11 თებერვალს იწყება, მანამდე კი...

მოდით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ უჩა უგულავასგან გავიგოთ, რა სიახლეებია.

კახა ცხადაძე, პეტარ სეგრტი, გია გრიგალავა, ამხანაგური მატჩები და რა თქმა უნდა, ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა — უგულავას რამდენიმე საკითხზე ვესაუბრეთ...

— ირლანდიასთან მატჩამდე თვეზე ნაკლები დარჩა. როდის ჩავა ნაკრები დუბლინში და სად მოემზადება?

— რადგან 11 თებერვალი ფიფას სარეზერვო დღეა, ირლანდიაში, არაუმეტეს, სამი დღით ადრე ჩავალთ. ასეთია წესი. ასე რომ, დუბლინში ნაკრები 8 თებერვალს ჩაფრინდება, თუმც სავარაუდოდ, ერთი კვირით ადრე მოხდება ნაკრების შეკრება: ეს შესაძლებლობის ფარგლებში, რადგან ზოგიერთი კლუბი მაგ დროს შეიძლება უცხოურ შეკრებაზე იყოს, ან თვითონ კლუბმა ერთი კვირით ადრე არ გაათავისუფლოს ფეხბურთელები.

— კუპერი ნაცად „სამშაბათობას" გამართავს დუბლინურ მატჩამდე?

— დიახ. ოღონდ ზუსტად როდის იქნება ეს, ვერ გეტყვით.

— რამდენადაც ვიცით, სექტემბრის დასაწყისისთვის ამხანაგური მატჩის გასამართად იაპონიასთან აწარმოებთ მოლაპარაკებას. ხომ არ გადაწყვეტილა საბოლოოდ?

— ჯერჯერობით, არა. ამხანაგურებისთვის თავისუფალი დღეები სექტემბერშიც გვაქვს, ივნისშიც და აგვისტოშიც. რამდენიმე ქვეყანასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება.

— რომელ ნაკრებებზეა ლაპარაკი?

— ამ ეტაპზე კონკრეტულად ძნელია ლაპარაკი. ჯერ მოლაპარაკებების საწყის სტადიაში ვართ. მარტში კოპენჰაგენში ფიფას კონგრესი გაიმართება და იქ უფრო ადვილად იქნება ამხანაგურების დაგეგმვა.

— ფედერაციის ფინანსურ მდგომარეობაზეც ვთქვათ...

— სახელმწიფოსგან დაფინანსებას ვიღებთ. მართალია, ეს თანხა შემცირდა, მაგრამ საგანგაშო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. შესაძლოა, დაფინანსება ისევ გაიზარდოს.

— ცნობილია, რომ ფედერაცია კუპერთან კონტრაქტის გაგრძელებაზე ფიქრობს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე. რას იტყვით?

— თავისთავად, როცა მწვრთნელით კმაყოფილი ხარ, მასთან კონტრაქტის გაგრძელებაზეც იფიქრებ, თუმცა კონკრეტული საუბარი არ გვქონია.

— თვითონ კუპერს თუ გამოუთქვამს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი?

— ვერ გეტყვით, ჯერ არ ყოფილა ამაზე ლაპარაკი.

— ფედერაციის აღმასკომის სხდომა, სადაც 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი უნდა დაამტკიცოთ, როდის გაიმართება?

— თებერვლის დასაწყისში.

— კახა ცხადაძის გარდა, თუ არის 21-წლამდელთა თავკაცის კანდიდატურა?

— რამდენადაც ვიცი, არა.

— პეტარ სეგრტი ჯერჯერობით კვლავაც ნაკრებების ტექნიკური დირექტორია. როდის გაირკვევა მისი ამ პოსტზე დარჩენა-არდარჩენის საკითხი?

— სეგრტს კონტრაქტის თაობაზე უნდა ველაპარაკოთ. როდესაც ჩამოვა, ყველაფერი გაირკვევა. წასვლის შემთხვევაში ვერ გეტყვით, ვინ შეცვლის მას, კონკრეტული პიროვნება არ გვყავს შერჩეული.

— დაბოლოს: რუსეთის მოქალაქე გია გრიგალავას, რომელიც ახლახან „აიაქსში" ისინჯებოდა, საქართველოს ნაკრებში თამაში სურს. ხშირია პრაქტიკა, როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქეს რამდენიმე წუთით ადრე მაინც ათამაშებენ ნაკრებში, რათა თავისიანად დაიგულონ. ასე მოხდა ადრე მეკარე დავით ხმელიძის შემთხვევაში. რატომ არ ექცევა გრიგალავას ყურადღება?

— ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. სიმართლე გითხრათ, გაზეთებიდან გავიგე გრიგალავას ამბავი.

**ილია ნანობაშვილი**

# კაუნასს აკაკი არ ეყო

„კაუნასმა" ამხანაგურ მატჩში 1:2 წააგო ლიტვურ „ტაურასთან" და სამივე ქართველმა — ნუკრი მანჩხავამ, გივი კვარაცხელიამ და აკაკი ხუბუტიამ თითო ტაიმი ითამაშეს.

კაუნასელთა ერთადერთი გოლი ხუბუტიამ გაიტანა: კვარაცხელიას დარტყმული ბურთი მეკარეს ხელიდან გაუვარდა და 22 წლის მცველმა დაამატა.







გია გეგუჩაძე და „ზესტაფონის" ხუთი ახალწვეული

# ზესტაფონმა ხუთი თქვა და კიდევ იტყვის...

**საქართველოში** საკლუბო ფეხბურთი, რბილად რომ ვთქვათ, სულს ღაფავს და იშვიათადაა, როცა რომელიმე კლუბი ოფიციალურად წარუდგენს ჟურნალისტებს ახალწვეულ ფეხბურთელებს. ასეთი მარტივი, მაგრამ საჭირო ღონისძიებისთვის ბევრს არ სცხელა...

მოგეხსენებათ, „ზესტაფონს" ცოტა ხნის წინ გია გეგუჩაძე ჩაუდგა სათავეში და იმერული კლუბის პირველი პრეზენტაციის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ცხადია, ის იყო.

გეგუჩაძესთან ერთად პრეზენტაციაზე იყვნენ კლუბის პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძე და კლუბის იურისტი ნიკა არსენიშვილი.

„ზესტაფონის" თავკაცმა ეს თქვა: „გვინდა, რომ ჩვენს გუნდში ყველაფერი გამჭვირვალე იყოს და საზოგადოებას რეგულარულად გავაცნოთ კლუბში არსებული სიახლეები. დღეს „ზესტაფონის" ხუთ ახალ ფეხბურთელს გაგაცნობთ. თუმც სანამ ამას გავაკეთებთ, თურქულ შეკრებაზე გეტყვით. სიდეში 29 ფეხბურთელი მიგვყავს. იქ 6 თამაში გვაქვს დაგეგმილი — უკვე ოთხი მეტოქე ცნობილია: „კუბანი", ზარია", „კრივბასი" და „ვორსკლა", ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს „სტიაუასთან" და „ბანიკთან".

დადგა ფეხბურთელთა წარდგენის დროც. ნომრიანი მაისურები ახალწვეულებს იურისტმა ნიკა არსენიშვილმა ჩამოურიგა. მეკარე ზურაბ მამალაძეს 12-ნომრიანი მაისური ერგო, მასთან „ზესტაფონმა" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

3-წლიანი კონტრაქტი და 20-ნომრიანი მაისურა ხვდა წილად მიხეილ კაკალაძეს.

გაცილებით საინტერესო ტრანსფერი, რა თქმა უნდა, შოთა გრიგალაშვილია — „დინამოს" ყოფილმა ნ[illegible]ელმა „ზესტაფონთან" სამწლინახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა. „გრიგალა" 19 ნომერი იქნება.

15 ნომერი ერგო ახალგაზრდა გიორგი კაჭკაჭიშვილს, რომელიც თბილისის „დინამო 2"-ში ირიცხებოდა — ის იმერულ კლუბში სამი წლით დარჩება.

მეხუთე ფეხბურთელი ლევან მელქაძეა, იგი 22 ნომერი იქნება, „ზესტაფონში" ამ სეზონის დასრულებამდე ითამაშებს და, როგორც ითქვა, არ არის გამორიცხული, კონტრაქტი კიდევ გააგრძელოს.

ახალწვეულების გარდა ხელშეკრულებები გაუხანგრძლივდათ ჩვენი ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძეს (სეზონის ბოლომდე), ირაკლი ძარიას და მურთაზ დაუშვილს (სამ-სამი წლით).

გუნდს თურქეთში მიჰყვებიან „მერის" ფეხბურთელები გიორგი ელბაქიძე და ბესიკ ჩიმაკაძეც, მათი წასვლა-დარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ფეხბურთელთა სათურქეთო სია ასეთია: *რომან კვახაძე, ზურაბ მამალაძე, გიორგი ძამია, უჩა ლობჟანიძე, კარენ მაკარიანი, სევასტი თოდუა, შალვა ლონლაძე, გიორგი კაჭკაჭიშვილი, აკაკი ტეტუნაშვილი, გიორგი კვესიეშვილი, გიორგი ელბაქიძე, გიორგი ჭელიძე, გიორგი ხიდეშელი, ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი, ირაკლი ძარია, თორნიკე გორგიაშვილი, ნიკა კვასხვაძე, ნიკა სტეფანიშვილი, ანზორ სუხიაშვილი, შოთა გრიგალაშვილი, ალეკო ლაბაძე, გიორგი ჭანკოტაძე, ლევან მელქაძე, ზურაბ იონანიძე, მიხეილ კაკალაძე, ნიკა გელაშვილი, ერიკ რომეო ჩასემი, ბესიკ ჩიმაკაძე.*

**ნუკრი ლოლაძე**

# ვიტ ჯორჯიაც წავიდა...

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „ვიტ ჯორჯია" 18 იანვარს თურქეთში გაემგზავრა. ნესტორ მუმლაძის გუნდი სასტუმრო „კაია ბელეკში" დაბინავდა. ვიტელები თურქეთში ხუთ ტესტ-მატჩს გამართავენ.

სავარაუდოდ, ერთი მეტოქე მახაჩყალის „ანჟი" იქნება.

საქართველოში „ვიტ ჯორჯია" 1 თებერვალს დაბრუნდება.

მუმლაძემ ამ შეკრებაზე 24 ფეხბურთელი იახლა და ამ სიაში არ არის დავით ლომაია, რომელიც უკრაინულ „ზარიაში" ისინჯებოდა.

*მეკარეები:* *გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ლურსმანიშვილი;*

*მცველები:* *ალექსანდრე კვახაძე, ამირან ყველაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, ნიკოლოზ მგელაძე, დავით ხურცილავა, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, გოგა ბეჟუაშვილი;*

*ნახევარმცველები:* *გიორგი ვასაძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი კვილიტაძე, გიორგი მელქაძე, დავით მაისაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი ჯანელიძე;*

*თავდამსხმელები:* *ჯაბა ლაპარტია, მიხეილ როსტიაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, ბექა ზაქრაძე.*

# სიონის შავი ზღვა შავ ზღვამდე

**17 იანვარს** ბოლნისის „სიონმა" საკონტროლო მატჩი გამართა შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდთან და 2:1 იმარჯვა.

ბოლნისელთაგან გოლები ლევან სანიკიძემ და რევაზ გოცირიძემ გაიტანეს.

„სიონის" შემადგენლობა ასეთი იყო: *ბობღიაშვილი, სანიკიძე, ხვანიძე, კაკაშვილი, ორბელაძე, ლეკიშვილი (ალადაშვილი 46), დიდავა (ზ. ჭელიძე 46), ხიდეშელი (ლ. ბაჯელიძე 46), შალამბერიძე, რ. გოცირიძე, დავითაშვილი (ი. მენგელია 46).*

ბოლნისელები 21 იანვარს ქობულეთში გაემგზავრებიან შეკრებაზე, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩი უკვე დაგეგმეს: 23 იანვარს ზუგდიდის „მგლებს" გაეჯიბრებიან, 25-ში „ბათუმს", ხოლო 27 იანვარს ცხინვალის „სპარტაკს".

„სიონი" ზღვისპირულ შეკრებას 1 თებერვალს დაასრულებს, 2-ში კი თბილისში ზაქათალის „სიმურგს" შეხვდება ამხანაგურად.

**ნუკრი ლოლაძე**

# აკირემი გაბონიდან უგერგილოდ დაბრუნდა



## დინამო-სპარტაკის ბევრი სიახლე

**თბილისის** „დინამომ“ პირველი ტესტ-მატჩი გამართა და დილმის ბაზაზე ცხინვალის „სპარტაკს“ 1:0 სძლია. 81-ე წუთი იყო, ნიკა ჯიშკარიანის აქტიურობის შემდეგ ბურთი არგენტინელ მარკოს ჩარასს რომ მიუვიდა, საჯარიმოში ჩააწოდა და ჩერნოგორიელმა დანილო ტომიჩმა ახლოდან ფეხით შეაგდო.

*დინამო: ლორია (ოვონო 46), თომაშვილი (მინდორაშვილი 68), ნერგაძე, გ. კაშია, ჩარასი, სალიპოვიჩი (ნემსაძე 57), დილმელაშვილი (ნ. ჯიშკარიანი 65), ტომიჩი, გველესიანი (ლომაია 46), გ. მერებაშვილი (კოშკაძე 46), აკირემი (ქანთარია 46)*

*სპარტაკი: კოდალაევი, ქურასბედიანი, გ. კვახაძე, ქარქუზაშვილი, მჭედლიშვილი, მაისურაძე, გ. თურმანიძე, შონია, შ. ჯიქია, ჩივაძე, სირბილაძე*

*მეორე ტაიმში შევიდნენ: გ. ილაშვილი; კობერიძე ხაჭაპურაძე, ოქროპირიძე, ქორიძე, ტლაშაძე, ზ. მეტრეველი, დ. ჯანელიძე, ავალიანი, ტუხაშვილი, ეთერია.*

დინამოელთა შორის არ უთამაშიათ მათე ვაწაძეს, ლევან ხმალაძეს, ილია სპასოევიჩს, მილოშ კრშკოსა და ნიკა ფირცხალავას. სპასოევიჩი და კრშკო რაინერ ცობელმა დაასვენა. აი, დანარჩენებს კი სხვადასხვა სახის ტრავმები აქვთ: ვაწაძე, გეცოდინებათ, კარგა ხნის დაშავებულია, გუნდთან ერთად მსუბუქად ვარჯიშობს და 2-3 კვირაში სრული დატვირთვით დაიწყებს. ფირცხალავამ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და 3-4 კვირაში დაიწყებს სრულყოფილად წვრთნას, ხმალაძეს კი ფეხი სტკივა და ორიოდ დღე გაუცდება.

ხმალაძის არყოფნაში „დინამოს“ კაპიტნის სამკლავური გია ნერგაძეს ეკეთა.

რაც შეეხებათ უცხოელებს: ტომიჩმა სრულად ითამაშა მარჯვენა ნახევარმცველად და გოლიც შეაგდო, თუმც გამორჩეული იყო მინდორზე, ვერ ვიტყვით. არც მეორე ბალკანელს, ფუად სალიჰოვიჩს გავუკვირვებივართ... ჩარასზე კი ცალკე ვიტყვით...

ეს ფეხბურთელები გასინჯვაზე არიან.

„დინამოს“ ახალწვეული ალეკო კოშკაძე მეორე ტაიმში გამოჩნდა და ერთი-ორჯერ გაამწვავა თამაში — მაინც ეტყობათ ფეხბურთელებს, რომ ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არიან.

„სპარტაკში“ ბევრი ფეხბურთელი წავიდ-მოვიდა. გუნდის ახალშენაძენთა შორის 35 წლის გიორგი თურმანიძე უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც ორი-სამი წლის წინ „ზესტაფონის“ ლიდერთაგანი გახლდათ. სერგო გაბელაიას გუნდში ბევრი ისინჯება, ჯერჯერობით კი დანამდვილებით ის შეიძლება ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში ვინც ითამაშა, ისინი „სპარტაკში“ უეჭველად დარჩებიან.

მატჩს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევიც ესწრებოდა: „სპარტაკის“ პრეზიდენტს კლუბის ქურთუკი ეცვა და ფეხბურთელებს ხშირად აძლევდა მითითებებს.

თამაშს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მომავალმა თავკაცმა კახა ცხადაძემაც უყურა — „სპარტაკში“ და განსაკუთრებით „დინამოში“ ხომ არიან მისთვის საინტერესო ფეხბურთელები.

ალექსანდრე ჩივაძე და გიორგი ნემსაძეც იყვნენ — აქეთ-იქით მათი ვაჟები თამაშობდნენ.

ჰო, არაფერი გვითქვამს „დინამოს“ „დაკარგულ“ გაბონელზე: ჟორჟ აკირემი ლამის ზაფხულს აქეთ არ გამოჩენილა საქართველოში, რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და „სპარტაკთან“ პირველი ტაიმი იბურთავა, თუმც უგერგილოდ გამოიყურებოდა.

ახლა მატჩზე: კლასში განსხვავების მიუხედავად, თამაში თანაბარი იყო და „დინამო“ პერიოდულად თუ ფლობდა უპირატესობას. თბილისელთაგან კარგი მომენტები გააფუჭეს სალიჰოვიჩმა და ქანთარიამ, ცხინვალელთაგან კი გიორგი ჩივაძესა და ზვიად მეტრეველს შეეძლოთ გატანა. ჩივაძემ ახლოდან ხარიხას შეაწყვეტა ბურთი, მეტრეველს კი დიდიე ოვონომ აუღო...

**ილია ნანობაშვილი**

# კუპერთან ვახშამამდე

## არსენალში ცსკა-მ არ გამიშვა

**აკა ტონია** — მან ჩამოიყვანა გონსალო ჩარასი საქართველოში. ახალგაზრდა მენეჯერს აქამდეც რამდენიმე საინტერესო ვინმე ჩამოუყვანია, მათ შორის კი, ცხადია, ექტორ რაულ კუპერია გამოსარჩევი.

არგენტინელ მარცხენაფლანგელს „სპარტაკთან“ ნამატჩევს გავესაუბრეთ...



www.fcdinamo.ge

**— პირველი შთაბეჭდილებები როგორია?**

— მეორე დღეა, საქართველოში ვარ. შაბათს ჩამოვედი და ერთი ვარჯიში მქონდა, დღეს კი ვითამაშე. გულწრფელად გეტყვით, „დინამო“ ძალიან მომეწონა. ცოტა დრო დამჭირდება შესაძლებლობების დასამტკიცებლად, ამისთვის გუნდთან შეწყობაა საჭირო. „დინამოს“ ნამდვილად დიდი პოტენციალი აქვს, რაც მალე გამოჩნდება.

**— ინტერნეტში ვნახეთ, რომ სოფიის ცსკა-დან 2003 წელს ესპანური გუნდები გიწვევდნენ. რატომ არ წახვედით?**

— შეიძლება, არ იცოდეთ, შემოთავაზება ლონდონის „არსენალიდანაც“ მქონდა. ცსკა-მ არ გამიშვა. ერთ-ერთ ესპანურ კლუბს, რომელიც მიწვევდა, მაშინ ხოსე პეკერმანი წვრთნიდა.

*აქ ტონიამ გვითხრა, რომ ჩარასი პეკერმანის ერთ-ერთი ფავორიტი ყოფილა და 17-წლამდელთა ნაკრებში ჯერ კიდევ მაშინ აიყვანა, როცა მარკოსი 14 წლისა იყო...*

**— ბოლო წლებში სუსტ კლუბებში თამაშობდით. რატომ მოხდა ასე, ტრავმამ შეგიშალათ ხელი?**

— ტრავმამ არა, უიღბლობამ. ფეხბურთში იღბალი ბევრს ნიშნავს. ჩემს გამო ყოველთვის ბევრი პრობლემა იყო, 10 თუ 20 მენეჯერი თავისკენ მექაჩებოდა და ხშირად ხდებოდა, რომ მენეჯერი და კლუბი ვერ თანხმდებოდნენ...

**— ექტორ რაულ კუპერს ხომ არ იცნობთ?**

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ შეიძლება, ამ დღეებში ერთად წავიდეთ სავახშმოდ.

**ილია ნანობაშვილი**

# ალექსანდრე კოშკაძე: დინამოზე უარს ვინ იტყვის?!



სარბიელის არქივიდან

„კარიერაში ცხრა კლუბი გამოვიცვალე, მაგრამ „დინამო“ მაინც სხვაა. სრულად მაქვს გააზრებული, რომ ახალი ეტაპი დადგა ჩემს ცხოვრებაში, რადგან „დინამოს“ დარ სახელიან გუნდში არასოდეს ვყოფილვარ“ — გვითხრა 27 წლის ნახევარმცველმა ალექსანდრე კოშკაძემ. საქართველოს ჩემპიონატის საზამთრო შიდა-ტრანსფერებიდან ყველაზე ხმაურიანიც ესაა: „კოშკა“ ბოლნისის „სიონიდან“ რაინერ ცობელის ამქარში გადავიდა და 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის ტექნიკური, კარგი პასის მქონე ფეხბურთელია, რომელსაც მინდორზე ამინდის შექმნა შეუძლია. აკი, პირველ წრეში „სიონის“ უდავო ლიდერი იყო და 6 გოლიც გაიტანა. „სარბიელმაც“ დაუფასა გარჯა: პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა...

**— „დინამოსგან“ შეთავაზება როდის მიიღე?**

— პირველი წრის დასრულების შემდეგ. ბევრიც არ მიფიქრია, „დინამოზე“ უარს ვინ იტყვის?!

**— პირველი შთაბეჭდილებები?**

— ჯერ ყველაფერი ჩვეულებრივადაა, უბრალოდ, ცოტა მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ — „დინამოს“ სახელი მოქმედებს.

**— „დინამოში“ აქამდე ვისთან მეგობრობდი?**

— კარგად ვიცნობდი ლექსო ინწკირველს, დავით დილმელაშვილს, ლევან ხმალაძეს, ოლეგ გველესიანს... მოკლედ, შეგუება არ გამჭირვებია, გუნდში კარგი ატმოსფეროა.

**— პირველ წრეში „სიონმა“ შინ წააგო „დინამოსთან“ (1:2) და გოლი გაუტანე შენს ახლანდელ გუნდს. როგორ ატყობ, „დინამო“ ბევრად ძლიერია „სიონზე“?**

— ბევრად ძლიერიაო, ვერ ვიტყვი. ნახეთ, რა თამაში წავაგეთ მაშინ? ლაწყება ისეთი გვქონდა, მეგონა, „დინამოს“ უეჭველად მოვუგებდით, მაგრამ არც მაგ მატჩში და არც კიდევ რამდენიმეში „სიონს“ სასწაულად არ გაუმართლა.

**— შენს კარიერაში გასული პირველი წრე საუკეთესო პერიოდი იყო?**

— ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად იყო. კარგად ვითამაშე „ტორპედოშიც“ და „მერანშიც“...

**— კლუბებს ხშირად იცვლი. რატომ?**

— ბევრი მიზეზია. სამწუხაროდ, საქართველოში კლუბებს ფინანსურად ძალიან უჭირთ, ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდის გაკეთება უწევთ. ეს ძალიან ცუდია. ისე, ბოლო სეზონებში პროგრესი მაქვს: ძლიერიდან სუსტში აღარ მივდივარ.

**— ჩვენს ჩემპიონატში ისეთი ტენდენცია გამოიკვეთა, რომ 25-27 წლის ასაკში ფეხბურთელები ნელ-ნელა უკლებენ, შენი წინსვლა რას მივაწეროთ?**

— ბევრს ვმუშაობ, შეცდომებზე ვსწავლობ. ზარმაცი არასოდეს ვყოფილვარ...

**— პირველ წრეში შენს საუკეთესო მატჩად რომელს თვლი?**

— ალბათ, „ლოკომოტივთან“, რომელსაც თბილისში მოვუგეთ.

**— ისე, საინტერესოა, საქართველოს ჩემპიონატიდან შენზე ნაკლებად გამორჩეული ფეხბურთელები მიდიან უცხოეთში... არ გაგჩენია წასვლის სურვილი, თუ წინადადებები არ გქონია?**

— 22-23 წლის რომ ხარ, აზერბაიჯანში ან სომხეთში წასვლაზე არ უნდა იფიქრო. ეს ჩემი აზრია. მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ საქართველოში დარჩენა ვამჯობინე. სხვა თუ არაფერი, საქართველოში ტიტულიც კი არ მომიგია.

**— სამაგიეროდ, ახლა „დინამოში“ მშვენიერი შანსი გეძლევა, ნავსი გატეხო...**

— ვფიქრობ, უტიტულოდ არ დავრჩებით. მთავარი კონკურენტი „ვიტ ჯორჯიაა“, ძალიან მებრძოლი გუნდია, თუმც უნდა ვაჯობოთ.

**— საქართველოს ჩემპიონატის წლევანდელ სეზონს წინანდელებს როგორ შეადარებდი? სათამაშო დონეს ვგულისხმობ...**

— ვფიქრობ, დონე ცოტა ამაღლდა. ამ სეზონში ვინ ვის მოუგებს, ვეღარ გაიგებ. აგერ, ხუთი გუნდი იბრძვის ჩემპიონობისთვის. ისე არავინ არიგებს ქულებს.

**— ადრე რატომ არ ხდებოდა ასე?**

— მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყველა ფეხბურთელი მონდომებულია და იმედი აქვს, რომ კარგი თამაშის შემთხვევაში შეიძლება ნაკრებში დაუძახონ.

**— გაქვს ეროვნულ ნაკრებში გამოძახების იმედი?**

— დარწმუნებული ვარ, თუ კარგად ვითამაშებ, დამიფასდება. ნაკრებს რამდენად ეყოფა ჩემი თამაში, როგორ გითხრათ... ეს ექტორ რაულ კუპერმა უნდა გადაწყვიტოს. იმედი კი მაქვს. ორი აზრი არ არის, კუპერი სწორ გზას ადგას: ხომ ნახეთ, ლუკა რაზმაძე, ალექსანდრე კვახაძე და ბექა გოცირიძე მშვენივრად მოერგნენ ნაკრებს.

**— ახლა უფრო ნიჭიერი მოთამაშეები არიან, ვიდრე შენი სიყმაწვილის პერიოდში?**

— ალბათ, ახლა უფრო ნიჭიერი თაობაა. როდესაც მე ვიწყებდი, მაშინ ახალგაზრდები სხვადასხვა ქართულ გუნდებში იყვნენ გადანაწილებულნი, ახლა კი უცხოეთში მიდიან და საკმაოდ კარგ კლუბებშიც.

**— შენი აზრით, ჩვენი ჩემპიონატის უმთავრესი პრობლემა რა არის?**

— ფული. ფინანსებში შედის სტადიონების და ბაზების დეფიციტი. ეს როცა იქნება, დონეც აიწევს.

**— და კიდევ, სტადიონზე მაყურებელი თითქმის არ დადის...**

— ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში საშინელებაა. ძნელია, როცა არ გამხნევებენ. მაგალითად, ადრე ბოლნისში თითქმის ყოველთვის ივსებოდა ტრიბუნები, ახლა კი იკლო და ვფიქრობ, ეს გუნდის შედეგებზეც მოქმედებს. რა კარგი ფინალები იყო „ამერსა“ და „ზესტაფონს“ შორის. რატომ? იმიტომ, რომ ხალხი იყო სტადიონზე. არც ისეთი სუსტი ჩემპიონატი გვაქვს, როგორც ბევრს ჰგონია: აბა, იყოს ლამაზი სტადიონები, გულშემატკივარი დადიოდეს, მაშინ სულ სხვანაირად გამოჩნდებოდა.

**ილია ნანობაშვილი**



# კალაძეს თვეები ემუქრება

## რა არის ტკივილის მიზეზი?

**საქართველოს** ნაკრებისა და „მილანის" მცველი კახა კალაძე მუხლმა შეაწუხა და გასასინჯად ბელგიაში ჩავიდა ცნობილ ექიმ მარკ მარტენსთან.

მანამდე კალაძემ იტალიაშიც ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა, თუმცა მედიკოსებმა ტკივილის მიზეზი ვერ დაადგინეს.

კახა კალაძის ჯანმრთელობით ბრიტანული „სკაი" დაინტერესდა და აი, რა უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს ნაკრების კაპიტანმა:

„ჯერჯერობით გაურკვევლობაა. მუხლის არეში ტკივილები მაწუხებს, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზი დღემდე დაუდგენელია. ახლა არ ვვარჯიშობ და ვცდილობ, მუხლი არ გადავტვირთო. ვნახოთ, რას მეტყვიან ექიმები. ოპერაციის გაკეთების პერსპექტივა ძალიან მანერვიულებს, თუმცა, თუ ქირურგები ამას გადაწყვეტენ, უყოყმანოდ დავთანხმდები. ეს ის სიტუაციაა, როცა არჩევანის გაკეთების საშუალება არ მაქვს..."

წინასწარი ვარაუდით, კალაძე რამდენიმე თვე ვერ შეძლებს თამაშს...

„მილანის" შემადგენლობაში კალაძემ ბოლოს 21 დეკემბერს, „უდინეზესთან" მოგებულ (5:1) შეხვედრაში ითამაშა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# გრიგალავას რუსეთი დარჩა



**ამსტერდამის** „აიაქსმა" გია გრიგალავას შეძენა იუარა.

19 წლის ქართველი მცველი დაახლოებით ორი კვირა ისინჯებოდა „აიაქსში", ამხანაგურ მატჩებშიც ითამაშა და ჰოლანდიური პრესის აზრით, ურიგო შთაბეჭდილებაც არ დაუტოვებია, თუმცა ტრანსფერი მაინც არ შედგა.

„გრიგალავა კარგი ფეხბურთელია, ბურთს კარგად ფლობს და ფიზიკურადაც ძლიერია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი „აიაქსში" სათამაშოდ" — ასეთი კომენტარი გააკეთა „აიაქსის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა დენი ბლინდმა.

კულუარული წყაროებით კი, გრიგალავას ტრანსფერი დიდმა ფასმა ჩაშალა...

ასეა თუ ისე, გია ახლა როსტოვშია და ახალ გუნდს ეძებს.

მისით მოსკოვის „სპარტაკი", „სატურნი" და „მოსკვა" არიან დაინტერესებულნი, თუმცა ყველაზე დიდი შანსი „როსტოვს" აქვს...

**ბაჩა ზალამბერიძე**

# გოცირიძე დაშავდა

**უკრაინული** „დნიპროს" ახალწვეული ბექა გოცირიძე დაშავდა და ცოტა ხნით უქმობა მოუწევს.

„დნიპრო" გუშინ ამხანაგურად გაეჯიბრა რუმინულ „ჩლუჯს" (0:1) და გოცირიძე 31-ე წუთზე გახდა მოედნიდან გასაყვანი (მანამდე „დნიპრო" „ირტიშსაც" შეხვდა — იხ. მე-7 გვ). ბექას ნაცვლად თამაშში სანდრო კობახიძე ჩაერთო. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ტრავმა.

დნიპროელთა მესამე ქართველმა ჯაბა კანკავამ კი სრულად ითამაშა.

# ფოფხაძე 2011

## ახლა მშვიდად ვიბრძოლებ სუპერლიგისთვის

**გიორგი ფოფხაძემ** დანიურ „ვიბორგთან" 2011 წლის ზაფხულამდე გააგრძელა კონტრაქტი.

კლუბის სპორტული დირექტორი სტივენ ჰოიესი ქებად დაიღვარა: „მოხარული ვარ, რომ ასეთ ძლიერ ფეხბურთელთან თანამშრომლობა გავაგრძელეთ. გიორგი ჯერ 22 წლისაა, თუმცა როდესაც სუპერლიგაში ვთამაშობდით, მაშინაც კი გამორჩეული იყო მარცხენა მცველის პოზიციაზე. ის ყოველთვის 100 პროცენტით იხარჯება ვარჯიშებზეც და თამაშებზეც. ეს ინფორმაცია ჩვენს ფანებს ძალიან გაახარებთ."

თვითონ ფოფხაძემაც კმაყოფილება გამოთქვა კონტრაქტის გაგრძელებით:

„ახლა უფრო მშვიდად ვიქნები. სიმართლე ვთქვა, კლუბის შეცვლაზე ადრე ვფიქრობდი, თუმცა ამ სეზონმა აჩვენა, რომ „ვიბორგს" რეალურად შეუძლია სუპერლიგაში დაბრუნება".

ცნობისთვის, „ვიბორგი" დანიის რანგით მეორე ლიგაში პირველ ადგილზეა, ჩვენიანი კი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩხეტიანმა მუღანი გაიფორმა

**აზერბაიჯანულმა** სალიანის „მუღანმა" (ყოფილი ნბს) ქართველ ნახევარმცველ გივი ჩხეტიანს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

პირველ წრეში ჩხეტიანი „ბაკილიში" თამაშობდა, სადაც მის გარდა, შოთა ჯიშკარიანი და დავით ქოქიაშვილიც იყვნენ. თუმცა ჩხეტიანის დარად, გუნდი ქოქიაშვილმაც დატოვა — ის ახლა ბაქოს „სტანდარდშია".

შეგახსენებთ, რომ „ბაკილის" ახლახან ქართველი მთავარი მწვრთნელი ვასილ ჭეიშვილი ჩაუდგა სათავეში.

**ბაჩა ზალამბერიძე**

SBM GEORGIA — ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა — LG

# სასუპერლიგო თეორიები

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტური და რამდენიმე გადადებული მატჩი დარჩა. მომდევნო ეტაპზე, ანუ სუპერლიგაში გასული რამდენიმე გუნდის ვინაობაც გაირკვა.

A ჯგუფიდან ასეთები სპორტის დეპარტამენტი და საგამომცემლო სახლი „პალიტრა" არიან. ჯგუფიდან გასვლა პრაქტიკულად განაღდებული აქვთ „სარბიელს" და „ვისოლს", აი, მეხუთე საგზურისთვის კი დაძაბული ბრძოლაა „პეპსის" და „სპორტმედიას" შორის.

B ჯგუფიდან უკვე გავიდნენ „იბერია ბიზნეს ჯგუფი" და ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, ხოლო „ნიკორას" სუპერლიგამდე ერთი ქულაღა აშორებს.

**კოტე კეკელია**

### A ჯგუფი

VI ტური

ოლ. ვარსკვლავი 4:7 პალიტრა
სპორტმედია 2:4 დეპარტამენტი
სარბიელი 4:3 ვისოლი
პეპსი 8:8 სამგორი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპარტამენტი | 5 | 4 | 1 | 0 | 22:5 | 13 |
| პალიტრა | 5 | 4 | 0 | 1 | 17:11 | 12 |
| სარბიელი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:11 | 10 |
| ვისოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:12 | 10 |
| პეპსი | 6 | 2 | 3 | 1 | 19:17 | 9 |
| სპორტმედია | 6 | 2 | 1 | 3 | 17:16 | 7 |
| ოლ. ვარსკვლავი | 6 | 2 | 0 | 4 | 12:16 | 6 |
| იუ ჯი თი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:14 | 3 |
| სამგორი 94 | 5 | 0 | 1 | 4 | 11:31 | 1 |

*„რომპეტროლი" მოიხსნა გათამაშებიდან და მისი შედეგები გაუქმდა*

### B ჯგუფი

VII ტური

პატრული 4:0 რეესტრი
ალგორითმი 3:3 სეუ
შერატონი 6:3 ქორ სტანდარტბანკი
BP 0:5 ნიკორა
AMTS-JAMC 0:9 იბერია ბ/ჯ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 7 | 6 | 0 | 1 | 34:13 | 18 |
| სეუ | 7 | 5 | 2 | 0 | 41:15 | 17 |
| ნიკორა | 7 | 4 | 2 | 1 | 23:15 | 14 |
| შერატონი | 7 | 3 | 3 | 1 | 20:13 | 12 |
| სტანდარტბანკი | 7 | 3 | 1 | 3 | 25:24 | 10 |
| პატრული | 7 | 3 | 1 | 3 | 15:15 | 10 |
| ალგორითმი | 7 | 2 | 2 | 3 | 19:19 | 8 |
| საჯ. რეესტრი | 7 | 1 | 3 | 3 | 17:30 | 6 |
| AMTS-JAMC | 7 | 1 | 0 | 6 | 8:33 | 3 |
| BP | 7 | 0 | 0 | 7 | 7:32 | 0 |

# კვირის ქრონიკა

## ოთარი სიცხემ დაასვენა

**გერმანიის** მეორებუნდესლიგელმა „აუგსბურგმა" ტესტ-მატჩში 3:2 სძლია „ფრანკფურტს", თუმც ოთარ ხიზანეიშვილს არ უთამაშია.

ოთარმა წინა შეხვედრა ჩაატარა გერმანიის ერთ-ერთ ქვედალიგელ კლუბთან და მწვრთნელ ფოლგერ ფახის მოწონებაც დაიმსახურა, „ფრანკფურტთან" კი ავადმყოფობის გამო იუქმა — სიცხე ჰქონდა.

საბედნიეროდ, ჩვენიანი მალე მომჯობინდა და მომდევნო საკონტროლო მატჩიც ჩაატარა.

„აუგსბურგი" „ჰანოვერს" გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა — ხიზანეიშვილი მოედანზე 73-ე წუთზე შევიდა.

## ფორტუნა-გოლი იაშვილისგან

**„კარლსრუემ"** 3:1 სძლია დიუსელდორფის „ფორტუნას" და ერთი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა, რომელმაც სხვა თანაგუნდელების მსგავსად, ერთი ტაიმი ითამაშა.

გოლის გარდა იაშვილმა პენალტიც გააცუდა.

მომდევნო ტესტ-მატჩი კი „კარლსრუემ" დაბალლიგელ „ინგოლშტადტთან" გამართა — 0:2.

იაშვილმა ამჯერად მეორე ტაიმში ითამაშა, თუმც თავის გამოჩენა ველარ შეძლო.

## ლომაია გამობრუნდა

**გიორგი ლომაია,** ვინც ავსტრიულ „ალტახში" გადასვლასთან ახლოს იყო, კიევიდან საქართველოში დაბრუნდა.

ლომაიას ვიზის აღება გაუჯანჯლდა და ამიტომ მობრუნდა უკან.

საქართველოს ნაკრების მეკარე სეზონის ბოლომდე, სავარაუდოდ, ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებს და მერე ეცდება უცხოეთში წასვლას.

## თარგამაძის ოცწუთიანი ჰერტა

**„ფრაიბურგის"** 19 წლის შემტევმა დავით თარგამაძემ „ჰერტასთან" ამხანაგურ მატჩში ბოლო 20 წუთი ითამაშა.

სანამ ჩვენიანი მინდორზე შევიდოდა, „ფრაი" 1:0 იგებდა, თუმც ოთხ წუთში ბერლინელებმა გაათანაბრეს.

ქართველმა მარჯვენა გარემარბად ითამაშა.

## ოდიკაძის პირველი ეტო

**უნგრული** „დიორ ეტოს" ქართველ ახალწვეულ დავით ოდიკაძეს ჰქონდა — დიორელებმა სლოვაკურ „ნიტრას" 4:0 მოუგეს.

ოდიკაძემ მეორე ტაიმი ითამაშა.

მორიგ ტესტს „დიორ ეტო" 21 იანვარს გამართავს „ფეჰერვართან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარია, ომი არ იყოს!

## ელვირა თოდუა: მე ქართული კი არა, მეგრული გვარი მაქვს





სპორტი და პოლიტიკა — ეს ის თემებია, ბევრი საერთოს რომ ვერ (ან არ) უძებნის, თუმცა უამრავი აქვს საერთოც და საზიაროც. ინტერვიუს, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, სპორტთან კავშირშია, მაგრამ უფრო მეტად პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ელვირა თოდუა აფხაზეთში დაბადებული გოგონა, რუსეთის ქალთა ნაკრების მთავარმეკარეა და ჩვენს ჩრდილოელ სამეზობლოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სანამ ინტერვიუზე გადავალთ, ორიოდ სიტყვით გეტყვით, ვინ არის ელვირა თოდუა — დაიბადა 1986 წლის 31 იანვარს ტყვარჩელში. თამაშობდა შახტის „დონ-ტექსში", კრასნოდარის „კუბანოჩკაში", სამარის „ცსკ ვვს"-ში, მოსკოვის „როსიანკაში" და რიაზანის „რიაზან-ვდვ"-ში. ახლა კი „როსტოვის" მეკარეა. ელვირას როსტოვში დავუკავშირდით და ინტერვიუზეც უპრობლემოდ დავითანხმეთ...

## რუსეთი სამხრეთ ოსეთს საქართველოსთვის ჭკუის სწავლებაში დაეხმარა

**— საქართველოდან გაწუხებთ სპორტული გაზეთი „სარბიელი". შეიძლება, ინტერვიუ გთხოვოთ?**

— საქართველოდან? კი ბატონო, გისმენთ...

**— როგორ აღმოჩნდით რუსეთში?**

— ჩემი ოჯახი სტუმრად ჩამოვიდა აქ და იმდენი მოახერხეს, რომ დარჩენა გადაგვაწყვეტინეს. მას შემდეგ რუსეთში ვართ.

**— ეს ომის შემდეგ მოხდა?**

— ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რუსეთში მაინც მოგვიწევდა გადმოსვლა...

**— ეს რას ნიშნავს?**

— კარგი, ომის შემდეგ გადმოვედით.

**— და სად დაიბადეთ?**

— აფხაზეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ტყვარჩელში.

**— თამაშიც იქ დაიწყეთ?**

— თამაში როსტოვში დავიწყე. მაშინ 8 წლის ვიყავი.

**— საინტერესოა, რატომ აირჩიეთ ფეხბურთი... მომხიბვლელი გოგონა ხართ და რუსეთში უფრო იოლი იქნებოდა, მაგალითად, სადღეისოდ პოპულარული პროფესია, მოდელობა აგერჩიათ...**

— შეთავსებით მოდელი ისედაც ვარ. ოღონდ მხოლოდ ფოტო-მოდელი. ძალიან მიყვარს ფეხბურთი და ეტყობა, ეს არის ჩემი საქმე. ყველას ხომ თავისი განსაკუთრებული ნიჭი აქვს და ღმერთმა მე ფეხბურთელობა შემირჩია.

**— მოდელად ახლაც მუშაობთ?**

— კი, ოღონდ ძალიან დატვირთულიც არ ვარ ამ საქმით.

**— ალბათ სწორედ ფეხბურთელობის გამო...**

— რა თქმა უნდა. ეს დიდ ენერგიას ითხოვს. მე ხომ რუსეთის ეროვნული ნაკრების მეკარე ვარ.

**— თქვენ ქართული გვარი გაქვთ. საინტერესოა, ამის გამო რაიმე პრობლემას ან უხერხულობას ხომ არ წააწყდით რუსეთში?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ მე მეგრული გვარი მაქვს...

**— კი მაგრამ, მეგრული და ქართული რამ გაყო, ეს ხომ ერთიდაიგივეა?**

— იყოს ისე, როგორც თქვენ იტყვით. სჯობს, წინა კითხვაზე გიპასუხებთ: არა, არანაირ პრობლემას არ შევხვედრივარ რუსეთში ჩემი გვარის გამო.

**— რაც რუსეთში გადახვედით, საქართველოში არასოდეს ჩამოსულხართ?**

— არა, საქართველოში ნამყოფი არ ვარ.

**— ადრე ხართ ნამყოფი, როცა ტყვარჩელში ცხოვრობდით...**

— ასე თუ თვლით, ასე იყოს...

**— საქართველოში ნათესავებიც არ გყავთ?**

— არ ვიცი, შეიძლება, მყავს კიდეც...

**— როგორც ვხვდები, ბარიკადის მეორე მხარეს დგახართ, ანუ აფხაზეთის დამოუკიდებლობას ემხრობით...**

— სიმართლე გითხრათ, ეს საკითხი სულაც არ მანაღვლებს...

**— იმედი მაქვს, ასეთი კითხვები უხერხულობას არ გიქმნით...**

— არა, არა, მივეჩვიე უკვე...

**— სხვებიც გეკითხებიან ასეთ რამეებს?**

— კი. თან საკმაოდ ხშირადაც...

**— კეთილი. როგორ გრძნობდით თავს რუსეთ-საქართველოს ომისას? თქვენთვის ყველაფერი სულერთი იყო, თუ მაინც გრძნობდით რაღაც უსიამოვნებას?**

— ისევ ცდებით: საქართველოს ომი ჰქონდა არა რუსეთთან, არამედ სამხრეთ ოსეთთან. რუსეთი კი, უბრალოდ, დაეხმარა სამხრეთ ოსეთს საქართველოსთვის ჭკუის სწავლებაში.

**— ასე ფიქრობთ?**

— მე კი არ ვფიქრობ, ასე იყო!

**— ქართველ ფეხბურთელებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— მწვრთნელი მყავს ქართველი „როსტოვში".

**— ვინ?**

— გოჩა მიქაძე.

**— რუსეთში ბევრი ქართველი თამაშობს — მალხაზ ასათიანი, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, დავით კვირკველია, გია გრიგალავა... ყველას არ ჩამოვთვლი. მათთან არანაირი კონტაქტი არ გაქვთ?**

— მხოლოდ გია გრიგალავასთან. ჩემი მეგობარია, ახლა „აიაქსში" ვარჯიშობს.

**— ესწრები ხოლმე მის თამაშებს?**

— როცა ვახერხებ, აუცილებლად.

**— მეკარეებიდან ვინ მოგწონთ?**

— იგორ აკინფეევი. ისიც ჩემი მეგობარია. ასევე ჯანლუიჯი ბუფონი მომწონს ძალიან.

**— კლუბებიდან?**

— ცსკა, „მილანი", „ბარსელონა" და „ჩელსი".

**— ქართველთან „კავშირი" მაინც „აღმოვაჩინეთ"...**

— ჰო, „მილანში" კახა კალაძე თამაშობს და ძალიან კარგადაც.

**— ბოლო კითხვაც და, დავასრულოთ. რომელ ვარიანტს მისცემთ საკუთარ ხმას: 1. აფხაზეთი საქართველოსთან ერთად; 2. აფხაზეთი დამოუკიდებლად; 3. აფხაზეთი რუსეთთან ერთად.**

— ხმას მივცემდი აფხაზეთს და ვისთან ერთად იქნება ის, საერთოდ არ მაინტერესებს. მთავარია, ომი არ იყოს...

**ჰაჰა შალამბერიძე**

# დაცვას უნდა მივხედოთ

## გელა შეყილაძემ ნაკრები შეკრიბა



**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შარშან ელიტ-რაუნდის საგზური მოიპოვა და მარტში ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად უნდა იბრძოლოს. ჩვენების მეტოქეები იტალია, ავსტრია და შოტლანდია არიან. ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ პირველადგილოსანი გავა. ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე 19 იანვარს 21 ფეხბურთელს შეკრებს საქართველოს ნაკრების ტექნიკურ ცენტრში და ელიტ-რაუნდისთვის მზადებაც დაიწყება...**

— 19 იანვარს ვიკრიბებით. მარტამდე დიდი დრო აღარ დარჩა, ორკვირიან შეკრებას აქ გავივლით, მერე კი, 3 და 5 თებერვალს სლოვენიაში მასპინძლებთან გავმართავთ ტესტ-მატჩებს, იქიდან ხორვატიაში გადავალთ და იქაც ორ თამაშს ჩავატარებთ 8 და 10 თებერვალს.

**— ამჟამად ლეგიონერები თბილისში არ არიან და ისინი როდის უნდა შემოგიერთდნენ?**

— მათ კლუბებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები და, სავარაუდოდ, ერთ კვირაში ბაქარ მირცხულავა, ჯანო ანანიძე, ირაკლი შეყილაძე და გიორგი ჭანტურია შემოგვიერთდებიან.

**— ამ ამხანაგურ მატჩებს, რა თქმა უნდა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად გამოიყენებთ. ყველაზე მეტი სამუშაო რომელ რგოლში გაქვთ?**

— ელიტ-რაუნდის მატჩებმა დაგვანახა, რომ დაცვა ჩვენი სუსტი წერტილია და ვეცდებით, იგივე შეცდომები აღარ განმეორდეს. ამ ტესტ-მატჩებში კიდევ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს დავაკვირდებით.

**— სლოვენიაში რამდენი ფეხბურთელით მიდიხართ?**

— 18 ფეხბურთელს წავიყვანთ.

**— მეტოქეებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

— იტალიის თამაშის ჩანაწერი მოვიპოვეთ. შოტლანდიის და ავსტრიის მატჩების ჩანაწერებს კი უახლოეს დღეებში მოგვაწვდიან.

**— ფავორიტი ალბათ იტალიაა...**

— ელიტ-რაუნდში სუსტი გუნდი არ არსებობს. ჩვენი ერთადერთი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება იქნება.

**— ამ ტესტ-მატჩების გარდა რა გეგმები გაქვთ?**

— 26-28 თებერვალს აზერბაიჯანში მასპინძლებს გავეჯიბრებით, 9 მარტს ლუქსემბურგში ჩავალთ და 11-ში იქაურთა ნაკრებს შევხვდებით, იქიდან ავსტრიაში გადავალთ და 18 მარტამდე ქალაქ ლაიბერში ვიქნებით, სადაც ერთ მატჩს ჩავატარებთ კერნტენის ნაკრებთან. 18-ში კი ბადვალტერდორეში ჩავალთ, სადაც გაიმართება სამივე შესარჩევი შეხვედრა. პირველი მატჩი 20 მარტს შოტლანდიასთან გვაქვს, 22-ში — ავსტრიასთან, ბოლოს კი იტალიას ვეთამაშებით.

**— მოეწყო მომავალი შესარჩევი ციკლის წილისყრაც, სადაც მეტოქეები შოტლანდია, კვიპროსი და პორტუგალია გვეყოლება. რას იტყვით თანაჯგუფელებზე?**

— მანამდე დიდი დროა და სიმართლე გითხრათ, ახლა მთლიანად ელიტ-რაუნდზე ვართ გადართული.

**ნუკრი ლოლაძე**

***მეკარეები:*** *გიორგი აზნიაშვილი (ნორჩი დინამო), დავით ლეგაშვილი (ნორჩი დინამო), კახა მეშველიანი (ტორპედო 2008);*

***მცველები:*** *ავთანდილ ბრეგვაძე (დუშეთი), მამუკა კობახიძე (საბურთალო), ნიკა აფაქიძე (ბაია), ნიკა კვეკვესკირი (ბაია), გოგა ლომაშვილი (ოლიმპი), ცოტნე ხარაბაძე (ტორპედო 2008), დავით კუბლაშვილი (ოლიმპიკი), მალხაზ მაჭუტაძე (ოლიმპიკი);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი კუხიანიძე (ტორპედო 2008), თამაზ აკობია (მგლები), ლევან ელიზბარაშვილი (ნორჩი დინამო), გიორგი ჩელებაძე (ბათუმი), ნიკა ძალამიძე (ბაია), მამუკა ლორია (კოლხეთი, ფოთი), აკაკი სირბილაძე (დილა);*

***თავდამსხმელები:*** *ლაშა ჩაფიძე (ნორჩი დინამო), დათი ხოჭოლავა (საბურთალო), ბესიკ დეკანოიძე (ჩიხურა).*

# 17-წლამდელების აიაქსი-ალკმაარი

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებს გაზაფხულზე უხვად მატჩი ექნება, მათ შორის, ჰოლანდიურ კლუბებთან.

როგორც შევიტყვეთ, უკვე გადაწყვეტილია, რომ 31 მარტს, ჰოლანდიის დროით, 16 საათზე გელა შეყილაძის გუნდი ამსტერდამის „აიაქსის" თანატოლებს შეხვდება, მეორე მატჩში კი 2 ან 3 აპრილს — „ალკმაარის" ჭაბუკებს გაეჯიბრება.

ამ ერთკვირიანი ჰოლანდიური ტურის ორგანიზატორები „ფონდი არველაძე" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არიან.

**ილია ნანობაშვილი**

# დევდარიანს ასაკი ემატება



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები მარტში ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისვის იბრძოლებს.

მოგეხსენებათ, 17-წლამდელებს ახლა გელა შეყილაძე წვრთნის და მოხვდება თუ არა გუნდი ევროპის ჩემპიონატზე, მომავალ შესარჩევ ციკლში 17-წლამდელებს მაინც სხვა თავკაცი ეყოლება.

როგორც შევიტყვეთ, ახალი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი იქნება, რომელიც ამჟამად 16-წლამდელებს უდგას სათავეში.

შეგახსენებთ, რომ მომავალ შესარჩევში ჩვენების მეტოქეები შოტლანდია, პორტუგალია და კვიპროსი იქნებიან. შესარჩევი ეტაპი ოქტომბერში დაიწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ორი ლევანის ორი ტრავმა

**ესპანურ** შეკრებაზე მყოფი გელზენკირხენის „შალკე" იქაურ „ლევანტეს" ამხანაგურად ეთამაშა (0:0).

ლევან კობიაშვილმა სრულად ჩაატარა შეხვედრა და კვლავაც მარცხენა მცველი გახლდათ, ნახევარმცველი ლევან ყენია კი ოდენ 83-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე ჰაიკო ვესტერმანის ნაცვლად.

ბოლო წუთებზე ყენიას პასით ვისენტე სანჩესს მიეცა გოლის გატანის შანსი, თუმც მეკარემ აჯობა.

ა, მეორე ტესტ-მატჩში კი „ხუმარებმა" 0:1 წააგეს სეგუნდადივიზიონელ „კასტელიონთან".

არცერთი ქართველი არ გამოჩენილა. ყენიას კუნთი სტკიოდა, კობიაშვილი კი ქუსლს შეუწუხებია.

ჩვენიანთა ტრავმები საშიში არაა — რამდენიმე დღეში მწყობრში იქნებიან.

**ილია ნანობაშვილი**

# ციმაკურიძე უკრაინის მოქალაქეობას დათანხმდა



**გიორგი ციმაკურიძე** „ზარიამ" ტრანსფერზე კი დააყენა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ქართველი ფეხბურთელი უკრაინის მოქალაქეობის მიღებას დათანხმდა.

„ზარიას" მწვრთნელი ანატოლი ვოლობუევი ამბობს, გავცხარდი, როცა ციმაკურიძის გაშვება მოვითხოვეო...

„პოლტავის „ვორსკლასთან" ორი გოლი მისი შეცდომით მივიღეთ და ემოციები ვერ მოვთოკე, ციმაკურიძეზე ძალიან გაბრაზებული ვიყავი. გადავხედე ჩემს გადაწყვეტილებას და მივხვდი, რომ გიორგი საჭირო ფეხბურთელია. ჩვენ ძალიან გვინდოდა, მას უკრაინის მოქალაქეობა მიეღო და ეს საკითხიც თითქმის გადაწყვეტილია. ის 99 პროცენტით დარჩება „ზარიაში".

**ილია ნანობაშვილი**



ჰექტორ რაულ კუპერი

# საქართველო-108

## სომალი მსოფლიოში საუკეთესოა

**ფიფა-„კოკა-კოლას"** ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრების პოზიცია არ შეუცვლია: „საპატიო" 108-ე ადგილზეა.

არ ყოფილა მატჩები და, ცხადია, ცვლილებებს არც ველოდით.

ხელუხლებელი დარჩა პირველი ათეულიც, ხოლო ბოლო თვის საუკეთესო ნაკრებს თუ გამოიცნობთ... სომალი.

დიახ, შიმშილთან ასოცირებული ქვეყანა რეიტინგში 22 საფეხურით აღზევდა.

მომავალი რეიტინგი 11 თებერვალს, ირლანდია — საქართველოს მატჩის დღეს გამოქვეყნდება.

ალბათ, ქალთა ფეხბურთის რეიტინგიც დაგაინტერესებთ, სადაც საქართველო ასევე 108-ე ადგილზეა (ევროპაში ნაბოლარები ვართ)...

| | | |
|---|---|---|
| 1. | აშშ | 2194 |
| 2. | გერმანია | 2154 |
| 3. | ბრაზილია | 2131 |
| 4. | შვედეთი | 2059 |
| 5. | სამხრეთ კორეა | 2026 |
| 108. | საქართველო | 1013 |

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1663 |
| 2 | 2 | გერმანია | 1389 |
| 3 | 3 | ჰოლანდია | 1338 |
| 4 | 4 | იტალია | 1326 |
| 5 | 5 | ბრაზილია | 1246 |
| 6 | 6 | არგენტინა | 1180 |
| 7 | 7 | ხორვატია | 1142 |
| 8 | 8 | ინგლისი | 1115 |
| 9 | 9 | რუსეთი | 1103 |
| 10 | 10 | თურქეთი | 1016 |
| 28 | 27 | ბულგარეთი | 782 |
| 37 | 38 | ირლანდია | 711 |
| 94 | 94 | კვიპროსი | 376 |
| 108 | 108 | საქართველო | 325 |
| 113 | 112 | ჩერნოგორია | 310 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# იმედი ცხადაძის ხელში მსუყე ჩაროზია

**ჰყავს თუ არა საქართველოს ნიჭიერი თაობა? აბსტრაქტული თემაა და კამათი უსასრულოდ შეიძლება. ერთის მხრივ, მოდი და, შედეგებს შევხედოთ — 21-წლამდელთა ნაკრები შესარჩევ ციკლში ბოლო ადგილზე გავიდა, ყაზახეთმაც კი ზემოდან გადმოხედა. მაგრამ შევხედოთ მეორე მხრიდანაც — როგორ შეიძლება, უპერსპექტივობაზე ილაპარაკო, როცა ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და ევროპის სხვადასხვა ცნობილ კლუბებში გაბნეული უნვერული ბიჭები გყავს...**



ვფიქრობთ, ბევრი დაგვეთანხმება ერთში: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბოლო წლებში მუდამ არაოპტიმალურად ირჩეოდა, ან სელექცია მოიკოჭლებდა, ანაც უაზრო პრინციპებს ეწირებოდა გადამწყვეტი მატჩები.

მაგალითი? 21-წლამდელებში 17 წლის ბავშვები ჩნდებოდნენ. სწორად გაგვიგეთ, ლაპარაკი არ გვაქვს იგივე ყენიაზე ან მის დარ გამორჩეულ ტალანტებზე.

თუმც ხშირად ისეც ხდებოდა, ფეხბურთელი ასაკობრივი ნაკრებების გაუვლელად, მოულოდნელად ხვდებოდა „დიდებში“ და ეს უმეტესად არ ამართლებდა.

რატომ ვიჭრიდით ყელს საკუთარი ხელით? არ ვიცით, პეტარ სეგრტი და მანამდე რალფ მინგე ასე წყვეტდნენ.

ის კი უდავოა, რომ ბავშვებს ბავშვობას ართმევდნენ და ნაადრევად „აკაცებდნენ“. არანაირ ლოგიკას არ შეესაბამება, როცა არ იძახებ ლიტვური „კაუნასის“ ძირითადის ფეხბურთელს ან დანიური „ვიბორგის“ ლიდერს, ამ დროს კი შემადგენლობაში გყავს „გაგრას“ ან ახალციხის „მესხეთის“ 17 წლის სათადარიგო მოთამაშე.

ეს რაც ჩამოვთვალეთ, იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ გვერდის ავლა არ გამოვა.

მსგავს უაზრო არჩევანს წავაწყდით რუსეთთან მინსკის მატჩშიც, რომელსაც მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა და... რა მივიღეთ? გადიხარ მოსისხლე ქვეყანასთან სათამაშოდ და უმცროს ბავშვებს ათამაშებ.

ალბათ, უკეთესი იქნება, მეტოქეს გასახდელშივე არ ვაძლევდეთ უპირატესობას. ასეთ ასაკში 4 წელი კი არა, 6-თვიანი სხვაობასაც კი დაღიანია.

სულ მალე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს კახა ცხადაძე ჩაიბარებს და იმედია, მსგავსი პრეტენზიები მასთან აღარ გვექნება.

წლეულს გაზაფხულზე ევრო 2011-ის შესარჩევი ციკლი დაიწყება და მალე მეტოქეებსაც შევიტყობთ.

ახლა კი იმ ფეხბურთელებზე რომლებზეც ცხადაძეს გულისყური ექნება.

საერთო აზრით, შემადგენლობის მიხედვით, ახლა უკეთესი ახალგაზრდული ნაკრები უნდა გვყავდეს, რადგან 1988 წელს და შემდეგ დაბადებულთა თაობა წინანდელს სჯობია — ამაზე შედეგები მეტყველებს, თანაც, ცხადაძის გუნდს ერთი დიდი პლუსი ექნება: მისი მომავალი შეგირდებიდან ბევრს უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, ასაკობრივებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ცხადია, ამ სიით ცხადაძეს არაფერს ვუკარნახებთ. უბრალოდ, მკითხველს ვთავაზობთ, კონკრეტულად დღეს, რა მარაგით, რა კონტინგენტით მოგვიწევს შესარჩევში თამაში.

*მეკარეები: გიორგი მაკარიძე (90 ლე მანი, საფრანგეთი), როინ კვასხვაძე (89, ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (88, გაგრა).*

მშვენიერი „მასალაა“, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაკარიძეს ეროვნულ ნაკრებშიც ხშირად უთამაშია, კვასხვაძე და თევდორაძე კი ბევრჯერ ყოფილან ეროვნულის შეკრებაზე.

ამათგან ყველაზე სტაბილური უდავოდ ზესტაფონელია, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა.

*მცველები: ამირან სანაია (89, ლე მანი), გიორგი რეხვიაშვილი (88, ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (88, დინამო), ლევან კაკუბავა (90, დინამო), კარენ მაკარიანი (89, ზესტაფონი), შურმან ქურასბედიანი (88, სპარტაკი), გიორგი ელბაქიძე (88, ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (89, დინამო, უკრაინა), დავიდ ივანიდისი (90, ირაკლისი, საბერძნეთი), გია გრიგალავა (89, სკა-როსტოვი, რუსეთი), ზურაბ გვაძაბია (88, ამერი), დავით მჭედლიშვილი (88, ამერი).*

სანაიას ეროვნულ ნაკრებში ორჯერ უთამაშია; მხოლოდ ქება გვესმის „აიაქსში“ გასინჯვაზე მყოფ გია გრიგალავაზე, რომელიც „სკა-როსტოვის“ საკუთრებაა. გრიგალავა აქტუალური თემაა: ამ ბიჭზე წინა ნომერშიც გვეწერა. ის, რაც შეიძლება, მალე უნდა ათამაშონ საქართველოს ახალგაზრდულში, რათა რუსეთმა არ დაისაკუთროს. ჯერჯერობით კი ნიჭიერი მცველი „კეთილი მეზობლის“ მოქალაქეა;

კიდევ ერთი საინტერესო ფიგურა, ვფიქრობთ, ბერძნული „ირაკლისის“ მარჯვენა მცველი დავიდ ივანიდისია. ის საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია და ჩვენს ნაკრებში თამაში სურს.

*ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (89, ზესტაფონი), ნიკა კვასხვაძე (88, ზესტაფონი), ალექსი ბენაშვილი (89, ზესტაფონი), გიორგი ხიდეშელი (88, ზესტაფონი), ვაჟა ნემსაძე (90, დინამო), გიორგი განუგრავა (88, პოლესლავი, ჩეხეთი), დავით თარგამაძე (89, ფრაიბურგი, გერმანია), ზაქარია ბეგლარიშვილი (90, ოლიმპი), ირაკლი კლიმიაშვილი (88, ვიტ ჯორჯია), მირზა ბუკლავა (88, ლუშტენაუ, ავსტრია), თემურ შონია (90, სპარტაკი), ლევან შარიქაძე (89, გაგრა), ზამორა დათუნაშვილი (88, გაგრა), თორნიკე თარხნიშვილი (90, სპარტაკი), ირაკლი ხუციძე (90, ამერი), თამაზ ჩარგეიშვილი (89, გაგრა), მიხეილ როსტიაშვილი (90, ვიტ ჯორჯია), გიორგი ჯანელიძე (90, ვიტ ჯორჯია), ლევან ყენია (90, შალკე, გერმანია), ბექა ბეროშვილი (89, დნიპრო, უკრაინა).*

შთამბეჭდავ სიას ვხედავთ, ოღონდ, ცხადია, ზოგიერთმა მათგანმა, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდროს ადგილი და ეს მხოლოდ გაგვიხარდება.

ყენია ფიქტიურად გვყავს აქ, რადგან ასაკით ეკუთვნის ახალგაზრდულში თამაში — თორემ ანა-ბანა რად უნდა, ის დღეს მთავარი ნაკრებისთვის თითქმის შეუცვლელია.

კლიმიაშვილი, დაუშვილი, ხიდეშელი, ბენაშვილი, განუგრავა, ბუკლავა: მათ ეროვნულში უთამაშიათ.

*თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (88, დნიპრო, უკრაინა), მათე ვაწაძე (88, დინამო), რატი წინამძღვრიშვილი (88, ზესტაფონი), გიორგი გაბედავა (89, გაგრა), ირაკლი შეყილაძე (92, ემპოლი, იტალია), რევაზ ბარაბაძე (88, უვუნდო), მიხეილ ბარაბაძე (88, ჰეკ, დანია), ვახტანგ ფანცხავა (89, ლე მანი, საფრანგეთი), ნიკა ჯიშკარიანი (90, დინამო), გიორგი ივანიშვილი (89, ციურიხი), ბესიკ ჩიმაკაძე (88, ზესტაფონი), მიხეილ ხუკურაშვილი (90, გაგრა), ირაკლი სიხარულიძე (90, დინამო), ლევან მჭედლიძე (90, პალერმო, იტალია), ვახტანგ კვარაცხელია (88, ვიტ ჯორჯია).*

მჭედლიძესა და გოცირიძეს ეროვნული ნაკრების მაისურა აცვიათ, თუმც მათ გარდაც არიან ქვეყნის მთავარ გუნდში ერთხანს დაწინაურებულნი — რევაზ ბარაბაძე და რატი წინამძღვრიშვილი. გაბედავასა და ვაწაძეს კი ექტორ რაულ კუპერი „სამშაბათობაზე“ იხმობს ხოლმე. საინტერესონი არიან ივანიშვილი და მთლად ბავშვი ირაკლი შეყილაძე, რომელიც 17 წლამდელების ბომბარდირია და უკვე 19-წლამდელებშიც ათამაშეს.

**ილია ნანობაშვილი**






## შოთა კაშია ჩერნომორეცშია

**თბილისის** „დინამოსთან“ კონტრაქტდასრულებული შოთა კაშია ოდესის „ჩერნომორეცში“ ისინჯება.

ეს კლუბი 19 იანვარს თურქულ შეკრებაზე მიდის და ქართველი მარჯვენა მცველიც მათთან ერთად იქნება.

უკრაინული პრესის ცნობით, სავარაუდოდ, შოთას მალე ჩარიცხავენ ოდესურ გუნდში.

„ჩერნომორეცში“ ბოლო წლებში გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი და კახა მჟავანაძე თამაშობდნენ. მჟავანაძემ პირველი წრე სწორედ ამ გუნდში გაატარა, თუმცა ტრანსფერზე დააყენეს.

**ილია ნანობაშვილი**

## ბექა გოცირიძემ გოლი ვერ ნახა

**უკრაინულმა** „დნიპრომ“ ერთ დღეს ორი ტესტ-მატჩი გამართა სხვადასხვა შემადგენლობით.

ქართველების გარეშე მოთამაშე „დნიპრომ“ 6:2 იძალა, ჩვენიანებმა კი 2:1 მოუგეს ყაზახურ „ირტიშს“.

ყაზახებთან ჯაბა კანკავამ და ბექა გოცირიძემ 90-90 წუთი ითამაშეს, სანდრო კობახიძემ კი მეორე ტაიმი ჩაატარა.

გოცირიძეს სამჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ არა და არ გაუმართლა. ერთხელ ჯაბა კანკავასაც შეეძლო ეხეირა — მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა.

„დნიპროს“ მწვრთნელ ვლადიმირ ბესონოვს ამ ორ მატჩში ძირითადი და სათადარიგოებად არ დაუყვია შემადგენლობები.

„შერეულები ვიყავით. ასე რომ, ვერ გაიგებდი, რომელი პირველი გუნდი იყო და რომელი მეორე“ — გვითხრა კობახიძემ.

რაც შეეხება დნიპროელთა მეორე ქართველ ბექა ბეროშვილს, ის დუბლებში ირჯება და უკრაინის „სტალთან“ ამხანაგურში (1:1) 55 წუთი ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# თემურ ქეცბაია: მსოფლიოში მე-17



**მსოფლიო** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ 2008 წლის საუკეთესო 25 საკლუბო მწვრთნელი დაასახელა და, ცხადია, მასში თემურ ქეცბაიაც მოხვდა. ეს სია მწვრთნელთა მიერ მოგება-წაგებების ბალანსით, ასევე მათი გუნდების პროგრესის მიხედვით შედგა.

რომ არ დაგავიწყდეთ: ქეცბაიას „ანორთოსისზე" კარგი შედეგი ბევრ კლუბს ჰქონდა, თუმცა „ანომ" ხომ თითქმის ნულიდან დაიწყო, ანუ რეიტინგში სასწაული წინსვლა ჰქონდა.

ქეცბაია ბელარუსულ ბატე-ს თავკაც ვიქტორ გონჩარენკოსთან ერთად მე-17-მე-18 ადგილებს იყოფს.

წლის საუკეთესო მწვრთნელი, ცხადია, სერ ალექს ფერგიუსონი გახდა — მისმა „მანჩესტერმა" ხომ თითქმის ყველაფერი მოიგო, რაც კი მოსაგები იყო.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ალექს ფერგიუსონი | მანჩესტერი | შოტლანდია | 264 |
| 2. დიკ ადვოკაატი | ზენიტი | ჰოლანდია | 144 |
| 3. ედგარდო ბაუსა | ლიგადე კიტო | არგენტინა | 64 |
| 4. არსენ ვენგერი | არსენალი | საფრანგეთი | 61 |
| 5. რაფა ბენიტესი | ლივერპული | ესპანეთი | 60 |
| 6. კარლოს ლუის იშია | ბოკა | არგენტინა | 28 |
| 7. რობერტო მანჩინი | ინტერი | იტალია | 27 |
| 8. ავრაამ გრანტი | ჩელსი | ისრაელი | 19 |
| 9. მანუელ ხესუს სილვა | ალ-აჰლი | პორტუგალია | 18 |
| 10. ფრანკ რაიკარდი | ბარსელონა | ჰოლანდია | 17 |
| 11. ოტმარ ჰიცფელდი | ბაიერნი | გერმანია | 15 |
| 12. მანუელ პელეგრინი | ვილიარეალი | ჩილე | 14 |
| 13. მურისი რამალიო | სან-პაულუ | ბრაზილია | 14 |
| 14. რალფ რანგნიკი | ჰოფენჰაიმი | გერმანია | 12 |
| 15. ჟოზე მოურინიუ | ინტერი | პორტუგალია | 11 |
| 16. ლუჩანო სპალეტი | რომა | იტალია | 10 |
| 17. **თემურ ქეცბაია** | ანორთოსისი | საქართველო | 9 |
| 18. ვიქტორ გონჩარენკო | ბატე | ბელარუსი | 9 |
| 19. აკირა ნიშინო | გამბა ოსაკა | იაპონია | 8 |
| 20. ადენორ ტიტე | პორტუალეგრო | ბრაზილია | 8 |
| 21. კლაუდიო რანიერი | იუვენტუსი | იტალია | 8 |
| 22. ჩეზარე პრანდელი | ფიორენტინა | იტალია | 6 |
| 23. მირჯალოლ კასიმოვი | ბუნიოდკორი | უზბეკეთი | 6 |
| 24. ხავიერ აგირე | ატლეტიკო | მექსიკა | 5 |
| 25. ალენ პერენი | ლიონი | საფრანგეთი | 5 |

ეს რაც შეეხება სტატისტიკას: აი, უეფას ოფიციალური ვერსიით კი, ქეცბაია მე-17 ადგილზე ნაღდად არ გავა — მინიმუმ მეხუთე საფეხური გარანტირებული აქვს.

WWW.UEFA.COM-მა ხომ 40 წლის ქართველი ხუთ რჩეულს შორის დაასახელა და ნებისმიერ გულშემატკივარსა თუ სპეციალისტს 12 იანვრამდე შეეძლო ხმის მიცემა.

უეფას გადაწყვეტილებით, ამ ხუთეულიდან საუკეთესო 21 იანვარს გამოცხადდება.

**ილია ნანობაშვილი**



# დავით მუჯირი: თამაში ძალიან მომენატრა

**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ნახევარმცველმა დავით მუჯირმა ინტერვიუ მისცა რუსულ ტელეკომპანია „სპორტს"...

„ვერ წარმოიდგენთ, შინ ჯდომა როგორ მომწყინდა. თამაში ისე მომენატრა, რომ ვარჯიში ჯერ კიდევ შვებულებაში ყოფნისას დავიწყე. სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი. ცხადია, ძნელია იმ იმედგაცრუების დავიწყება, რომელიც განვლილ სეზონში განვიცადეთ. კარგი გაკვეთილი მივიღეთ და შეცდომების გამოსწორებას ვეცდებით. გასულ სეზონში მეც ძალიან გამიჭირდა. ტრავმის გამო სასურველ ფორმაში ვერაფრით ჩავდექი და ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ბოლო მატჩებში გამოვჩნდი. იმედი მაქვს, დანაკლისს სამომავლოდ ავანაზღაურებ. მე, უბრალოდ, თამაში კი არა, გუნდისთვის სარგებლის მოტანა მინდა. წარმატება რომ გვექნება, ამაში ეჭვიც არ მეპარება".

**ქახა ზალამბერიძე**

# რევიშვილი თანამეგობრობაზე ვიტალი მუტკომ წაიყვანა

**სულ** მალე „თანამეგობრობის თასი" დაიწყება, სადაც საქართველოს ჩემპიონი არ ითამაშებს — ეს პირველი შემთხვევაა და რატომ იუარა თბილისის „დინამომ" ამ პრესტიჟგახუნებულ ბურთაობაში მონაწილეობა, რა გამოცნობა უნდა.

ქართული გუნდი არ იქნება, მაგრამ ქართველების გარეშე მაინც არ ჩაივლის ტურნირი. მაგალითად, ყაზანის „რუბინში" ნუკრი რევიშვილი ითამაშებს.

რუსეთის ჩემპიონი სულაც არ აპირებდა ძირითადი ფეხბურთელების გაშვებას ამ ტურნირზე, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ „რუბინის" ხელმძღვანელებს „ყური აუწია", ძალიან ზევიდანაც ნუ გადმოგვხედავთ და ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი მაინც ათამაშეთო.

ჰოდა, რევიშვილიც ასე, მუტკოს „წყალობით" მოხვდა თანამეგობრობაზე.



# ყაზანელთა გერმანული მარცხი თურქეთში

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ყაზანის „რუბინმა" გერმანულ „ნიურნბერგთან" 1:3 დათმო. ამ მატჩში ნუკრი რევიშვილს არ ენდნენ, დავით კვირკველიამ პირველი ტაიმი ჩაატარა, ლაშა სალუქვაძე კი შესვენების შემდეგ შევიდა მინდორზე.

კვირკველია „რუბინში" უეჭველად დარჩება. აი, რევიშვილისა და სალუქვაძის საკითხი კი გასარკვევია — მათ კონტრაქტები დაუმთავრდათ ყაზანურ კლუბთან და ჯერჯერობით არ გაუგრძელებიათ.

რევიშვილმა გვითხრა, სათამაშო პრაქტიკის გარეშე „რუბინში" დამრჩენი არ ვარ, მალე გაირკვევა, რამდენად ვჭირდები გუნდსო. სალუქვაძეს კი კრასნოდარის „კუბანის" ვარიანტები აქვს...

# კვირკველია რუბინის ათეულში



**ყაზანის** „რუბინის" ოფიციალურმა ვებგვერდმა 2008 წლის პრემიერლიგის ჩემპიონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვაში რუსეთის 28 საინფორმაციო საშუალება მონაწილეობდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მარცხენაფლანგელმა დავით კვირკველიამ მე-9-მე-10 ადგილები გაიყო მაკბეტ სიბაიასთან.

პირველი ადგილი „რუბინის" კაპიტანმა სერგეი სემაკმა დაიკავა, მეორეზე მეკარე სერგეი რიჟიკოვი გავიდა, მესამეზე კი თურქი ფორვარდი გიოკდენიზ კარადენიზი.

**ქახა ზალამბერიძე**

# ტომმა, სალუქვაძე აღარ გვინდაო

**ტომსკის** „ტომის" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ნეპომნიაშჩიმ საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის" მცველ ლაშა სალუქვაძისადმი ინტერესი უარყო.

„ის „ტომის" ინტერესთა სფეროში არ შედის და არც არასდროს შედიოდა, მაგრამ, როგორც ფეხბურთელი, მომწონს. მარცხენა მცველის პოზიციაზე მოსკოვის „სპარტაკიდან" ანდრეი ივანოვი უკვე ავიყვანეთ" — განაცხადა ნეპომნიაშჩიმ.

სალუქვაძეს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალი ხელშეკრულება ჯერაც არ გაუფორმებია, თუმცა გუნდს თურქულ შეკრებაზე მაინც ახლავს.

**ქახა ზალამბერიძე**



ომარ თეთრაძე

# ალადაშვილმა ანჟი გოლით დაიწყო

## დაღესტანი რომ სანატრელი იქნება

**ქართველებით** სავსე „ანჟიმ“ თურქულ შეკრებაზე ყაზახური კლუბები „ამოირემა“ და ჯერჯერობით მათ ეთამაშება ტესტ-მატჩებს.

ომარ თეთრაძის გუნდმა ჯერ „აქტობეს“ 2:1 სძლია და ორივე გოლი ქართული იყო: ზურაბ არზიანმა მარცხნიდან ჩაწოდებულით იხეირა, კახა ალადაშვილმა კი ინდივიდუალური გარღვევა დააგვირგვინა.

სადებიუტო მატჩი და გოლი — ასე დაიწყო ალადაშვილმა დაღესტნური კარიერა.

მეორე მატჩში „ანჟი“ „ქეტისუს“ 1:1-ზე გაეყარა. ჩვენიანთა გუნდი აგებდა და 87-ე წუთზე გაათანაბრა. საგოლე პასი გოჩა ხოჯავასი იყო.

ამ შეხვედრაში მცირეტრავმიანი რევაზ ჯიქიას გარდა ყველა ქართველმა ითამაშა: არზიანი, ოთარ მარცვალაძე, სანდრო იაშვილი და გიორგი ნავალოვსკი პირველ ტაიმში იყვნენ. ედიკ საჯაია მე-5 წუთზე ჩაერთო თამაშში და ბოლომდე მინდორზე იყო, ხოჯავამ კი მეორე ტაიმი ჩაათამაშა.

ერთი საინტერესო ამბავი: ახალ სეზონში „ანჟის“ წლიური ბიუჯეტი 15-20 მილიონი ევრო იქნება. ქართული კლუბები კი ამას ვერც იოცნებებენ.

აი, ასეა, დაღესტანი რომ სანატრელი გაგიხდება...

ილია ნანობაშვილი

# ადამიამ ნეფთჩი თავის თავზე აიღო

გიორგი ადამიას „ბაკიში“ ჩარიცხვა შეფერხდა — „ნეფთჩი“ 180 ათას მანათს ითხოვს ქართველ ფეხბურთელში, რამაც მოლაპარაკება ჩიხში შეიყვანა.

„ბაკი“ ანთალიაში წავიდა შეკრებაზე და პრობლემის მიუხედავად, ადამია მაინც გაჰყვა გუნდს. აზერბაიჯანული პრესის ცნობით, გიორგის თავად დაუწყია „ნეფთჩისთან“ მოლაპარაკება და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს გაწელილი ისტორია...



— ბაქოში ჩასულმა „ბაკისთან“ პირადი კონტრაქტის დეტალები შევათანხმე და სხვა საკითხებიც მოვაგვარე. თუმცა, არ მეგონა, მსგავსი პრობლემები თუ შემექმნებოდა. ახლა ჩემი მომავალი კარიერა საფრთხეშია...

**— არ იცოდით, რომ კლუბი, რომელსაც თქვენი სატრანსფერო უფლებები ეკუთვნის, სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში გარკვეულ თანხას მოითხოვდა?**

— ვფიქრობდი, რომ „ბაკი“ და „ნეფთჩი“ ყველაფერს თავად გაარკვევდნენ. თუმცა მხარეებს შორის გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გაირკვა, რომ ჩემი ტრანსფერის სანაცვლოდ საკმაო თანხაა გადასახდელი. დღესდღეობით ისეთი ვითარებაა, რომ შესაძლოა, „ბაკიში“ კარიერა ველარც გავაგრძელო.

**— „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობას ესაუბრეთ?**

— კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ილგარ გულუზადეს ვესაუბრე. მან მითხრა, რომ ჩემი შეძენის მსურველ კლუბს გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს.

**— გავრცელებული ინფორმაციით, საკომპენსაციო თანხა 180 000 მანათს შეადგენს...**

— თანხაზე საუბარი არ მსურს. უბრალოდ, ფეხბურთის თამაში მინდა. ვფიქრობ, რომ თუ „ნეფთჩის“ არ ვჭირდები, მაშინ ხელმძღვანელობა სხვა გუნდის მოძებნაში უნდა დამეხმაროს.

**— „ბაკი“ ამ თანხის გადახდას არ აპირებს?**

— კლუბი მზად არის, ხელფასი და საკონტრაქტო თანხა გადამიხადოს. თუმცა „ბაკის“ ფულის გადახდა „ნეფთჩისთვისაც“ თუ მოუხდა, მაშინ ჩემსა და კლუბს შორის არსებული შეთანხმების გადახედვა მოგვიწევს. არა მგონია, რომ „ბაკიმ“ ამხელა თანხა გაიღოს.

**— რას აპირებთ?**

— ვფიქრობ, პრობლემის მოგვარება შევძლოთ. უახლოეს დღეებში „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობას შევხვდები და სიტუაციას განვიხილავთ. იმედი მაქვს, გამოსავალს ვიპოვით და სეზონის ბოლომდე „ბაკიში“ ვითამაშებ.

**— მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ რას გეგმავთ?**

— კარგი წინადადებები მაქვს, რომლებზეც დაფიქრება ღირს. შესაძლოა, კარიერა სხვა ქვეყანაში გავაგრძელო.

# ცხადაძე-პოკორას ძველი სკანდალი



კახა ცხადაძე

**საინტერესო** ამბავი კახა ცხადაძის „სტანდარდში“ მწვრთნელობისას: აზერბაიჯანული პრესა წერს, ცხადაძის გუნდი შედეგის კვალობაზე ძალიან მიმზიდველ, შინაარსიან ფეხბურთს თამაშობდაო, მაგრამ იქვე ერთი მცირე სკანდალიც აქვთ აღწერილი...

„სიმურგთან“ მატჩის შემდეგ ცხადაძემ, რითაც შეძლო, იმით გამოხატა უკმაყოფილება და მეტოქის მწვრთნელ რომან პოკორაზე „გადაატარა“ წყენაო. პოკორას კი ხმისთვის არ აუწევია და ცხადაძისთვის უთქვამს, დაწყნარდიო...

აზერბაიჯანული პრესის ვარაუდით, „სტანდარდის“ ხელმძღვანელობამ ცხადაძის დარჩენა-არდარჩენის განხილვისას ეს სკანდალიც გაითვალისწინა.

არავისთვის უცხო არ არის, რომ ცხადაძე ემოციური მწვრთნელია. ჩანს, ზოგისთვის ეს მიუღებელია, ზოგისთვის მისაღები.

სულ მალე ცხადაძე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დაინიშნება და... იყოს იმპულსური, ოღონდ შედეგი აჩვენოს.

ოთარ მხეიძე

# მენთეშაშვილმა ორ ქართველს მოუგო

**ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსმა“ ტესტ-მატჩში 2:0 სძლია ნუკრი მანჩხავა-აკაკი ხუბუტიას „კაუნასს“.

ამ მატჩში სამივე ქართველი ძირითადში იყო და შესვენების შემდეგ შეცვალეს.

რაც შეეხება „კაუნასის“ მესამე ჩვენიანს, გივი კვარაცხელიას, მას არ უთამაშია.

კვარაცხელია ბელარუსულ „მტზ-რიპოში“ იყო განათხოვრებული, თუმც იჯარა დაუსრულდა და ლიტვურ კლუბს დაუბრუნდა.



ზურაბ მენთეშაშვილი

ილია ნანობაშვილი

# გურულის ტეტ-ა-ტეტ

**ლვოვის** „კარპატიმ“ წლის პირველი მატჩი გამართა და გროზნოს „ტერეკს“ ამხანაგურში 2:1 სძლია. დასავლეთუკრაინული კლუბის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა სანდრო გურულმა კარგად ჩაათამაშა ეს მატჩი და პირველი გოლი სწორედ მისი დამსახურებაა — მეკარეს პირისპირ შეატოვა თანაგუნდელი.

გურულმა პირველი ტაიმი ითამაშა, შესვენების მერე კი „კარპატის“ შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა.

ლვოვურ გუნდში მალე ერნესტ აკუასაგაც გამოჩნდება — განონელი მცველი, რომელიც „ზესტაფონსა“ და რუსთავის „ოლიმპში“ თამაშობდა.

ილია ნანობაშვილი

# მათე და მეგობარი ტრავმა



**მათე ღვინიანიძე** ჯერ 21 წლისაა, მაგრამ უკვე იმდენჯერ მიიღო ტრავმა, 20-წლიან კარიერას „ეყოფოდა“. სამწუხაროდ, მათეს ბევრი დააკლო მუდმივმა ოპერაციებმა და დღეს რომ „მიუნხენ 1860“-ზე კარგ გუნდში არ თამაშობს, ამის ბრალიცაა.

ქართველ მცველს ამჯერად მძიმე ტრავმა არ აწუხებს, კუნთი სტკივა და ამის გამო გამოტოვა მიუნხენელთა წლევანდელი პირველი ტესტ-მატჩი — მისიანებმა ესპანეთის ქვედადივიზიონელ „სიუდად მარინოს“ 1:0 აჯობეს.

სავარაუდოდ, ჩვენიანს დიდი ხანი არ გაუცდება: მეორე ბუნდესლიგის განახლებამდე მწყობრში ჩადგებაო.

ილია ნანობაშვილი

მიხეილ მესხის ქარვანმა ქართველები გამოუშვა

# მიხეილ მესხის ქარვანმა ქართველები გამოუშვა

**აზერბაიჯანულმა** „ქარვანმა“ ამხანაგურ მატჩში ბაქოს „ინტერის“ სარეზერვო გუნდს 2:1 სძლია. მოგებულთაგან ერთი გოლი მიხეილ მესხმა გაიტანა.

და კიდევ, „ქარვანში“ გასინჯვაზე რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი იყო, თუმცა არც ერთი არ დაუტოვებიათ — მესხი არ ითვლება, ის ამ კლუბის ფეხბურთელი პირველ წრეშიც იყო.

ილია ნანობაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაგრამ სიდეში 21 წაიყვანა

## რა თვალით შეხედავენ ნიგერიელს?



ვლადიმერ ხაჩიძე



ოვონიკოკო აბაიომი სეუნი

საარქივო ფოტოები

**16 იანვარს** „გაგრა" თურქეთში გაემგზავრა — კურორტ სიდეში ორკვირიან შეკრებას გაივლის და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც ჩაატარებს.

გაგრელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ შეკრებაზე 21 ფეხბურთელი წაიყვანა...

***მეკარეები:*** *რევაზ თევდორაძე, სოსო ხომერიკი;*

***მცველები:*** *ზაზა ქაჯაია, დავით გიგაური, ჯიმი გაბუნია, გიორგი სარაჯიშვილი, აკაკი კუპრეიშვილი;*

***ნახევარმცველები:*** *ზამორა დათუნაშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, გიორგი ცხადაია, თამაზ ჩარგეიშვილი, ლევან შარიქაძე, თორნიკე მოსიაშვილი, ლევან სეთურიძე, ნიკოლოზ ფანცხავა, გიორგი გავაშელიშვილი;*

***თავდამსხმელები:*** *ზურაბ ძაგანია, დავით ჩხაიძე, ლევან კიკნაძე, გიორგი გაბედავა, ბაჩანა ცხადაძე.*

ერთიც: საქართველოში ჩამოვიდა 16 წლის ნიგერიელი ფეხბურთელი ოვონიკოკო აბაიომი სეუნი.

ის „გაგრას" სარეზერვო გუნდთან ერთად ივარჯიშებს და დიდი შანსია, ორ-სამ დღეში თურქეთში ძირითად გუნდს „დააწიონ".

გაგრელები პირველ საკონტროლო შეხვედრას 19 იანვარს ლიეპაიას „მეტალურგსთან" გამართავენ.

**ბახა შალამბერიძე**

# სამი ქართველი მაკაროვის თასზე

**კიევის** „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე მიმდინარე ოლეგ მაკაროვის სახელობის ტურნირზე, მაუპთან 2:1 მოგებულ შეხვედრაში, „დინამო 2"-ში სამმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა — დავით იმედაშვილმა, ლაშა თოთაძემ და თემურ ფარცვანიამ.

შეგახსენებთ: 24 წლის იმედაშვილი „დინამოში" 2006 წელს გადავიდა თბილისის „ვიტ ჯორჯიადან"; 17 წლის ფარცვანია, საქართველოშია დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ უკრაინის მოქალაქეობა აქვს და ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს;

20 წლის თოთაძე კი „დინამომ" შარშან „გაგრადან" გადაიყვანა.

# თბილისის დინამო-2 აკადემიიდან შეივსო

**თბილისის** „დინამო 2"-მა დიღმის ბაზაზე ვარჯიში განაახლა, რასაც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით კველიშვილი გამოეხმაურა...

„სასიამოვნოა რომ ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ჩვენ კი აკადემიიდან რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ...

-გუნდმა ვარჯიში 15 იანვარს განაახლა, 24 იანვრიდან კი შეკრებაზე გადავალთ და 6 თებერვლამდე ორჯერად ვარჯიშებს გავმართავთ. დილით ყურადღება ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა, მეორე ვარჯიშზე კი აქცენტს ტექნიკა-ტაქტიკურ მომზადებაზე გავაკეთებთ. ჩავატარებთ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას, ხოლო 2 მარტიდან ჩემპიონატიც განახლდება...

-კლუბის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს მეორე გუნდს და მუშაობისთვის ყველანაირ პირობას გვიქმნის".

**ოთარ მხეიძე**

საფეხბურთო სკოლების რაოდენობით თბილისი ნაღდად დაიკვეხნის. ნორმალური ინფრასტრუქტურა თქვით, თორემ გაჭირვებულები, იცოცხლეთ, ბევრია. ამჯერად დედაქალაქის კიდევ ერთ სკოლას, „ნორჩ დინამოელს" ვესტუმრეთ და 1995-96 წლებში დაბადებულთა მთავარ მწვრთნელ ავთანდილ შენგელიას გავესაუბრეთ...



# კანონი გვინდა!

## ავთანდილ შენგელია: ნიჭიერთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო

— მწვრთნელის ლიცენზიას თუ ფლობთ?

— რა თქმა უნდა, C ლიცენზია მაქვს და მინდა გითხრათ, რომ სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ინსტრუქტორი ვარ, სადაც მწვრთნელები C ლიცენზიებს იღებენ. ჩემს ხელში ბევრ მწვრთნელს გაუვლია. მეც ჩავაბარე ეს კურსები და ლიცენზიაც ალალად ავიღე.

— თქვენს სკოლაში რამდენი არის გადასახადი?

— წლიურად 400 ლარი უწევს. ზოგჯერ სკოლა თავად იძენს ბურთებს და ინვენტარს, ხანაც მშობლები ყიდულობენ.

— შეღავათები თუ ვრცელდება გაჭირვებულ ოჯახებზე?

— ხელმძღვანელობა ყველაფერს ითვალისწინებს და ჩვენთან არაერთი მოზარდია განთავისუფლებული გადასახადიდან. ნიჭიერ ბავშვებს სტიპენდიებიც აქვთ დანიშნული. საქართველოში ისეთი სოციალური მდგომარეებაა, რომ არ შეიძლება, სკოლამ სხვაგვარად იმუშაოს.

— სკოლას ბალახისსაფარიანი მოედანიც აქვს, მაგრამ ძალიან უხარისხო. რატომ ვერ ხერხდება მოედნის მოვლა?

— მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული, წყლის გადასახადი და კიდევ ბევრი სხვა ხარჯია... მერე რა, რომ კერძო სკოლაა, ყველა ევროპულ ქვეყანაში კომუნალურ გადასახადზე შეღავათებია დაწესებული, ჩვენთან კი ჯერ ამაზე არც ფიქრობენ.

**— რამდენად სასურველია მოზარდთა წვრთნა ხელოვნურსაფარიან მოედანზე?**

— 15 წლამდე დასაშვებია, მერე კი მინდორზე გადასვლაა აუცილებელი.

**— თქვენთან სამედიცინო შემოწმება თუ ხდება?**

— ვალერი ახალკაცის კლინიკაში მიგვყავს ბავშვები და იქ ხდება მათი შემოწმება.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში ბავშვთა ფეხბურთი მთავარი პრობლემა რა არის?**

— პირველ ყოვლისა, თითქმის ყველა სკოლაში ინფრასტრუქტურაა განსავითარებელი. რა თქმა უნდა, საერთო სოციალური მდგომარეობის გამო, უამრავ მშობელს ბავშვი ვერ მოჰყავს ფეხბურთზე, რადგან ფული არ აქვს. ახლა საქართველოში არ მეგულება ბიზნესმენი, რომელიც ფეხბურთში ფულს ჩადებს, თუ შეღავათი არ მისცა სახელმწიფომ. კანონი უნდა მიიღოს ქვეყანამ, რათა ბიზნესმენები ფეხბურთით დაინტერესდნენ, სხვაგვარად წინსვლა გამორიცხულია.

— ქართველების ნიჭიერებაზე ბევრი ლაპარაკობს, თქვენ რას ფიქრობთ?

— ნიჭიერი ბავშვები ახლაც არიან, მაგრამ იმდენი აღარ მოდის, როგორც ეს საბჭოეთის დროს იყო. მაშინ სხვანაირი გარემო იყო შექმნილი — ფიზკულტურის მასწავლებელი რომ შენიშნავდა ნიჭიერ ბავშვს, საფეხბურთო სკოლაში მიარბენინებდა. ახლა ფიზკულტურის გაკვეთილი თითქმის აღარ ტარდება, ქუჩის ფეხბურთიც მოიშალა და ნიჭიერ ბავშვთა რაოდენობამაც საგრძნობლად იკლო.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ თქვენს სკოლაში ერთობლივი პროექტი განახორციელეს და სამსაჯო და სამედიცინო ოთახები თანამედროვე დონეზე გაარემონტეს. კიდევ რა სიახლეები იგეგმება?

— სავარაუდოდ, თებერვალში კარგი ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთება იგეგმება და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ფაქტია, რომ ადრე ასეთი რამეები არ კეთდებოდა, ახლა კი ყინული დაიძრა, რაც მისასალმებელია...

**ნუკრი ლოლაძე**



# სად გაქრა 50 000 დოლარი?!

## ხაბულიანმა ხაბარელს: არჩევნებს განანებ!

**ბოლო წლებში ქართული ძიუდოს მიერ მოპოვებული წარმატებები გულშემატკივარს ალბათ აფიქრებინებდა, რომ ძიუდოს სამყაროში სრული ერთსულოვნება სუფევდა და ყველაფერი იდეალურად იყო. თუმცა რეალობა, რომ სხვაა, გასულ კვირაში გახდა ნათელი. დაპირისპირებაზე კულუარული ინფორმაციები მანამდეც ვრცელდებოდა, მაგრამ ღიად საუბარი პირველმა შოთა ხაბარელმა გადაწყვიტა და ჟურნალისტები შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში მიგვიწვია. ნაკრების თავკაცმა და ევროპის 2008 წლის საუკეთესო მწვრთნელმა ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი დავით ბერძენიშვილი, რბილად რომ ვთქვათ, გააკრიტიკა. ხაბარელი პრესკონფერენციის მსვლელობისას აღელვებული იყო და ყველაფერზე ღიად ილაპარაკა...**





დავით ბერძენიშვილი



## დავით ხახალეიშვილს წერა-კითხვა არ სცოდნია

— მინდა, თანმიმდევრული ვიყო და ყველაფერზე ვისაუბრო. მოგეხსენებათ, როგორი წარმატებებიც მოიპოვა ბოლო დროს ქართულმა ძიუდომ. დღეს მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო ხუთეულში შევდივართ.

ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით არ მოსულა. ამის უკან უდიდესი შრომა დგას. ჩვენ გამოვიარეთ სიცივე, უფულობა, დარბაზების უქონლობა, მაგრამ უკან არ დაგვიხევია და აქამდე მოვედით.

19 წელია ამ საქმეს ვემსახურები. ძიუდოს სამყაროში 30 წელზე მეტი ვარ. ამ ხნის განმავლობაში უამრავი დაბრკოლება და წინააღმდეგობა შემხვდა, მაგრამ ჩემ საქმეს მაინც ვაკეთებდი, თან ისე, რომ ჩემს პრობლემებს ვერავინ იგებდა. საქმეს ვაკეთებდი და ამაში ჩემი [illegible] შემმარებოდა. ძიუდო ქართველი ხალხის საკუთრებაა და არავის აქვს უფლება წაგვართვას...

ნაკრების სათავეში 1987 წლიდან ჩავუდექი. წარმატებებიც მოვიდა, მაგრამ ადამიანებმა, ვისაც ძალაუფლება ჰქონდათ, საქმეს ჩამომაშორეს. ბევრი ნიჭიერი ძიუდოისტი იძულებული გახდა, კარიერა დაესრულებინა. დავით ხახალეიშვილს, ამირან ტოტიკაშვილს და სხვებსაც შეეძლოთ კიდევ არაერთი წარმატების მოტანა. ამის გამო დღევანდელი პრეზიდენტისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. 4 წლის განმავლობაში 4 მწვრთნელი გამოიცვალეს, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს. ვიღაცამ მოიფიქრა ჩემი დაბრუნება და საქმეს თავიდან ჩავუდექი სათავეში.

ძიუდოს გამოცოცხლება ადვილი არ ყოფილა. ურთულესი გზა გავიარეთ. 4-5 წელი დაგვჭირდა ანგარიშგასაწევ ძალად რომ ჩამოვყალიბებულიყავით. 2004 წლის ოლიმპიადაზე ოქროს და ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ, რომელმაც საქართველოში ძიუდოს პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა. ქვეყნის პრეზიდენტმა 75 ტატამი გვაჩუქა და საქართველოში დარბაზები გაიხსნა. ეს ყველაფერი მწვრთნელების და სპორტსმენების დაუღალავი მუშაობის შედეგი გახლდათ. „პაირისტები" კი აცხადებდნენ, რომ ეს ყველაფერი მათი მონაპოვარი იყო.

ათენის ოლიმპიადის შემდეგ გადადგომაზე დამელაპარაკნენ. დილარ ხაბულიანმა ასეთი გეგმა შემომთავაზა: მე განცხადება უნდა დამეწერა და პრეზიდენტი ამას არ დააკმაყოფილებდა. შემდეგ მეორედ დავწერდი და მიზეზად ავადმყოფობას დავასახელებდი, რასაც ხაბულიანი ხელს მოაწერდა. ბუნებრივია, უარი ვუთხარი. ასეთი იდეების მოგონება მათთვის ადვილი იყო. ჯერ კიდევ 80-იან წლებში ძიუდოს წარმატებების სულისჩამდგმელი ბიძინა მაზიაშვილი ბინძური მეთოდებით ძიუდოს ჩამოაშორეს. ეს კოდანოვმა — იგივე დავით ბერძენიშვილმა გააკეთა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა ფედერაციის პრეზიდენტობა მოინდომა და დაიწყო მის წინააღმდეგ მუშაობა, რაც მისი ძიუდოდან წასვლით დამთავრდა.

ხაბულიანმა თქვა, რომ ხახალეიშვილმა წერა-კითხვა არ იცის და პრეზიდენტი როგორ იქნებაო.

ახლა როგორც ჩანს, ჩემი დრო დადგა. ბოლო პერიოდში ჩემ წინააღმდეგ სერიოზულად ამოქმედდა ხაბულიან-ბერძენიშვილის ტანდემი. ახლა ნაკრები მსოფლიოს თასისთვის ემზადება და თან უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა მიწევს. მწვრთნელთა საბჭოს მიმართვა გადავეცით ფედერაციას ბერძენიშვილის გადადგომის თაობაზე, თუმცა ამაოდ. ხაბულიანის თქმით, ის არსად არ წავა. მას არ აინტერესებს მწვრთნელების მოთხოვნა. ის შორს დგას ქართული ძიუდოსგან, საქმის კეთების თვალსაზრისით.

მე არსად წასვლას არ ვაპირებ. ეს ღალატი იქნება ჩემი ქვეყნის და ხალხის წინაშე. ღალატი იქნება მწვრთნელების და სპორტსმენებისა, ვისთან ერთადაც აქამდე მოვედი და წარმატებები მოვიპოვე. ვიცი, ამ განცხადების შემდეგ კიდევ უფრო დამიპირისპირდებიან. მათ ვერ აუტანიათ, რომ ხალხში ავტორიტეტით ვსარგებლობ.

არჩევნები დადგმული სცენარით ტარდება. გამარჯვების შანსი არ მქონდა. რეგიონებიდან დელეგატებს გამგებელს ანიშნინებდნენ. თუ ეს გეგმა არ გამოუვიდოდათ, სხვას აამუშავებდნენ. კანდიდატურა მოვხსენი, მაგრამ ხაბულიანის რისხვა მაინც ვერ ავიცილე. პირდაპირ მითხრა, კენჭისყრა რომ გადაწყვიტე, ნახავ ამის გამო, რაც მოგივაო. ძიუდოს სამყაროში არაჯანსაღი მდგომარეობაა და თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, უარესი იქნება.

ზეწოლა იყო მწვრთნელებზეც. ურეკავდნენ ბიჭებსაც. ნამდვილად ვიცი, რომ ასე იყო. თუმცა არასდროს მითქვია ბიჭებისთვის, რა მდგომარეობაში მიწევდა მუშაობა და არც არაფერს ვეტყვი, მათ თავისი საქმე აქვთ. ამ ყველაფერს ვითმენდი, მაგრამ ნერვები აღარ მყოფნის.

*კითხვაზე, იცოდნენ თუ არა ეს ყველაფერი ოლიმპიურ კომიტეტსა და სპორტის დეპარტამენტში, ხაბარელმა უპასუხა:*

— იცოდნენ, მაგრამ ბოლო დრომდე მთხოვდნენ, რომ ეს პრობლემა შიგნით გადაგვეჭრა და პრესკონფერენცია არ ჩამეტარებინა. ხაბულიანს კი არაფერს ეუბნებოდნენ.

*ხაბარელმა აკადემია პრესკონფერენციის დასრულებისთანავე დატოვა.*

*ჟურნალისტებმა კი დილარ ხაბულიანის კაბინეტში გადავინაცვლეთ. პრეზიდენტმა ასეთი კომენტარი გააკეთა:*

— საქართველოში ასეთი წარმატებები სპორტის არც ერთ სახეობას არ აქვს. არავის აქვს ასეთი პირობები. ეს კი ჩვენი მუშაობის შედეგია და არა მწვრთნელების. ხაბარელს შეიძლება, პიროვნული პრობლემები აქვს ბერძენიშვილთან, მაგრამ ეს ყველაფერი აქვე უნდა მოგვარდეს და არა საჯაროდ. შევხვდებით და დაველაპარაკებით. ამის პრობლემა არ უნდა იყოს. ულტიმატუმის ენაზე საუბარი არ არის საჭირო.

*ხაბულიანი სიტუაციის შემსუბუქებას ცდილობდა. თითქოს სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ დავით ბერძენიშვილმა თავისი კომენტარით ცეცხლზე ნავთი დაასხა:*

— ვერ გეტყვით, საიდან მოიტანა ეს ყველაფერი ხაბარელმა. გაკვირვებული ვარ. მისი გაღიზიანების მიზეზი ის არის, რომ ხარჯების გაკონტროლება დავიწყეთ. ადრე ის იყო მენეჯერიც და ფულის განმკარგავიც. ხელით გადაჰქონდა ფული. ჩვენ თანხების მკაცრი კონტროლი დავიწყეთ და დღესაც არ ვიცით, სად წავიდა 50 ათასი დოლარი, რომელიც ნაკრებმა იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღო. ის ფული გაქრა.

*ამის შემდეგ ჟურნალისტთა ნაწილმა ისევ ხაბულიანის კაბინეტში გადავინაცვლეთ და ბერძენიშვილის განცხადებაზე კომენტარი ვთხოვეთ. მან თქვა, რომ ფედერაციამ უბრალოდ არ იცოდა, ვინ რამდენი მიიღო იმ თანხიდან. იქვე დაამატა, რომ ეს შიდა პრობლემა იყო და ჟურნალისტებს ამ თემის აფიშირებისგან თავის შეკავება გვთხოვა.*

*საინტერესოა, რომ ბერძენიშვილმა, ვინც მალე კაბინეტში შემოვიდა და იქ პოლემიკაშიც ჩაება, რამდენიმე წუთში იგივე განცხადება ისევ გაიმეორა. რაზეც ხაბულიანმა ისევ გვთხოვა ჟურნალისტებს, 50 ათას დოლარზე ინფორმაცია არ დაგვეწერა. ეს პრობლემა შიგნით, ფედერაციაში გადაიჭრებაო.*

*ბუნებრივია, სპორტის დეპარტამენტის და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიციით დავინტერესდით.*

*დავით ნამგალაურმა ეს გვითხრა:*

— ვადასტურებთ, რომ ძიუდოს ფედერაციაში არის კონფლიქტი შოთა ხაბარელს, ფედერაციის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს შორის, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. ვიმედოვნებთ, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება. ეს ყველაფერი არ უნდა აისახოს შედეგებზე. მით უმეტეს, წინ გვაქვს თბილისის მსოფლიოს თასი და ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც ვმასპინძლობთ.

*თავისი პოზიცია სეოკის პრესსამსახურმაც დააფიქსირა — ცუდი ფაქტია. ჩვენ არ გვაქვს დაპირისპირებაში ჩარევის მექანიზმები, ორივე მხარეს დალაგებისკენ მოვუწოდებთ.*

**ლექსო მაისურაძე**

**დავით ბერძენიშვილის ბრალდების პასუხად შოთა ხაბარელმა 50 ათასი დოლარის ასავალ-დასავალი გაშიფრა**

ნესტორ ხერგიანი — 3 500; მინდია ხომიზური — 3 000; ზაზა კედელაშვილი — 3 500; დავით ქევხიშვილი — 3 500; ვარლამ ლიპარტელიანი 3 500; ირაკლი ცირეკიძე — 3 500; ლევან ჟორჟოლიანი — 3 500; ლაშა გუჯეჯიანი — 3 500; ნოდარ მეტრეველი — 2 000; ზურაბ კახაბრიშვილი — 2 000; გურამ რატიშვილი — 2 000; გურამ მოდებაძე 2 000; შოთა ხაბარელი — 3 300; ზურა უსუფაშვილი — 1 000; ფირუზ მარტყოფლიშვილი — 1 000; ვლადიმერ ნუცუბიძე — 1 000; ბორის ფირცხელიანი — 1 500; ოთარ ნათელაშვილი — 1 500; სოლომონ ფეიქრიშვილი — 1 500; ბიძინა მოხევიშვილი — 2 000; ინგა რაზმაძე — 700; ირინა საყვარელიძე — 500; სოფიო ცირეკიძე — 500.



ლაშა მალაღურაძე ნაკრებში ტიმ ლეინის მწვრთნელობისას დამკვიდრდა. „ყოჩების" გამოზრდილი ათი ნომერი ცოტა ხანი უკრაინაში თამაშობდა, მერე სამშობლოში დაბრუნდა, არცთუ დიდი ხნის წინ კი საფრანგეთის მეორე ლიგის „ბეზიეს" კვართი მოირგო. ლაშამ ფრანგულ გუნდში რამდენიმე მატჩი ჩაატარა და გატანილი საჯარიმოებითაც გამოირჩა. საფრანგეთში რომ დავუკავშირდით, თავიდან საკლუბო ამბებზე დავეკითხეთ, მერე კი სანაკრებო თემასაც გადავწვდით. ჩვენ „ლელოებს" ხომ საერთათასო მატჩები კარზე აქვთ მომდგარი...

# ახლა ბეზიეც კარგია

## ლაშა მალაღურაძეს საფრანგეთში მხოლოდ ცხრილი არ მოსწონს

— „ბეზიეში" ტიმ ლეინის დახმარებით გადავედი. ლეინმა ფრანგ აგენტს უთხრა ჩემ შესახებ და მან გამიხერხა ეს ვარიანტი. კარგი, მეგობრული გუნდია. ბიჭებსაც უკვე შევეწყვე. ერთი, რაც არ მომწონს, გუნდის ადგილია სატურნირო ცხრილში, გასავარდნ ზონაში ვართ.

— „ბეზიე" გასავარდნ ზონაში შენ გადასვლამდეც იყო. რატომ დათანხმდი ამ ვარიანტს?

— ამ ეტაპზე ეს საუკეთესო ვარიანტი იყო ჩემთვის. ახლა მთავარია, რომ გუნდში ვარ და უკეთესი ვარიანტიც გამოჩნდება. რაც უნდა იყოს, მთელი მეორე წრე წინ არის და ჯერ კიდევ შეიძლება დასარჩენად ბრძოლა.

— „ბეზიე" თუ გავარდა, დარჩები გუნდში?

— ჯერ არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. ისე კი, კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს: ექვს თვეს პლუს ერთი წელი. ანუ არჩევანის საშუალება მექნება და გადაწყვეტილებასაც სეზონის ბოლოს მივიღებ.

— ჯარიმებს შენ ურტყამ. გუნდში სხვა დამრტყმელი გყავთ?

— კი არიან, მაგრამ მწვრთნელმა მე მომანდო დარტყმა და მგონი, ცუდად არ გამომდის.

— „ბეზიემდე" უკრაინაში იყავი. ალბათ, შედარებაც არ შეიძლება სათამაშო დონით...

— სულ სხვა მდგომარეობაა, ინფრასტრუქტურაზე და მოედნებზე არაფერს ვიტყვი. თვითონ მორაგბეები არიან სხვანაირები. პროფესიონალები არიან და საქმეს ძალიან გულისხმიერად უდგებიან.

— „ყოჩებზეც" გკითხავ. ცუდი სეზონი არ გქონიათ...

— კარგი გუნდი გვყავდა. ჩემი აზრით, ჩემპიონობაც შეგვეძლო, მაგრამ „ლოკომოტივთან" ბოლო წუთებზე წავაგეთ ნახევარფინალი. დასანანი მარცხი იყო.

— მაინც რა დაგაკლდათ მოსაგებად?

— ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით და ამან დაგვღუპა. მეტოქე სათანადოდ უნდა დააფასო. საერთოდ კი, რამდენიმე კარგი გუნდია ჩემპიონატში და საერთო დონემაც მოიმატა. უფრო ახალგაზრდული გუნდებია. უკეთ თამაშიც შეუძლიათ, მაგრამ ხელსაყრელი პირობები არ არის. ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს. კარგი მოედნები ძალიან გვაკლია.

— ნაკრებზეც ვთქვათ. როგორ ფორმაში ხვდები მოახლოებულ მატჩებს. ერთა თასის განახლებამდე ბევრიც აღარ დარჩა...

— ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ. „ბეზიეში", რომ გადავედი, ეს ნაკრებისთვისაც სასარგებლოა. ევროპულ გუნდში სათამაშოდ ყოველთვის განსაკუთრებული განწყობით მოვდივარ და ახლაც მოუთმენლად ველი მატჩებს.

— ბევრის აზრით, ეს ერთა თასი გაცილებით რთული იქნება წინამორბედებზე...

— კი, რთული იქნება იმიტომ, რომ მეტოქეები გაძლიერდნენ. რუმინეთი და რუსეთი თავისთავად ცნა, პორტუგალიასაც და ესპანეთსაც კარგი ნაკრებები ჰყავთ. ყურადღების მოდუნება არავისთან შეიძლება. იგივე ესპანეთთან ხომ ვნახეთ, ბოლოს როგორ გაგვიჭირდა.

— მაინც ვის აქვს ერთა თასის მოგების მეტი შანსი?

— საქართველოს! ფავორიტები ჩვენ ვართ. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტები გაძლიერდნენ, ჩემპიონები უნდა გავხდეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ახლა ტიმ ლეინს ყველა მოთამაშის გამოყენება შეეძლება. ადრე ფრანგული გუნდები წამყვან მორაგბეებს არ უშვებდნენ და ამის გამო გვიჭირდა. ახლა კი, იმედი მაქვს, ყველა ვიქნებით.

**ლევსო მაისურაძე**

# აბა, ქუდზე კაცი!

## ლეინს ქართველთა სია ავსტრალიიდან მოაქვს

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრები წლევანდელ სეზონს ერთა თასზე გერმანიასთან მატჩით დაიწყებს. „ლელოები" მცირე ექვსი ერის დებიუტანტ გერმანელებს 7 თებერვალს ჰაიდელბერგში შეერკინებიან.

ტიმ ლეინი სანაკრებო სიას თვის მიწურულს ჩამოწერს. „ლელოების" ავსტრალიელი თავკაცი საქართველოში 27 იანვარს ჩამოდის. მოთამაშეთა გაფართოებული სია უკვე ცნობილია, თუმც ლეინი საბოლოო სიტყვას 1 თებერვალს იტყვის. ამ დროს ჩვენები საფრანგეთში მიდიან შეკრებაზე. იქ 5 თებერვლამდე დარჩებიან და მერე გერმანიაში გადავლენ, სადაც, როგორც ვთქვით, 7-ში უწევთ თამაში — ბორჯღალოსანთა ნაწილი სამშობლოში თამაშის მეორე დღესვე დაბრუნდება, დანარჩენები კი საფრანგეთში თავიანთ კლუბებს მიაშურებენ.



აქვე ვთქვათ, რომ ლეინს საშუალება ეძლევა ყველა ის მორაგბე გამოიყენოს, ვისაც საჭიროდ ჩათვლის. ადრე ფრანგული კლუბების თავნებობის გამო ჩვენებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე უწევდათ ფონს გასვლა. ახლა კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ერთა თასის განრიგი რაგბის საბჭოს მიერ გაჭრილ სანაკრებო ფანჯარას ემთხვევა, რაც საშუალებას იძლევა, ქუდზე კაცი ვიხმოთ. ამის საჭიროება გერმანიასთან შეიძლება არც იყოს, მაგრამ რუმინეთთან, რუსეთთან და პორტუგალიასთან დაპირისპირებაში ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა აუცილებელია.

ასე რომ, ლეინს ყველა წამყვანი მორაგბე ეყოლება. თუმცა ერთი კი ვიცით: მალხაზ ურჯუკაშვილი გერმანიასთან თამაშს ვერ ახერხებს.

# რუსი დათვები აფრიკელმა სტუდენტებმა დატორეს

**საქართველოს** ნაკრების საერთათასო მეტოქე რუსეთის ნაკრები მოახლოებული მატჩებისთვის გამწვრთნით ემზადება.

„დათვები" სამხრეთ აფრიკას სტუმრობენ და ამხანაგური მატჩიც ჩაატარეს. რუსთა ნაკრებმა ქალაქ პრეტორიის ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან 15:19 წააგო.

მატჩი ოთხი 30-წუთიანი ტაიმით ჩატარდა. პირველი ტაიმი უქულოდ გაილია. მეორე ტაიმიც ფრედ დამთავრდა, თუმც მეტოქეებმა ლელოები გაცვალეს. ანგარიში რუსებმა გახსნეს. თავი ვლადიმირ ოსტროუშკომ გამოიჩინა — ბურთი საკუთარ ოცდაორში მოიხელთა და აფრიკელთა ჩათვლის მოედნამდე ჩაირბინა. თუმცა რუსებმა საპასუხო ლელო მალე მიიღეს.

მესამე ტაიმი უქულოდ გაილია. გადამწყვეტ პერიოდში კი ანდრეი გარბუზოვის ლელოს და ვიქტორ მოტორინის გარდასახვას მალევე მოჰყვა აფრიკელების ლელო-გარდასახვა.

მატჩი ბოლოსკენ მიდიოდა, რომ მოტორინმა ჯარიმა გაიტანა — 15:12. აფრიკელებს წაგების სუნი ეცათ, მსაჯის დამატებულ წუთებზე ხელი გამოიღეს და გამარჯვების ლელო გაიტანეს.

„დათვები" აფრიკულ შეკრებაზე 27 იანვრამდე დარჩებიან, 22-ში კი ამხანაგურ მატჩში ჩვენ ძველ ნაცნობ „ბლუ ბულზის" მეორე შემადგენლობას ეთამაშებიან.

**ლევსო მაისურაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -16 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +27 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | -11 | 1 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |



# არმსტრონგი სეირნობით იწყებს

**დღეს** მთელი ველოსამყარო ერთ თემას არჩევს — ლენს არმსტრონგმა ღრმა პენსიიდან გამოსვლა გადაწყვიტა და სამწლიანი შესვენების შემდეგ აპირებს ტურ დე ფრანსის მერვე ტიტულზე გალაშქრებას.

37 წლის ამერიკელი სუპერმრბოლი 2005 წელს, ტურის ზედიზედ მეშვიდედ მოგების შემდეგ გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. მაგრამ ლეგენდარულ ველომრბოლს რაღაც ძალა ეწევა უკან. დაბრუნების ოფიციალურ მიზეზად ის ასახელებს კიბოსთან ბრძოლის პროპაგანდას და სახსრების მოძიებას — მან ხომ თავის დროზე დაამარცხა ეს ბოროტი სენი და მერე კიბოთი დაავადებულთა დასახმარებლად მუდამ აწარმოებდა ერთგვარ სარეკლამო კამპანიას. მაგრამ ძნელია იმის დაჯერება, რომ ის მხოლოდ სხვათა გამო ბრუნდება. ალბათ თავადაც ძლიერ მოენატრა დიდ გზაზე ქროლვა და ოფლის მოდენა.

ცხადია, არმსტრონგი პირდაპირ ტურ დე ფრანსით არ დაიწყებს. მისებრ რკინის კაცსაც სჭირდება გახევებული კუნთების გავარჯიშება. გახურების მიზნით მან თავის სადებიუტო რბოლად აირჩია სამხრეთ ავსტრალიის ტური, რომელიც ყოველწლიურად იმართება ადელაიდასა და მის შემოგარენში და ითვლება ევროპის გარეთ ყველაზე გრძელ და პრესტიჟულ მრავალდღიან ველოტურად. ველოსპორტის საერთაშორისო საბჭომ 2008 წელს არაევროპული ტურნირებიდან პირველად მას უბოძა პრო ტურის კატეგორია.

რბოლა 20-25 იანვარს იმართება და ლენს არმსტრონგი უკვე მზადაა ავსტრალიური ვარჯიშისთვის. სწორედ რომ ვარჯიშად აღიქმება მისი იქ გამოსვლა და რაც უფრო ახლოვდება შეჯიბრი, მით უფრო ხშირად გაისმის საუბრები ამერიკელის ტურისტობაზე. ავსტრალიელთა ვარსკვლავმა და ამ ტურის ორგზის გამარჯვებულმა სტიუარტ ოგრეიდიმ აქო და ადიდა ლენსი — ეგეთი კაცის გვერდით პედლების ტრიალი სულ სხვა განცდებში გაგდებს, ვიდრე ჩვეულებრივი რბოლა, მაგრამ არმსტრონგს არავინ განვიხილავთ ფავორიტად და შეტევა რომ დააპიროს, არც გამოვეკიდებითო.

ასეთი „სასეირნო" განწყობის ჩამოყალიბებას თავად არმსტრონგის დამოკიდებულებაც ხელს უწყობს — „მონაწილეთა სიაში საკმაოდაა ძლიერი მრბოლი, ტურნირი კარგი ორგანიზებულია და ჰავაც მშვენიერია, მაგრამ ეს არაა ჩემთვის სპორტული გამოწვევა. ჩემი მიზანია



არა საბოლოო გამარჯვება, არამედ ბიჭებთან ერთად თანაბრად რბოლა და მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა. შეტევას არ ვგეგმავ, პირიქით, თუ რამეა, პირველი მე გამოვეთიშები მოვლენებს."

**განო კობიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი

# რას ვიფიქრებდით...

## საქართველოს დანია მოლდოვაში აერია



**საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები ესტონეთიდან დაბრუნდა. ნინო მღებრიშვილის შეგირდებმა ტალინში მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევი ეტაპის მატჩები ჩაატარეს. ჩვენი ფრენბურთელები მასპინძლების და მოლდოვის ნაკრებებთან დამარცხდნენ, მხოლოდ დანიის ნაკრების ძლევა მოახერხეს და, ბუნებრივია, ჯგუფიდან ვერ გავიდნენ — მომდევნო ეტაპის საგზური მოლდოვამ მოიპოვა. ნაკრების მთავარ მწვრთნელს ტალინურ ამბებსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...**

— პირველი მატჩი ესტონეთთან გვქონდა და, როგორც იცით, წავაგეთ. მართლა არ გვეგონა, ასეთი ძლიერი ნაკრები თუ ეყოლებოდათ. ჩვენს გოგონებს ცუდათ არ უთამაშიათ, მაგრამ საერთო ჯამში გვაჯობეს. ამ ეტაპზე მათ ჩვენზე ძლიერი ნაკრები ჰყავთ...

მეორე თამაში დანიასთან გვქონდა და მოვიგეთ კიდეც. სხვათა შორის, მათზე არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა და ვფიქრობდით, რომ საკმაოდ ძლიერი ნაკრები ეყოლებოდათ, თუმცა პირიქით გამოდგა. ვერ ვიტყვი, რომ იოლად ვაჯობეთ, ბრძოლა იყო, თუმცა მაინც დავამარცხეთ...

მოლდოვასთან შანსი არ გვქონდა. მართლა სერიოზული გუნდი ჰყავთ. წამყვანი მოთამაშეები ევროპის ძლიერ ჩემპიონატებში თამაშობენ. სიმაღლეშიც დაგვჩაგრეს — ძირითადი შემადგენლობის ექვსეულიდან ოთხი მოთამაშე 1,94 სანტიმეტრი ჰყავთ. უკან კიდევ ვახერხებდით სათანადო თამაშს, მაგრამ ბლოკზე აშკარად დაგვჩაგრეს.

**— თქვით, მეტოქეებზე ინფორმაცია არ გვქონდაო. არადა, წასვლის წინ გვითხარით, რომ მოწინააღმდეგის მატჩების ჩანაწერები ნახეთ...**

— ესტონეთის და მოლდოვის ვნახეთ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ძველი ინფორმაცია გვქონდა. ჩვენ ვნახეთ საქართველო — მოლდოვის მატჩის ვიდეოჩანაწერი, რომელიც 2 წლის წინ თბილისში ჩატარდა. უნდა ითქვას, რომ იმის შემდეგ ეს ნაკრები საგრძნობლად გაიზარდა, აბსოლუტურად განსხვავებული თამაში აჩვენეს.

**— კი მაგრამ, მოლდოვა ასეთი ძლიერი ნაკრები თუ არის, ჩვენთან ერთად რატომ თამაშობდა?**

— ვერ გეტყვით... ფაქტია, რომ რეიტინგში ჩვენზე უკანაა, მათმა თამაშმა კი საპირისპირო აჩვენა.

**— მეტოქეები ძლიერები გამოდგნენო, თქვით. კიდევ რა იყო წაგების მიზეზი?**

— გამოცდილების ნაკლებობა. სათითაოდ ყველა ნიჭიერია, მაგრამ საერთაშორისო დონეზე თამაშის პრაქტიკა თითქმის არ აქვთ. საქართველოს ჩემპიონატი როგორია, კი იცით. ჯერ სხვა სახეობებში როგორ ტარდება ჩემპიონატი და ჩვენთან უფრო სავალალო მდგომარეობაა. ისიც იყო, რომ ერთად სავარჯიშოდ ნაკრებს სულ ოთხი დღე ჰქონდა. ბრაზილიელებთან შეთამაშებაც ვეღარ მოხერხდა.

**— ადრე გვითხარით, რომ ესტონეთში ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებდით ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად...**

— სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. პირველი თამაში მასპინძლებთან გვქონდა და ესტონურმა გუნდებმა უარი გვითხრეს. არადა, მნიშვნელოვნად წაგვადგებოდა.

**— ბრაზილიელების, საქას და რთველოსი ძალიან გეიმედებოდათ. რამდენად კარგად დაგეხმარნენ?**

— რთველის თამაშით კმაყოფილი ვარ. საქამ კი ბლოკზე კარგად ვერ ითამაშა. მისგან მეტს ველოდი. როგორც გამოჩნდა, ფორმაში ვერ იყო. თან სხვები იქ გაიცნეს და ერთად სულ რამდენიმე ვარჯიში ჩაატარეს. ისე კი, პროფესიონალები არიან და მონდომებულებიც იყვნენ. რჩევებს იძლეოდნენ და საინტერესო მოსაზრებებიც გამოთქვეს. ერთიცაა, პლაჟის ფრენბურთი მაინც განსხვავებული სპეციფიკისაა. აქ ფიზიკური დატვირთვა გაცილებით მეტია...

**— ბრაზილიელები როგორი განწყობით დაშორდნენ ნაკრებს. მომავალშიც ჩამოვლენ სათამაშოდ?**

— აუცილებლად. კრისტინამ გოგონებს უთხრა, რომ მისთვისაც რთული იყო თამაში. მომავალში უკეთ მოემზადება და იგივეს გაკეთება ჩვენს ფრენბურთელებსაც სთხოვა. ბრაზილიელებმა ფორმაც აჩუქეს გოგონებს და საკმაოდ თბილად დაშორდნენ.

**— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— თამაშის გარეშე არაფერი გამოვა და ამიტომ წლეულს ორ ტურნირში გვინდა გამოსვლა — გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ალბათ მომზადების კურსებსაც გავივლით კანში. ესტონურმა მატჩებმა ბევრი სიახლე დამანახა. ფრენბურთით ძალიან წინაა წასული და ჩვენც უნდა ავუწყოთ ფეხი.

**ლექსო მაისურაძე**

ჭიდაობა



სარბიელის არქივიდან

ზაზა თურმანიძე

# თავისუფლები ძიუდომ ააჩქარა

**20-21 იანვარს** დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის დარბაზი საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის.

„თავისუფლებს" პირველობა 24-25 იანვარს უნდა ჩაეტარებინათ, თუმც ამ დროს თბილისი ძიუდოში მსოფლიოს თასს მასპინძლობს და სპორტის სასახლის გარდა, დიღმის დარბაზიც მოემსახურება სტუმრებს.

ნაკრების შემადგენლობა ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით ჩამოიწერება და მომდევნო საერთაშორისო ტურნირებზეც ეს ხალხი იჭიდავებს.

ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ მოახლოებულ ჩემპიონატზე ეს გვითხრა: „ყველა წამყვანი მოჭიდავე იჭიდავებს ოლიმპიური ჩემპიონის რევაზ მინდორაშვილის და ბრინჯაოს პრიზიორის გიორგი გოგშელიძის გარდა. ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით ნაკრების შემადგენლობა უნდა გამოიკვეთოს. ამიტომ ყველა მოჭიდავისთვის მნიშვნელოვანია აქ გამარჯვება. პირველობის დამთავრების შემდეგ შეკრებას ბაკურიანში ან სომხეთში წახკაძორში გავივლით, მერე კი თურქეთის საერთაშორისო ტურნირი გველის".

**ლექსო მაისურაძე**

ცურვა

# ნამძინარევი ვარსკვლავი

## ვარჯიშმობეზრებულ ფელპსს უქნარობაც მობეზრდა

**მცონარობით** თავგაბეზრებული მაიკლ ფელპსი ბოლოს და ბოლოს შეუდგა ვარჯიშს. აქამდე ის აკეთებდა ყველაფერს ცურვის გარდა — აფრქვევდა ინტერვიუებს, ყურებამდე იცინოდა ტელეშოუებში, პოზირებდა სარეკლამო გადაღებებში და ათას სისულელეში ხარჯავდა ბოლო დროს ნაშოვნ მილიონებს. მოკლედ, ოლიმპიადამდე თუ აუზში იძირებოდა და ილვიძებდა, პეკინში ცხოვრებისეული მიზნის მიღწევის, ანუ 8 ოქროს მოპოვების შემდეგ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა.





მაიკლ ფელპსი ალბათ ზედმეტმა პოპულარობამაც გაახარმაცა

სამშაბათს ფელპსმა დიდის ამბით გამოაცხადა, დღეიდან ვარჯიშს ვიწყებო და იქვე მოკლე ინტერვიუც გასცა (ამის გარეშე აღარ გამოსდის აღარც ვარჯიში და აღარც ცხოვრება).

„ეს ჩემი პირველი ოფიციალური სავარჯიშო დღეა. ამჟამად შორს ვარ ოპტიმალური ფორმისგან, აუზში ხომ ბოლოს ოთხი თვის წინ ვიყავი, ეს კი ძალზე ხანგრძლივი ვადაა. ადრე საწვრთნელ პერიოდებს შორის ამხელა ინტერვალები არასდროს მქონია და ვიცი, რომ თავიდან ძალიან გამიჭირდება. ივლისში რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე, შესაძლოა, ძალიან ბევრი ოქრო ვერც მოვიგო...

ბოლო პერიოდში რომ ვიღვიძებ, საკუთარ თავს ვეუბნები, ვარჯიში აღარ შემიძლია-მეთქი, მაგრამ ეს ნისლიანი ფიქრი მალევე იფანტება. რადგან წინ კიდევ მრავალ მიზანს ვხედავ, კიდევ არაერთი ფინიში მინდა მოვიგო. კარიერის დასრულებას არ ვაპირებ, სანამ ჩანაფიქრს არ ავისრულებ. ეს ოლიმპიური ციკლი წინაზე ნაკლებად დატვირთული იქნება და მოსამზადებელი პროგრამა გამარტივდება. ალბათ მეტ ყურადღებას დავუთმობ ზურგზე ცურვას და თავს მოვსინჯავ თავისუფალ 100 მეტრზე. მოლიანობაში, მინდა ვიმუშავო ისეთ დისტანციებზე, რომლებიც მანამდე ნაკლებად მაინტერესებდა."

**ვანო კობიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ISU EUROPEAN FIGURE SKATING CHAMPIONSHIPS
HELSINKI 20–25.1.2009

# ხვალიდან ევროპა ფიგურულად იცეკვებს

**სამშაბათს ჰელსინკში ფიგურული სრიალის ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც ორი ქართველიც მიიღებს მონაწილეობას — ელენე გედევანიშვილი და ბექა შანყულაშვილი. ელენესგან ჩვენ კარგ შედეგს ველით, რაკილა ამ სეზონში ორი ტურნირი მოიგო, რაც მის კარგ ფორმაზე მიგვანიშნებს. ფავორიტებად კი მოქმედი ჩემპიონები ითვლებიან: ქალებში იტალიელი კაროლინა კოსტნერი, კაცებში ჩეხი ტომაშ ვერნერი, წყვილებში გერმანელები ალიონა სავჩენკო და რობინ ჟოლკოვი, ცეკვებში კი რუსები ოქსანა დომნინა და მაქსიმ შაბალინი...**



**ყოველ** ქვეყანას უფლება აქვს თითოეულ სახეობაში თითო სპორტსმენი გაიყვანოს. ორი ან სამი მოციგურავის გაყვანის უფლება კი ქვეყნებს წინა ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით ეძლევათ.

საქართველოს ამ ევროპის ჩემპიონატზე ორი ქალის გაყვანის უფლება აქვს, თუმცა არ იყენებს და ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ელენე გედევანიშვილი წარადგენს.

კაცებში ბექა შანყულაშვილი გვეყოლება, წყვილებსა და სპორტული ცეკვებში კი საქართველოდან არავინაა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, რეგლამენტი ამ სახეობებშიც თითო წყვილის გაყვანის უფლებას გვაძლევს.

რატომ არ იყენებს საქართველო ამ უფლებას, ამის თაობაზე საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჯაფარიძეს ვკითხეთ:

„წყვილებში ოთარ ჯაფარიძის მეწყვილე ამერიკელი იზაბელა ტობიასი ტრავმირებულია. მომავალში ოთარი, ალბათ, სხვასთან ერთად გამოვა...

შეგვეძლია ელენეს გარდა კიდევ ერთი გოგონას გამოყვანაც, თუმცა ჯერ 13-14 წლისანი არიან. წესების მიხედვით კი სპორტსმენი 15 წლის მაინც უნდა იყოს. ისე კი, ნიჭიერი ბავშვები გვყავს და მალე გამოჩნდებიან...

ელენე გედევანიშვილისგან კი ხუთეულში შესვლას ველი. ამისთვის მზად არის და სპეციალისტებიც იგივეს ელიან. ბექა შანყულაშვილს კი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

**გიორგი დარჯანია**



# ელენეს შედეგები

**2002-2003**

საქართველოს ჩემპიონატი: 1 ადგილი

**2003-2004**

მოკლე პროგრამა: **The Mexican Hat Dance**
თავისუფალი პროგრამა: **Ballet Egyptian**
საქართველოს იუნიორთა ჩემპიონატი: 1 ადგილი
მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორთა შორის (ჰოლანდია): მე-12 ადგილი
Croatia Cup: მე-7 ადგილი

**2004-2005**

მოკლე პროგრამა: **The Mexican Hat Dance**
თავისუფალი პროგრამა: **Ballet Egyptian**
გრან პრი იუნიორთა შორის (კურშეველი, საფრანგეთი): მე-17 ადგილი
Ukranian Souvenir: მე-6 ადგილი
Haabersti Cup (ესტონეთი): მე-3 ადგილი
ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი: მე-7 ადგილი
მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატი (კანადა): მე-5 ადგილი

**2005-2006**

მოკლე პროგრამა: **Granada**
თავისუფალი პროგრამა: **American Rhapsody**
გრან პრი იუნიორთა შორის (სლოვაკეთი): მე-3 ადგილი
გრან პრი იუნიორთა შორის (ესტონეთი): 1 ადგილი
კარლ შაფერის მემორიალი (ავსტრია): მე-4 ადგილი
იუნიორთა გრან პრის ფინალი (ჩეხეთი): მე-7 ადგილი
ევროპის ჩემპიონატი (საფრანგეთი): მე-5 ადგილი
ტურინის ოლიმპიადა: მე-10 ადგილი
მსოფლიოს ჩემპიონატი (კანადა): მე-14 ადგილი

**2006-2007**

მოკლე პროგრამა: **Two Guitars by Paul Mauriat**
თავისუფალი პროგრამა: **Flamengo Fantasia**
კარლ შაფერის მემორიალი (ავსტრია): 1 ადგილი
ევროპის ჩემპიონატი (პოლონეთი): მე-8 ადგილი
მსოფლიოს ჩემპიონატი (იაპონია): მე-17 ადგილი

**2007-2008**

მოკლე პროგრამა: **Cabaret by John Kander**
თავისუფალი პროგრამა: **Pretty Story by Francisc Lai**
ტრანსატლანტიკური ჩემპიონატი (აშშ): მე-4 ადგილი
სკეიტ ამერიკა (აშშ): მე-6 ადგილი
NHK trophy (იაპონია): მე-8 ადგილი
ევროპის ჩემპიონატი (ხორვატია): მე-7 ადგილი
მსოფლიოს ჩემპიონატი (შვედეთი): მე-20 ადგილი

**2008-2009**

მოკლე პროგრამა: **Cabaret by John Kander**
თავისუფალი პროგრამა: **Don't Ket Me Be Misunderstood by Santa Esmeralda; Besame Mucho by Perez Prado; Histoeia de un Amor by Perez Prado**
ტრანსატლანტიკური ჩემპიონატი (აშშ): 1 ადგილი
Finlandia Trophy: მე-4 ადგილი
ერიკ ბომპარდის თასი (საფრანგეთი): მე-7 ადგილი
NRW Trophy (გერმანია): 1 ადგილი

# ვინ როდის

| | |
|---|---|
| **20 იანვარი** | |
| 16:30 | ცეკვები, სავალდებულო პროგრამა |
| 22:30 | წყვილები, მოკლე პროგრამა |
| **21 იანვარი** | |
| 14:45 | კაცები, მოკლე პროგრამა |
| 21:30 | წყვილები, თავისუფალი პროგრამა |
| **22 იანვარი** | |
| 16:00 | ცეკვები, ორიგინალური პროგრამა |
| 21:45 | კაცები, თავისუფალი პროგრამა |
| **23 იანვარი** | |
| 14:00 | ქალები, მოკლე პროგრამა |
| 21:40 | ცეკვები, თავისუფალი პროგრამა |
| **24 იანვარი** | |
| 16:30 | ქალები, თავისუფალი პროგრამა |
| **25 იანვარი** | |
| 18:30 | საჩვენებელი გამოსვლები |

## ქალთა რეიტინგი

**ჩვენთვის** ყველაზე საინტერესო, ქალთა თანრიგში 41 სპორტსმენი გამოვა. ელენე გედევანიშვილი ლიდერთა შორისაა და რეიტინგის ათეულშიც გახლავთ.

| | | |
|---|---|---|
| 1 | კაროლინა კოსტნერი | ITA |
| 2 | ლაურა ლეპისტო | FIN |
| 3 | სუსანა პეიკიე | FIN |
| 4 | ალიონა ლეონოვა | RUS |
| 5 | კანდის დიდიე | FRA |
| 6 | ელენა გლებოვა | EST |
| 7 | სარა მაიერი | SWE |
| 8 | ჯენა მაკკორკელი | GBR |
| 9 | ელენე გედევანიშვილი | GEO |
| 10 | იულია სებასტიენი | HUN |

# ვინ არის ბექა შანყულაშვილი

**ელენე გედევანიშვილზე** პრაქტიკულად ყველაფერი ვიცით, აი, ბექა შანყულაშვილის თაობაზე კი, ვეჭვობთ, მკითხველს ინფორმაცია ჰქონდეს. ბექა 19 წლისაა და ამერიკაში ცხოვრობს. მისი მწვრთნელები ვახტანგ მურვანიძე და დები სტარკმანი არიან. ქორეოგრაფიც ვახტანგ მურვანიძეა. ამ სეზონში ბექა მოკლე პროგრამას „მატრიცას" საუნდტრეკის, ხოლო თავისუფალ პროგრამას ენიო მორიკონეს „ხელშეუხებელნის" თანხლებით ასრულებს.

# ქალი–50 ევრო=კაცი

**ევროპის** ჩემპიონატი ექვს დღეს გრძელდება და თითოეულ დღეს ჰელსინკის „ჰარტვალ არენაზე" შესვლა სხვადასხვა ფასი ღირს.

ყველაზე ძვირი, ცხადია, ბოლო დღეს, საჩვენებელ გამოსვლებზე დასასწრები ბილეთებია — 129 ევრო.

ქალთა და კაცთა თავისუფალი პროგრამების ბილეთებს შორის განსხვავება 50 ევროა: კაცები — 69 ევრო, ქალები — 119 ევრო.

ყველაზე იაფად კი, 22 ევროდ, მოცეკვავეთა სავალდებულო პროგრამას შეგიძლიათ დაესწროთ.

# ცხენის ფეხებიდან...

**უ**ძველესი ციგურები, რომელიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, ბრინჯაოს ხანით თარიღდება და ოდესის მახლობლად არის ნაპოვნი. უძველესი ციგურები ცხენის წინა ფეხების ძვლიდან არის დამზადებული.

* * *

**ფ**იგურული სრიალის სამშობლოდ ჰოლანდია ითვლება, სადაც XIII საუკუნეში პირველი რკინის ციგურები გაჩნდა. ძალიან პოპულარული იყო ციგურებით ყინულზე სხვადასხვა ფიგურების ხაზვა.

* * *

**ს**ავალდებულო მოძრაობები დიდ ბრიტანეთში შექმნეს და იქვე, ედინბურგში შეიქმნა პირველი საციგურაო კლუბი. ეს ამბავი 1742 წელს მოხდა.

* * *

**პ**ირველი ოფიციალური შეჯიბრი ვენაში ჩატარდა 1882 წელს.

* * *

**ქ**ალთა ფიგურული სრიალი მოგვიანებით, 1906 წელს ჩამოყალიბდა შვეიცარიულ დავოსში. სავალდებულო ფიგურები კაცთა ანალოგიური იყო, თუმცა ქალებისგან მეტ პლასტიკას და გრაციოზულობას მოითხოვდნენ.

* * *

**ფ**იგურული სრიალი ოლიმპიურ პროგრამაში 1906 წელს შეიტანეს. ის ოლიმპიადა ლონდონში ჩატარდა და ზაფხულისა იყო.

## ფიგურული სრიალი



მაჰმუდ სოლიმენი სასწაულებრივად დაბადებულ შვილს კოცნის



ჯეინ სოლიმენი

# ბედნიერი მამა და უბედური მეუღლე

## როგორ იმშობიარა გარდაცვლილმა ქალბატონმა

**დაუჯერებელი** ამბავი მოხდა ინგლისის ქალაქ ბერკშირში. თქვენ წარმოიდგინეთ, 41 წლის ქალბატონი ჯეინ სოლიმენი ორი დღის გარდაცვლილი იყო, შვილი რომ შეეძინა.

დაიბენით?

ჯეინ სოლიმენი თითქმის შვიდი თვის ფეხმძიმე იყო, როცა ინსულტი დაემართა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერაფრით მოახერხეს — საავადმყოფოში მიყვანილი ქალბატონი, ფაქტობრივად, გარდაცვლილი იყო, თუმცა...

შეიძლება ითქვას, მედიკოსებმა სასწაული მოახდინეს და მუცელში მყოფი ბავშვის სიცოცხლე შეინარჩუნეს.

ექიმებმა აპარატურაზე ორი დღე გააძლებინეს ჯეინ სოლიმენის გული და ამით ბავშვის მოლონიერება მოახერხეს, ორი დღის შემდეგ კი საკეისრო კვეთით ამშობიარეს ... გარდაცვლილი ქალბატონი.

ჯეინ სოლიმენი ყოფილი ფიგურულად მოსრიალე იყო. ევროპაში დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი კი გახლდათ.

„მას შემდეგ, რაც თავის ტკივილზე დაიჩივლა, ჯეინმა სახლში უმალ გონება დაკარგა. ის მალევე მოიყვანეს კლინიკაში, სადაც თავის სისხლძარღვთა სიმსივნე დაუდგინდა და მისი გადარჩენა შეუძლებელი გამოდგა" — წერია ექიმთა დასკვნაში.

ცხადია, გაოგნებული იყო ჯეინის მეუღლე მაჰმუდ სოლიმენი:

„ერთი მხრივ, ეს ჩემთვის უბედნიერესი დღეა, რადგან შვილი შემეძინა. მეორე მხრივ კი, უტრაგიკულესი დღეა, რადგან მეუღლე დავკარგე".

მაჰმუდმა ახალშეძენილ ქალიშვილს აია დაარქვა, რაც თურმე სასწაულს ნიშნავს...

**კახა ზალამბერიძე**



ახალშობილი აია სოლიმენი



მაჰმუდი და ჯეინი

# ყინულის ნოკაუტი

**ახლო** წარსულში ცნობილი ამერიკელი ფიგურულად მოსრიალე ტონია ჰარდინგი ძალებს ახალ სახეობაში ცდის — 24 იანვარს „ბრძოლა წესების გარეშე"-ში იჩხუბებს.

ტონია ჰარდინგს ამერიკაში სკანდალური სახელი აქვს.

ჯერაც ყველას ახსოვს, ჰარდინგი თავისი უპირველესი კონკურენტის, ნენსი კერიგენის ჩამოშორებას რომ ცდილობდა და ამისთვის ბინძურ ხერხებსაც იყენებდა. 1993 წელს ჰარდინგმა მოძებნა ხალხი, რომლებსაც კერიგენისთვის ტრავმის მიყენების სანაცვლოდ 2000 დოლარი გადაუხადა.

ეს ნაბიჯი ტონიას, ცხადია, არ მოუწონეს და სამუდამოდ დაატოვებინეს ყინულის სამყარო.

ჰარდინგმაც ცოტა ხანში კრივში ამოჰყო თავი.

სხვათა შორის, კრივში მან რამდენიმე სერიოზული ბრძოლა მოიგო, თუმცა ამას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია — პოპულარობა არა და არ მოდიოდა.

ახლა კი ტონია ჰარდინგს ახალი გამოწვევა ელის. პირველი ბრძოლა, როგორც გითხარით, 24 იანვარსაა დანიშნული და თავად სპორტსმენის თხოვნით, ბილეთები ძალიან იაფი ღირს — 10-დან 50 დოლარამდე.

**კახა ზალამბერიძე**





ტონია ჰარდინგი და ნენსი კერიგენი

## მძლეოსნობა

# ჰერმსი სიდედრმა მკვდარი იპოვა

## რას იტყვის ექსპერტიზა?

**გერმანელი** მორბენალი რენე ჰერმსი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს.

26 წლის სპორტსმენის გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ჯერ უცნობია, თუმცა პოლიციამ უკვე გამორიცხა მკვლელობის და თვითმკვლელობის ვერსიები.

ჰერმსის ცხედარი პირველად სიდედრმა ნახა, ვინც მასთან სტუმრად მივიდა. როგორც გაირკვა, ჰერმსის მეუღლე, ვინც იმხანად ქალაქში არ იყო, შეშფოთებულა იმის გამო, რომ ტელეფონის ზარს არავინ პასუხობდა და დედისთვისაც ამიტომ უთხოვია შინ მისვლა.



გარდაცვლილი რენე ჰერმსი

გერმანული DPA-ს ცნობით, ჰერმსს სიცოცხლის ბოლო დღეებში გრიპი ჰქონდა, თუმც ვრცელდება ინფორმაცია, რომ სპორტსმენს გულიც აწუხებდა.

ჰერმსმა სახელი 800 მეტრზე სირბილით გაითქვა. მან ექვსჯერ მოიგო გერმანიის ჩემპიონობა, 2001 წელს კი ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის.

2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ჰერმსი ნახევარფინალს დასჯერდა...

**კახა ზალამბერიძე**

## ჰოკეი

# დაუნახავი

## ოვეჩკინმა ეს სილამაზე ვერ დააფასა



**ჰოკეის** მოყვარულ რუსებს ერთი საფიქრალი გაჩენიათ — ახლოვდება ნჰლ-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი, გულშემატკივრებმა უკვე შეარჩიეს სასტარტო ექვსეულები. რუსები კი იმას ჩივიან, რომ 2007-08 სეზონის საუკეთესო მოთამაშე და მათი ჯილა ალექსანდრ ოვეჩკინი აღმოსავლეთის დამწყვეთა შორის ვერ მოხვდა.

ცხარე ბჭობის შემდეგ ერთი რუსული ინტერნეტ-გამოცემა ასეთ დასკვნამდე მივიდა: ოვეჩკინი გულშემატკივრებმა აითვალწუნეს და სასტარტოში არარჩევით შეგნებულად დასაჯეს ერთი მიზეზის გამო — მათი განსჯით თურმე 23 წლის რუსს უწყენინებია ამერიკელი ლამაზმანისთვის, მის-ვირჯინიას კონკურსის გამარჯვებულ ტორი ჰოლისთვის და მასთან ფოტოს გადაღებაზე უარი უთქვამს. მის-ვირჯინია გარეთ ელოდებოდა „ვაშინგტონ კეპიტალზის" ლიდერს, მას გოგონას ხელისმომკიდეთა არაერთგზის თხოვნის მიუხედავად ზედაც არ [illegible] აწყენინებულ მზეთუნახავს ისე განუცდია და ისე უტირია, ეს [illegible] დღეს ქვეყანას მოეღო და ამერიკელი გულშემატკივრები განარისხა. მათაც რუსს სამაგიერო გადაუხადეს და გამოკითხვაში ხმები დააკლეს — წერს „ექსპრეს გაზეტა".

თუმცაღა ამავე „გაზეტას" მაინც და მაინც დიდად არ გაუსვამს ხაზი იმ ფაქტისთვის, რომ გამოკითხვის მონაწილე ამერიკელ-კანადელებმა აღმოსავლეთის ვარსკვლავთა სასტარტო ექვსეულში ერთბაშად სამი რუსი მოახვედრეს — ორი ფორვარდი ალექსეი კოვალიოვი, ევგენი მალკინი და მცველი ალექსანდრ მარკოვი. დავიჯეროთ, ამჯერად აღმოსავლეთში ერთი-ორი კანადელი და ამერიკელი ვარსკვლავი აღარ დარჩა, რომ სულ რუსებს შეევსოთ დამწყებთა რიგები? მაგრამ მეტი უნდათ. როდის და რაში იყო სხვანაირად?

## კრივი

# ერთი ეძებს, მეორემ ნახა

**სამი** ვერსიით საჩემპიონო ქამრის მფლობელი ვლადიმირ კლიჩკო მორიგ მოწინააღმდეგეს ეძებს — IBF, IBO, WBO-ს მძიმეწონოსან ჩემპიონს სავარაუდო მეტოქეთა სია უკვე აქვს.

„გადაწყვეტილების მიღებისას ტელევიზიების და გულშემატკივრების ინტერესი უნდა გავითვალისწინო. ბრძოლის მასპინძელი ქალაქი კი მეტოქის ვინაობის დადგენის შემდეგ გაირკვევა. თუ კრის არეოლასთან დაპირისპირებას გადავწყვეტ, მაშინ ალბათ, შეხვედრა აშშ-ში გაიმართოს. დევიდ ჰეისთან და ნიკოლაი ვალუევთან ბრძოლა კი ევროპაში იქნება" — განაცხადა ვლადიმირ კლიჩკომ.

ვლადიმირის ძმამ, ვიტალიმ კი უკვე აარჩია მეტოქეც, ქალაქიც და თარიღიც. WBA-ს ვერსიით საჩემპიონო ქამრის მფლობელი კუბელ ხუან კარლოს გომესს 21 მარტს შტუტგარტში დაუპირისპირდება.

**კახა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა











# არის ფერარი!
## პატარა, კოხტა, იდუმალი...

**ფორმულა 1-ის** ფაქტობრივმა მეპატრონემ ბერნი ეკლსტოუნმა ამასწინათ დაიქადნა — გლობალური ეკონომიკური კრიზისი ვერას დაგვაკლებსო. ფერარის ახალ მოდელს რომ უყურებ, ეჭვიც არ შეგეპარება პატარა, მაგრამ დიდგულა ბერნის სიტყვების საფუძვლიანობაში.

„ფერარის" საჯინიბომ პირველმა გაალო უცხო თვალისთვის დახშული კარი და ავტოსპორტით დაინტერესებულ მსოფლიოს 12 იანვარს ახალი წითელი რაში წარუდგინა. „სკუდერიას" მექანიკოსებმა მთელი ზამთარი იმუშავეს და ისეთი ბოლიდი შექმნეს, კაცი ცქერით ვერ გაძღება.

მშობლებმა ახალ მოდელს F60 დაარქვეს და ამით ხაზი გაუსვეს ერთ უნიკალურ ფაქტს — „ფერარი" ფორმულა ერთში გამოდის 1950 წლიდან, ანუ პირველივე ჩემპიონატიდან. მას ერთადერთხ არ ჩაუგდია არც ერთი სეზონი და მე-60 ჩემპიონატის დაწყების წინ თავის უნიკალურობა ასე შეახსენა მსოფლიოს. დასახელებაშივე ავრეკლეთ ფორმულა ერთის ისტორიაც და ამ ისტორიაში ჩვენი მარადიულობაცო — დამსახურებული პრეტენზიულობით საუბრობდა საჯინიბოს ერთ-ერთი მმართველი სტეფანო დომენიკალი.

F60 ვიზუალურადაც და შინაგანადაც განსხვავდება წინამორბედისგან და ეს თვალის ერთი შევლებითაც ჩანს. ინჟინრებმა ისარგებლეს ფია-ს ახალი აეროდინამიკური რეგლამენტით და მთლიანად შეუცვალეს ძველ ბოლიდს ფორმა. წინა ანტიფრთა ფართოა, უკანა კი ვიწრო და მაღალი. საინტერესო იერი აქვს ბოლიდის უკანა მხარეს, რომელიც უჩვეულოდ ყელწვრილია და ამის გამო „ბოთლი" შერქვეს. შუა ნაწილი შედარებით გათავისუფლებულია აეროდინამიკური ფრთებისგან, რომლებიც ბოლო წლების ავტოინჟინერიაში ისეთი პოპულარული გახდა და იმდენად საინტერესო ფორმებს იღებდა, რომ ზურგზე და გვერდებზე ათასგვარ ფირფიტებგამოჩრილი ბოლიდები ამერიკულად გაფორმებულ იაპონურ გოძილას დაემსგავსნენ. მთლიანად მანქანა შესამჩნევად დაპატარავდა და გაკოხტავდა, თუმცა არ დაუკარგავს „ზვიგენის ცხვირი" და აგრესიული იერი.

„თავადაც ხედავთ, რომ F60 წინა მოდელის განვითარებული ვარიანტი კი არა სრულიად ახალი მანქანაა. მასზე მუშაობა თეთრი ფურცლიდან დავიწყეთ" — სიამაყით აცხადებს ტექნიკური დირექტორი ალდო კოსტა.

ფორმის შეცვლამ ავტომატურად შეცვალა შინაარსიც. ძარას დამცრობის გამო სიმძიმის ცენტრი თავიდან დასარეგულირებელი გახდა, რაც გამოც გადააადგილეს მთელი რიგი ნაწილები. ოდნავ ჩაჩოჩდა ძრავა, რომელიც V ტიპისაა და რვაცილინდრიანია. დამონტაჟებულია ახალი სამუხრუჭე სისტემა და აგრეთვე კერს-ის მექანიზმი, რაც დაგროვებული კინეტიკური ენერგიის ეფექტურად გამოყენების საშუალებას მისცემს და მისი სწორად დამუშავების შემთხვევაში შესაძლოა, დიდი უპირატესობაც მიანიჭოს სხვა ბოლიდებთან შედარებით.

„ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, მაქსიმალურ სტაბილურობას მივაღწიოთ — ამბობს დომენიკალი — არასაიმედოობამ და ტექნიკურმა პრობლემებმა წინა სეზონში ხელი მაგრად შეგვიშალეს, ამიტომ ახლა ვერ ვამბობთ, როდიდან დავიწყებთ კერს-ის გამოყენებას. ჯერ უნდა გამოვავლინოთ ამ მექანიზმის სრული პოტენციალი."

კვლავ დომენიკალი — „ჩვენი მიზანია, ლიდერთა შორის შევინარჩუნოთ ადგილი, მაგრამ რეგლამენტის შეცვლის გამო ეს ახლა ყველაზე მეტად გაგვიჭირდება. ამასთან თავს შევიკავებთ ხმაურიანი სამომავლო განცხადებებისგან — ცხოვრება რთულია, მაგრამ სწორედ ეს სირთულეები გვიბიძგებენ პროგრესისკენ. 2009 წლის ჩემპიონატი განსაკუთრებული იქნება სპორტული და პოლიტიკური კუთხით მაგრამ, ცხადია, ჩვენ პირველობისთვის ვიბრძოლებთ. ამისთვის გვყავს ორი ძლიერი და მოტივირებული მრბოლი — კიმი რაიკონენი და ფელიპე მასა და თუ მათ გამძლე მანქანებში ჩავსვამთ, წარმატების მაქსიმალური შანსი გვექნება."

ფელიპე მასა — „ვგრძნობ, რომ წლიდან წლამდე ვძლიერდები. შარშან საჩემპიონო ბრძოლაში ბოლო მომენტში მომეცარა ხელი, მაგრამ სამაგიეროდ, აუცილებელი გამოცდილება შევიძინე. წლეულს მთავარი კონკურენტები ალბათ „მაკლარენის" ბიჭები იქნებიან. ყოველწლიურად უმატებს ბმვ და მისგანაც ბევრი იქნება მოსალოდნელი. რაც შეეხება ახალ ბოლიდს, გულწრფელად გეტყვით, რომ გამაკვირვა: ველოდი, რომ F60 ათი წლის წინანდელის მსგავსად დიდი იქნებოდა, მაგრამ მომცრო და კომპაქტური ჩანს. იმედია, ისეთივე სწრაფი იქნება, როგორი მშვენიერიცაა."

კიმი რაიკონენი — „გასულ სეზონში ყველაფერი ისე წაღმა ვერ წამივიდა, როგორც ველოდი, მაგრამ პრობლემები წარსულში დავტოვე და ახალ სეზონს ახალი იმედით ვხვდები. ამასთან სრულიად ახალი მანქანა გვაქვს, რომელიც ძალიან მომწონს და მოუთმენლად ველი პირველ ტესტებს."

**ვანო კობიაშვილი**

# ახალი სეზონის ძველი მხედრები

**ავტოსპორტის** საერთაშორისო ფედერაცია ფია-მ ფორმულა ერთის 2009 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა სია გამოაქვეყნა, რომელიც ისედაც ყველამ იცოდა, მაგრამ გამეორებას წინ რა უდგას? მხოლოდ ღარიბ „ტორო როსოს" შერჩენია ერთი ვაკანტური ადგილი, სხვა ყველანი კი წყვილად დაკომპლექტებულები შეხვდნენ ახალ წელს. „მაკლარენმა" და „ფერარიმ" ჯერ კიდევ შარშან გადაიფიქრეს ლიდერთა გაცვლა. ალონსო ამ წელსაც „რენოში" დარჩა. ფაქტობრივად დაშლილ და გაჩანაგებულ „ჰონდას" სამონაწილეო განაცხადი ჯერ არ გაუტანია. მის გარეშე რჩება 9 გუნდი 17 გამზადებული სპორტსმენით. ისმოდა საუბარი, თითქოს წელმაგარი გუნდები მესამე, კონკურსგარეშე ბოლიდ-პილოტის დამატებას აპირებდნენ, მაგრამ ამის განხილვა კაბინეტებს არ გასცილებია და გუნდები კვლავაც ორ მანქანას გამოაგორებენ სტარტზე.

| | | |
|---|---|---|
| მაკლარენი | 1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი) | 2. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი) |
| ფერარი | 3. კიმი რაიკონენი (ფინეთი) | 4. ფელიპე მასა (ბრაზილია) |
| ბმვ-ზაუბერი | 5. რობერტ კუბიცა (პოლონეთი) | 6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია) |
| რენო | 7. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) | 8. ნელსონ პიკე (ბრაზილია) |
| ტოიოტა | 9. იარნო ტრული (იტალია) | 10. ტიმო გლოკი (გერმანია) |
| ტორო როსო | 11. სებასტიან ბუემი (შვეიცარია) | 12. ჯერ არ განუცხადებია |
| რედ ბული | 4. მარკ ვებერი (ავსტრალია) | 15. სებასტიან ფეტელი (გერმანია) |
| უილიამსი | 16. კინო როსბერგი (გერმანია) | 17. კოსუკე ნაკაჯიმა (იაპონია) |
| ჰონდა | 18. ჯერ არ განუცხადებია | 19. ჯერ არ განუცხადებია |
| ფორს ინდია | 20. ადრიან სუტილი (გერმანია) | 21. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია) |

# ფორმულა 1-ის უამრავი თვალი

**მსოფლიოში** გულშემატკივრის სიმრავლით თუ რომელიმე სპორტის სახეობა დაიკვეხნის, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული უდავოდ ფორმულა 1-ია. გასულ წელს ფორმულა 1-ის სხვადასხვა ეტაპებს 600 მილიონმა ადამიანმა მიადევნა თვალი, რაც 3 მილიონით მეტია 2007 წლის მონაცემებზე.

ტელე-მაყურებლების რაოდენობის რეკორდი ჩინეთს ეკუთვნის — 119 მილიონი. ჩინეთს ბევრად არ ჩამორჩება ბრაზილია — 110 მილიონი.

მიხაელ შუმახერის წასვლის შემდეგ ფორმულა 1-ის მიმართ ინტერესი მაინც არ შენელებულა გერმანიაში — 29,6 მილიონი.

რაც შეეხება შარშანდელ ტრიუმფატორს, ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონს, ბრიტანელ ლუის ჰემილტონს — 2008 წლის განმავლობაში ინგლისური არხის ITV-ის ათეულობით მილიონი მაყურებლის დაახლოებით 7-მა პროცენტმა მიადევნა თვალი.

იქონიებს თუ არა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ფორმულა ერთის დასწრება-ყურებადობაზე გავლენას? ბერნი ეკლსტოუნის თქმით, თუ იქონიებს, ძალზე უმნიშვნელოს.

**ლექსო მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა






## დღევანდელი კვერცხიც და ხვალინდელი ქათამიც

# ჩემპიონები ყველას და ყველაფერს ასწრებენ



**ჩემპიონ** გუნდებს, როგორც წესი, მომავალი წლის მოდელზე მუშაობა დროში ეწელებათ და პრეზენტაცია უგვიანდებათ, მაგრამ „მაკლარენმა" ყველაფერი დროულად მოასწრო. ბრიტანული საჯინიბოსთვის 2008 წელი ფინიშთან მიგორებული საბურავის რეზინივით ცხელი იყო, მაგრამ უნარიანმა მმართველებმა და ხელგაწაფულმა პერსონალმა დღევანდელი კვერცხის შეჭმაც მოასწრო და ხვალინდელი ქათამიც გამოზარდა.

ახალი „მაკლარენის" პრეზენტაცია 16 იანვარს უოკინგის ბაზაზე შედგა. 2009 წლის ბოლიდის საპასპორტო სახელია MP4-24 და კონსტრუქტორები მას წელიწადნახევარი აწყობდნენ. მრბოლებმა — მოქმედმა ჩემპიონმა ლუის ჰემილტონმა და ჰეიკი კოვალაინენმა პრეზენტი რომ მოხადეს, დამსწრეებმა მათ წინაშე წარმდგარ „მბზინვარე რაშს" ალტაცებული შეძახილები სტყორცნეს. მაგრამ საქმე შედარებაზე რომ მიდგება, ესთეტიკის მოყვარულები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ახალი „მაკი" „ფერარივით" ნატიფი ვერაა.

ვერცხლისფერ მანქანას ხელოვნების ნიმუშად ნამდვილად არ აქცევს მთავარი სპონსორის, „ვოდაფონის" წითელი კანტები. მაგრამ ამ სრულიად უშნო აწითლებას ვერაფრით გაექცევიან — ამაში უხვის მილიონებს საკომუნიკაციო გიგანტი. არ უხდება მოკაუჭებული ცხვირი, წახნაგები კი ვიზუალური იდილიისგან შორსაა.

მაგრამ საჯინიბოს შეფმა რონ დენისმა — როგორც ჩანს თვალის ერთი შევლებით ამოიცნო შემფასებელთა შთაბეჭდილებები და — იქვე ხაზგასმით აუხსნა დამსწრეებს, რომ ესაა მუშა მანქანა, რომელიც ტრასის დასაპყრობად ემზადება და წინამორბედებზე არანაკლები „თავდადებით" იბრძოლებს ჩემპიონობისთვის.

„ახალი რეგლამენტი: ესაა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში წესებში შეტანილი ყველაზე ნიშანდობლივი ცვლილებები — განმარტა დენისმა — და ცვლილებათა სწორად გაანალიზებამ და ახალ ბოლიდში მათ გამოყენებამ ჩვენი გუნდის მთელი პოტენციალის ამუშავება მოითხოვა და თქვენ ახლა დიდი შრომის შედეგს ხედავთ. ამასთან ეს ბოლიდი მეორეა. ორიგინალი პორტუგალიაშია და ტესტებისთვის ემზადება. მთავარია, ახლავე სწორედ დავსვათ აქცენტები, რათა სეზონის მსვლელობაში არ მოგვიხდეს მათ გამოსწორებაზე ზრუნვა. 2008 წლის ჩემპიონის ტიტული არაფრის გარანტიას არ გვაძლევს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ესაა საჩემპიონო მანქანა და ჩვენ როგორც ყოველთვის მხოლოდ პირველობისთვის ვიბრძოლებთ."

და MP4-24-ს წარდგენას რომ მორჩა, შეფმა იქვე მოწმენდილ ცაზე მეხი გაისროლა:

## რონ დენისი გადადგა

**ᲐᲘ,** ამას კი ნაღდად არავინ ელოდა. პრეზენტაციის სტუმრებმა გაოცებისგან პირები დაღეს, რადგან არაფერი არ მოასწავებდა ამ სიახლეს. დენისი შესანიშნავად უძღვებოდა საქმეს და კოლეგათა შორის ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. მან იქვე დაამშვიდა გულშემოყრილი ხალხი, არსად არ მივდივარ, „მაკლარენში" ვრჩები, მაგრამ სხვა ფუნქციით, ჩემს ადგილს კი მარტინ უიტმარშს ვუთმობო.

„ამიერიდან უფრო დატვირთულ რეჟიმში ვიმუშავებ. ხშირად ვივლი რბოლებზე და შეძლებისდაგვარად დავეხმარები გუნდს, მაგრამ ჩემი მუშაობა ძირითადად მიმართული იქნება მსუბუქი საგზაო ავტომობილების წარმოებისკენ. ეს სერიოზული გამოწვევაა — შესასწავლია, ბაზარი, მოთხოვნა, ასათვისებელია სრულიად ახალი სფერო. ეს 100 პროცენტით ჩემი გადაწყვეტილებაა და გთხოვთ, ნუ მიიღებთ ამას გადადგომად ან გაქცევად. სინამდვილეში მე ვაფართოვებ ჩემი ინტერესის სფეროს. ჩემს თანამდებობაზე კი ვტოვებ ადამიანს, რომელიც საფუძვლიანად მომზადებულია პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად. მე და უიტმარში დიდი ხნის განმავლობაში ვინაწილებდით ფუნქციებს, ამიერიდან კი მხოლოდ ის მიიღებს გადაწყვეტილებებს."

მოკლედ, წავედიო.

დენისი „მაკლარენს" სათავეში 1981 წელს ჩაუდგა და საშუალო გაქანების საჯინიბოდან გრანდად აქცია. მის ხელში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ — ნიკი ლაუდა, ალან პროსტი, აირტონ სენა, მიკა ჰაკინენი და სულ ბოლოს ლუის ჰემილტონი. „მაკმა" არაერთხელ მოიგო კონსტრუქტორთა თასი და ყოველთვის საუკეთესოთა შორის ტრიალებდა.

ახლა დაიწყება მისი გადადგომის მიზეზთა ძიება — იტყვიან, რომ ის საკმარისზე ხშირად აკრიტიკებდა ფორმულა ერთის პრეზიდენტ მაქს მოსლის და ამ უკანასკნელმა ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან მოეშორებინაო. ან უბრალოდ დაბერდა და დასვენება მოუნდაო. დენისი ხომ 61 წლისაა და აგერ რამდენი ათეული წელია, მოსვენება არ აქვს. თუმცა როგორც თავად ამბობს, აწი უფრო მეტს იმუშავებს. სხვები თავის გადარჩენაზე ფიქრობენ, მას კი ამ გაგანია ეკონომიკური კრიზისში ახალი საქმის წამოწყება ნაუფიქრებია და ფორმულის ტრასიდან ბრიტანეთის გზებზე გამოსასვლელად ემზადება.



# ტო-იოტისოდენა შანსი

**„ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ"** პრეზენტაციიდან სამ დღეში იაპონურმა „ტოიოტამაც" გამოაგორა თავისი ახალი ბოლიდი, რომლითაც 2009 წელს იქროლებენ მისი მრბოლები — იარნო ტრული და ტიმო გლოკი.

წარდგენა ვერ გამოვიდა „ფერარივით" კეთილსახიერი, რაკიდა კიოლნში დაფუძნებულმა იაპონურმა საჯინიბომ მნახველებს ვირტუალურად უჩვენა ახალი ნაკეთობა. პრეზენტაცია მიდიოდა ვებ-საიტში, რომელმაც ერთი პირობა ვერ გაუძლო მოზღვავებულ მნახველებს და ტექნიკურმა ხარვეზებმა ეფექტი წაახდინა.

„ტოიოტას" ახალ მანქანას TF109 ჰქვია და ინჟინრები მასზე 2007 წლიდან, ანუ 2009 წლის აეროდინამიკული რეგლამენტის დადგენის დღიდან მუშაობენ. ამ რეგლამენტის გამო ფორმით ის ახალ „ფერარი F60-ს" ჰგავს — უკანა ნაწილი ბოთლივით დაწვრილებულია, ცენტრალურ ნაწილში მოშორებულია ზედმეტი ფრთები და შარშანდელ მოდელზე უფრო კომპაქტურის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა „ფერარივით" კოხტა მაინც ვერაა, განსაკუთრებით ცხვირის არეში.




პრეზენტაციაზე მაინც და მაინც ხმამაღლა არ გაუხმოვანებიათ, რომ იმ დღეს გუნდი დატოვა ამ ბოლიდის იტალიელმა შემქმნელმა ლუკა მარმორინიმ. იქ მხოლოდ ოპტიმისტური ფრაზები იღვრებოდა.

საჯინიბოს ხელმძღვანელი ტადეში იამაშინა — „ჩვენი გუნდი რვა წელია ფორმულა ერთში გამოდის და საკმარისი გამოცდილება დააგროვა. მისი არაერთი მაჩვენებელი შეესაბამება ყველაზე მაღალ სტანდარტებს. ჩემთვის მიზანი ნათელია. პროგრესი წლეულს წარმატებით უნდა გავამყაროთ. ყველა პირობა გვაქვს, რომ გუნდის ისტორიაში პირველად მოვიგოთ რბოლა და თუ ეს მაინც შეუძლებელია, ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის და დავაგროვოთ რაც შეიძლება მეტი პოდიუმი და ქულა. ფორმულა ერთი დიდი გამოწვევაა და სრულიად განსხვავდება სამგზავრო ავტომობილზე მუშაობისგან. აქ პერსონალს ყოველ ორ კვირაში უწევს გამოცდის ჩაბარება, მაგრამ სწორედ ეს დაძაბულობა აძლიერებს და აკაჟებს გუნდს."

იამაშინამ მადლობები უხადა იაპონურ კონცერნ „პანასონიკს", რომელიც 2012 წლამდე დარჩა გუნდის სატიტულო სპონსორად. გაბადღებული გლობალური კრიზისის პერიოდში ძლიერი სპონსორი ბევრ პრობლემას მოუხსნის გვერდის ბოლოს სინათლისკენ დაძრულ გუნდს, რომელსაც კარგი მრბოლები ჰყავს, განწყობაშიც ოპტიმიზმი უჩანს, თუმც ფორმულის ზეიგენებთან 17 გრან პრიდან რამელიმესთვის ბრძოლა გვარიანად გაუჭირდება.

**ᲒᲐᲜᲝ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## კაცების ბადე

## ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი. 19 იანვარი-1 თებერვალი. ჰარდი. საპრიზო ფონდი 15 700 000 $

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

ნადალი (1) — კ. როხუსი
ჰერა — კარანუსიჩი
შვანკი — ჰაასი
ჭიპოლა — ტურსუნოვი (29)
გასკე (24) — ხუნკეირა
ჩაპადეა — ისტომინი
კანასი — კიფერი
ჰიუიტი — გონსალესი (13)
მონფილსი (12) — ანგულო
ფუჭნი — კუბეკი
გოლუბიოვი — ფონინი
მასუ — ალმაგრო (17)
კარლოვიჩი (25) — გიმენო-ტრავერი
ოლესნიკი — ანჩიჩი
გუჩიონე — დევილიე
ანდუხარი — სიმონი (6)
მიურეი (4) — პაველი
გაბაშვილი — გრანოლერსი
ბეკი — ებელტიტე
ნიშიკორი — მელცერი (31)
შტეპანეკი (22) — ლაპენტი
ბერერი — ბალი
სტახოვსკი — კლემანი
მანარინო — ვერდასკო (12)
ბლეიკი (9) — დანჩევიჩი
დე შაუნაკი — დარჩი
მონტანესი — გულბისი
პოლანსკი — ანდრეევი (18)
შუტლერი (30) — სელა
ჰანესკუ — ჰენრიხი
ლიუბიჩიჩი — კუნიცინი
მონაკო — ცონგა (5)
როდიკი (7) — რენკვისტი
მალისე — ლოდრა
ფერერო — სანტორო
ქუერი — კოლშრაიბერი (32)
რობრედო (21) — რეინოლდსი
მარტინი — ტროიცკი
ბელუჩი — ლუ
ვასკე — ნალბანდიანი (10)
სოდერლინგი (16) — კენდრიკი
ბენეტო — ბალდატისი
ბოლელი — ფლიგენი
გროტი — ფიში (32)
მატიო (28) — ნიემინენი
დენტი — დელიჩი
შარდი — დანიელი
სტოპინი — ჯოკოვიჩი (3)
დელ პოტრო (8) — ზვერევი
ოუაჰაბი — მაიერი
სტარაჩე — ტომიჩი
მიულერი — ლოპესი (27)
ჩილიჩი — ანდერსონი
ერნანდესი — ტიპსარევიჩი
პრბატი — ისნერი
გრემელმაიერი — ფერერი (11)
ვავრინკა (15) — მინარი
ჰაუ — კლინი
დაბული — პეცშნერი
ჯინეპრი — ბერდიხი (20)
საფინი (26) — ნავარო
გარსია-ლოპესი — კალერი
ფერერი — მოია
სეპი — ფედერერი (2)

# აუ-სტრალია!

## ნამდვილი ჩოგბურთი ახლა იწყება

**აი,** მოაწია დიდი სლემის პირველმა ტურნირმაც — დღეს მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყო.

მელბურნი 1905 წლიდან მასპინძლობს ამ ზეტურნირს. ოზები 1987 წლამდე ბალახის საფარზე უხვდებოდნენ პლანეტიდან მოკრეფილ საუკეთესო ჩოგბურთელებს, მას მერე კი სტუმრებს ჰარდი დაუგეს. უახლოეს მომავალში ორი ცენტრალური კორტიდან ერთ-ერთის გადახურვას აპირებენ, რათა ვარსკვლავები უცაბედი წვიმისგან დაიცვან. წლიდან წლამდე მატულობს საპრიზო ფონდიც, რომელიც წლეულს შარშანდელზე 12 პროცენტით მეტია და ჯამში 23 მილიონ ავსტრალიურ დოლარს შეადგენს (თითქმის 16 მილიონი აშშ დოლარი). ამ თანხას გაიყოფენ კენტი ვაჟები და ქალები, წყვილი ვაჟები და ქალები და შერეული წყვილები. ცხადია გაცილებით პრესტიჟულია ერთეულთა შეჯიბრი და აქ გაცილებით დიდი თანხაა დაბანდებული. კაცთა და ქალთა ჩემპიონები 2-2 მილიონ ავსტრალიურ მილიონს იღებენ, რაც ჩვენთვის უკეთ ნაცნობ ამერიკულ დოლარებში რომ „გადავახურდავოთ", თითო ჩემპიონზე 1,3 მილიონს უდრის. ფინალისტებს ამის ნახევარი ხვდებათ.

ცხადია, ასეთი ფული, სახელი და მაღალი რეიტინგული ქულები გულგრილს არავის ტოვებს. უკლებლივ ყველა საუკეთესო მელბურნშია და მოლოდინით ცმუკავს. გამორჩეულთაგან ტურნირს იძულებით დაალკლდება ორი რუსი — კაცთა შორის მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი ნიკოლაი დავიდენკო და ქალთა მეცხრე ჩოგანი მარია შარაპოვა. ამ უკანასკნელის გამოკლებამ — რა გასაკვირია და — სანახაობაზე ჩასაფრებულ მაყურებელს მეტად დასწყვიტა გული. ამასთან, მაშა ხომ შარშანდელი გამარჯვებული გახლავთ. უმისობაში პირველობის ყველაზე რეალურ კანდიდატებად მოიაზრებიან დები უილიამსები, ელენა იანკოვიჩი და თითქმის ათეული რუსი გოგო.

რაც შეეხებათ კაცებს, მათ შორის მართლაც სასტიკი ბრძოლები უნდა გაიმართოს. როჯერ ფედერერმა შარშან დაკარგული პირველი ჩოგანი უნდა დაიბრუნოს, რაფაელ ნადალმა მისთვის ართმეული საუკეთესოს წოდება დაიცვას, ნოვაკ ჯოკოვიჩმა კი შარშან მოპოვებული ჩემპიონობა შეინარჩუნოს.

მაგრამ რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, მსოფლიოს სამი საუკეთესო მეჩოგნიდან ერთიც არ ითვლება მთავარ ფავორიტად. მათ ეს სტატუსი წაჰგვარა ახალგაზრდა ბრიტანელმა ენდი მიურეიმ, რომელიც სადღეისოდ მსოფლიოში მეოთხეა, მაგრამ თამაშის ხარისხს ისეთი ტემპით აუმჯობესებს, რომ პირველი სამეულიდან მალე ამოაგდებს რომელიმეს. ბრიტანელი ბუქმეიკერები მას გამარჯვების მთავარ ფავორიტადაც კი თვლიან. მიურეი მართლაც ზღაპრულ ფორმაშია და ახლადდაწყებულ სეზონში უკვე ორჯერ მოასწრო ფედერერის გამწარება.

**ირაკლი ფირაშვილი**



**შარშანდელი ჩემპიონი მარია შარაპოვა კორტზე მხრის ტრავმამ არ გაუშვა**

იანკოვიჩი (1) — მიუსბურგერი
ფლიპკენსი — დე ლოს რიოსი
დეში — კუტუზოვა
დიბუა — სუგიამა (26)
ბამერი — შაფაროვა
ცეტკოვსკა — ერაკოვიჩი
სპრემი — პირონკოვა
საუთი — ბარტოლი (16)
პეტროვა (10) — შვედოვა
მირზა — დომაჩოვსკა
კნაპი — ვენტერტი
ვოსკობოევა — სფავაი
კირილენკო (27) — ერანი
ნიკულესკუ — ობრაიენი
კამერინი — გალოვიცი
რიბარიკოვა — ზვონარიოვა (7)
საფინა (3) — კუდრიავცევა
მაკაროვა — რეზაი
შრუფი — მაიერი
კრუმი — კანეპი (25)
ჰანტუხოვა (19) — დელაკრუა
კრეიბასი — იოჰანსონი
პეტკოვიჩი — ვოერლე
კორიცევა — კორნე (15)
ვოზნიაკი (11) — პირი
რუანო პასკუალი — მარინო
დოკიჩი — პაცეკი
კლოტავონგი — ჩაკვეტაძე (17)
კლეიბანოვა (29) — არვიდსონი
კოენ-ალორო — სტრიცოვა
ვიკმაიერი — ბრიანტი
გეორგესი — ივანოვიჩი (5)
ვ. უილიამსი (6) — კრეპერი
ნავარო — ვინჩი
ოუდინი — ამანმურადოვა
სანჩესი — ტანასუგარნი (32)
გარიგესი (21) — ჰოლანდი
ვესნინა — კაისი
მური — მაკჰეილი
სანტანჯელო — პენეტა (12)
შნიდერი (14) — მლადენოვიჩი
გაიდოსოვა — რაზანო
სიუ-ვეი — იუნ-იანი
შეპერსი — ციბულკოვა (18)
ვოზნიაკი (30) — ლისიცკი
სტოსური — ზაკოპალოვა
დუშევინა — ბენეშოვა
ბაროსი — დემენტიევა (4)
კუზნეცოვა (8) — როდიონოვა
მალეკი — მორიტა
ვაიდიშოვა — ბრემონდი
როზოვსკა — ბონდარენკო (31)
ჟენგი (22) — პინი
კირსტეა — ცინკი
ბიჩკოვა — დომინგესი
ბონდარენკო — რადვანსკა (9)
აზარენკა (13) — კვიტოვა
გარბინი — პავლიუჩენკოვა
ბალტაჩა — გრონფელდი
გოვორცოვა — მორესმო (20)
სკიავონე (28) — პენგი
ვოვესი — კარატანჩევა
იაკიმოვა — დულკო
იუანი — ს. უილიამსი (2)



სარბიელის არქივიდან

# გულგრილობა ან დაუდევრობა: ფული კი წყალში გადაიყარა

## რატომ გაუშვეს სოფო შაფათავა ავსტრალიაში?

**საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯიბეზე ხელი გაიკრა, გვარიანი თანხაც გაიღო და სოფო შაფათავა დააფინანსა. ახალგაზრდა ჩოგბურთელს ავსტრალიის ღია პირველობაზე უნდა ეთამაშა, რაც ქართველი მეჩოგნეებისთვის დიდი ფუფუნებაა...**

სოფოს ავსტრალიაში სარეიტინგო ქულებისთვისაც უნდა ებრძოლა, რაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად პირველი ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა...

სოფო შაფათავა ბადის გარეთ დარჩა და ავსტრალიის ღია პირველობაზე, სამწუხაროდ, ვეღარ ითამაშებს. ეს ამბავი ჩოგბურთელის დისგან იუნა შაფათავასგან შევიტყვეთ, ვინც ამავე დროს სოფოს მენეჯერია.

იუნა შაფათავა: „სოფო სარეზერვო სიაში ვერ მოხვდა. არადა, მეხუთე იყო 96 ჩოგბურთელში. სულ ბადეში 212 ქალია. მაკა ჩახნაშვილი სარეზერვო სიიდან ბოლოს დაუშვეს კვალიფიკაციაში. ახლა სოფო საშინელ ხასიათზეა და ძალიან განიცდის ამ ყველაფერს. თავისი ოცნების ტურნირზე ვერ თამაშობს. სერიოზულ ჩოგბურთელებთან ივარჯიშა, ძალები მოსინჯა და სათამაშოდ ემზადებოდა, მაგრამ თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცა. ამას შეიძლება ერთადერთი დადებითი მხარე ჰქონდეს, როლან გაროსზე და უიმბლდონზე თავს მოიკლავს და მაგრად ითამაშებს."

ოლიმპიურმა კომიტეტმა სოფო შაფათავა იმ იმედით დააფინანსა, რომ ავსტრალიაში ითამაშებდა. ახლა კი გამოვიდა, რომ ფული წყალში ტყუილად გადაიყარა. ამასთან დაკავშირებით, ცხადია, ჩოგბურთის ფედერაციის და სეოკ-ის პოზიციებით დავინტერესდით.

ლალი ზერეკიძე, ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: „სოფო ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იქნება. ნამდვილად რთულია მისთვის ეს ამბავი. ავსტრალიაში იმ იმედით წავიდა, რომ საკვალიფიკაციო ბადეში მოხვედრას შეძლებდა. ანუ, გამგზავრებამდე არ ჰქონდა გარანტია, რომ აუცილებლად ითამაშებდა.

ის, ალბათ ფიქრობდა, რომ რეიტინგში მის წინ მდგომებიდან ზოგიერთი ჩოგბურთელი არ ისურვებდა თამაშს ან ტრავმას მიიღებდა. ძალიან სპეციფიკური ტურნირია, ბევრი შეიძლება, სულაც ფინანსების გამო არ ჩასულიყო, თუმცა ასე არ მოხდა".

სეოკ-ის პრესსამსახურში კი ეს გვითხრეს: „ნამდვილად არ ვიცოდით, იმის ალბათობა თუ არსებობდა, რომ სოფოს ავსტრალიაში არ ეთამაშა. ასეთ შემთხვევაში ნამდვილად ვერ გავრისკავდით, რადგან საკმაოდ სოლიდური თანხის გაღება მოგვიხდა.

ვიმეორებთ, ის, რომ შაფათავას ავსტრალიაში შეიძლება არ ეთამაშა, ჩვენთვის უცნობი იყო.

*ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიკითხოთ: ჩოგბურთის ფედერაციაში იცოდნენ, რომ სოფოს შესაძლოა, ავსტრალიაში ვერ ეთამაშა, ოლიმპიურ კომიტეტში კი ეს არ იცოდნენ და გვარიანი თანხა ტყუილუბრალოდ დახარჯეს. რასთან გვაქვს საქმე — გულგრილობასთან თუ დაუდევრობასთან? იმედია, ამ კითხვას პასუხი გაეცემა.*

ავსტრალიის ღია პირველობაზე კი ორმა ქართველმა, მაკა ჩახნაშვილმა და ანა ტატიშვილმა მაინც მოსინჯეს ძალა და შეჯიბრს საკვალიფიკაციო ეტაპზევე დაემშვიდობნენ.

მაკას მეტოქე მსოფლიოს რეიტინგში 416-ე ადგილზე მყოფი ავსტრალიელი 18 წლის მარია მირკოვიჩი იყო. ქართველი 6:4 4:6 4:6 დამარცხდა.

ჩახნაშვილზე სუსტად ითამაშა ანა ტატიშვილმა. მისი მეტოქე 24 წლის ხორვატი კაროლინა შპრემი იყო, რომელიც რეიტინგში 156-ე ჩოგანია. ანამ 2:6 3:6 წააგო.

**ლექსო მაისურაძე**

# მელბურნამდელი ვარჯიშობანი

**წლეულს** ენდი მიურეისგან ორგზის ძლეულმა როჯერ ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობის წინ ოდნავ მაინც გამოიკეთა ხასიათი და კიოონგში საჩვენებელი ტურნირი მოიგო — ფინალში დაამარცხა თანამემამულე სტანისლას ვავრინკა, თანაც უიოლესად: 57 წუთში 6:1 6:3 შეარცხვინა პეკინის ოლიმპიადაზე წყვილთა თანრიგში მისი დოსტი და ოლიმპიური ოქროს მასთან ერთად მომგები.

გაცილებით სერიოზულ ტურნირს უმასპინძლა ახალი ზელანდიის საქალაქმა დედაქალაქმა ოკლენდმა, სადაც ფინალში და არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ ამერიკელი სემ ქუერი 6:4 6:4 დაჩოგნა.

ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე კიდევ არაერთი წვრილი და საშუალო ტურნირი გაიმართა სამხრეთ ნახევარსფეროში, სადაც გამარჯვებას იმხელა ფასი რაა ადევს, რამდენადაც კარგად გავარჯიშებას და საკუთარი თამაშის პოვნას. ამ ტურნირებიდან ყველაზე წარმომადგენლობითი გახლდათ სიდნეის „მედიბანკ ინტერნეშნელი", სადაც საპრიზოც 400 ათასზე მეტია და ხალხიც სახელიანი თამაშობს.

კაცთა განაკვეთში არაერთი საინტერესო მატჩი შედგა და ტურნირის მთავარ გმირად იქცა ფინელი იარკო ნიემინენი, რომელმაც ფავორიტები ერთმანეთს მიაყოლა, მეოთხედფინალში გაიარა მესამე ნომრად განთესილი ფრანგი ჟო-ვილფრედ ცონგა, ნახევარფინალში კი მიჩოგნა პირველ ნომრად განთესილი მსოფლიოს მესამე ჩოგანი, ავსტრალიის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონი ნოვაკ ჯოკოვიჩი (6:4 7:6), მაგრამ ქარცეცხლში გამოვლილს ფინალში არგენტინელ დავიდ ნალბანდიანთან ჯანი აღარ ეყო და 3:6 7:6 2:6 დამარცხდა.

ამავე ტურნირზე ქალთა ფინალში ორი რუსი გოგონა შეთამაშდა — ლამაზმანმა ელენა დემენტიევამ 6:3 2:6 6:1 აჯობა უშნო დინარა საფინას.



# კვირის ქრონიკა

## ბათუმი თითქოს გადარჩა

**საკალათბურთო** სუპერლიგის დებიუტანტი „ბათუმი" საქართველოს ჩემპიონატში თამაშს გააგრძელებს. ზღვისპირელებს ფინანსური პრობლემები აქვთ და ამის გამო გუნდი დაშლის პირას იყო. თუმცა პრობლემები ნაწილობრივ მოაგვარეს და სეზონს ჩაამთავრებენ. ისიც ვთქვათ, რომ მოთამაშეებს ხელფასები ამ დრომდე არ აუღიათ და გუნდმა ქორქია-საკანდელიძის მემორიალიც გამოტოვა.

ბათუმელები ცენტრალურმა თავდამსხმელმა დავით იმნაძემ დატოვა, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ორ-სამ კალათბურთელს დაიმატებენ.

24-27 იანვარს გასამართი საქართველოს თასის მეოთხედფინალში კი „ბათუმის" მეტოქე ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „ავიამშენია".

## ოქსანა ბადის მიღმა

18 წლის ოქსანა კალაშნიკოვამ ამერიკაში ქალაქ ბოკა რატონში 25 ათას დოლარიან ტურნირზე ითამაშა.

ოქსანა გათამაშებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება და ძირითად ბადეში გასვლა ვერ შეძლო.

ქართველმა, ვინც მე-8 ნომრად იყო განთესილი ავსტრიელ ვიძერს იოლად 6:1 6:1 მოუგო. მომდევნო მეტოქე მასპინძელი ვილსა იყო და მის დასამარცხებლად გვარიანი ბრძოლა დასჭირდა — 7:6 7:5. ძირითად ბადეში გადასასვლელ მატჩში კი ბრაზილიელ ტელიანა პერეირასთან 0:6 4:6 დამარცხდა.

## კახური ჭადრაკი

**თელავში** გამართულ კახეთის რეგიონალური საჭადრაკო ფედერაციის არჩევნებზე პრეზიდენტად კახეთში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ღვინიაშვილი აირჩიეს.

ვიცე-პრეზიდენტებად საერთაშორისო დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი და ჯიმი ჯავახია დაასახელეს, გენერალური მდივანი კი მანანა ბუჯიაშვილი გახდა.

არჩევნებზე საპატიო სტუმრებად მიწვეულნი იყვნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ მიქაძე და გამგეობის წევრი კახი ჩივოგიძე.

პარალელურად გაიმართა თელავის რაიონის ჭადრაკის ფედერაციის არჩევნებიც. თავმჯდომარედ თელავის მერი ზურაბ ბუცხრიკიძე აირჩიეს.

## ოლიმპიურის ახალი მისამართი

**საქართველოს** ოლიმპიური კომიტეტი, სავარაუდოდ თვის მიწურულს, ახალ ოფისში გადავა. ოლიმპიურ კომიტეტს, რომელსაც აქამდე მარჯანიშვილზე ედო ბინა, ახალი ნავსაყუდელი დოლიძის 2 ნომერში ექნება. ეს შენობა სახელმწიფომ ოლიმპიურ კომიტეტს სიმბოლურ ფასად გადასცა.

## უარი მოძმანაშვილს!

**ჭიდაობის** საერთაშორისო ფედერაციამ დავით მოძმანაშვილის დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა. შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატის მოგების მერე მოძმანაშვილი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს და 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ფილა-ს სასჯელის მოხსნის თხოვნით მიმართა, მაგრამ უარი მიიღო. თუმცა არის შანსი, რომ მოძმანაშვილს დისკვალიფიკაციის ვადა ერთ წლამდე შეუმცირდეს.



ქართული ხელბურთის ამქარს კიდევ ერთი სახელიანი მოთამაშე, 1962-1964 წლების საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და „ბურევესტნიკის" მოთამაშე **ბორის კოპალეიშვილი** გამოაკლდა. ხელბურთის ფედერაცია, ვეტერანი ხელბურთელები და სარბიელელები ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ
ძველი თაობის ჟურნალისტის
**ჯიმი ენუქიძის**
გარდაცვალების გამო

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

### 19 იანვარი

1878 ინგლისელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ჰერბერტ ჩეპმენი
1913 ამერიკელი ბილიარდის მოთამაშე რუდოლფ ვანდერონი
1966 შვედი ჩოგბურთელი შტეფან ედბერგი
1969 იუგოსლაველი ფეხბურთელი პრედრაგ მიატოვიჩი
1969 ირლანდიელი ფეხბურთელი სტივ სტაუნტონი
1969 ავსტრალიელი კალათბურთელი ლუკ ლონგლი
1974 ბოლივიელი ფეხბურთელი ხაიმე მორენო
1977 კამერუნელი ფეხბურთელი ლორენ ეტამე
1980 ბრიტანელი ავტომრბოლი ჯენსონ ბატონი
1981 ესპანელი ფეხბურთელი ასიერ დელ ორნო
1981 არგენტინელი ფეხბურთელი ლუჩო გონსალესი

### 20 იანვარი

1920 ესპანელი ფეხბურთელი ტელმო ზარა
1938 ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი დერეკ დუგანი
1964 ვენესუელელი ბეისბოლისტი ოზი გუილენი
1981 ამერიკელი კალათბურთელი ჯეისონ რიჩარდსონი
1981 ინგლისელი ფეხბურთელი ოუენ ჰარგრივზი

### 21 იანვარი

1940 ამერიკელი მეგოლფე ჯეკ ნიკლაუსი
1954 ინგლისელი ფეხბურთელი ფილ ტომპსონი
1959 შოტლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ალექს მაკლიში
1963 ნიგერიელ-ამერიკელი კალათბურთელი ჰაკიმ ოლაჯუონი
1963 გერმანელი კალათბურთელი დეტლეფ შრემპფი
1971 შოტლანდიელი სნუკერისტი ალან მაკმანუსი
1975 ინგლისელი ფეხბურთელი ნიკი ბათი
1977 ავსტრალიელი მორაგბე ალ ბაქსტერი
1977 ინგლისელი ფეხბურთელი ფილ ნევილი
1978 გერმანელი ტრიატლონისტი ფარის ალ სულთანი
1979 ირლანდიელი მორაგბე ბრაიან ოდრისკოლი
1981 კანადელი ჰოკეისტი დენი ჰიტლი

### 22 იანვარი

1907 ინგლისელი ფეხბურთელი დიქსი დინი
1920 ინგლისელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ალფ რამსი
1958 ბერძენი ფეხბურთელი ნიკოს ანასტოპულოსი
1968 ფრანგი ფეხბურთელი ფრანკ ლებეფი
1968 კოლუმბიელი ფეხბურთელი მაურიციო სერნა
1970 ესპანელი ფეხბურთელი აბრაამ ოლანო
1971 ინგლისელი ფეხბურთელი სტენ კოლიმორი
1977 იაპონელი ფეხბურთელი ჰიდეტოში ნაკატა
1980 ინგლისელი ფეხბურთელი ჯონათან ვუდგეიტი
1981 სენეგალელი ფეხბურთელი იბრაჰიმ სიჭონკო
1982 არგენტინელი ფეხბურთელი ფაბრიციო კოლოჩინი
1988 ამერიკელი კალათბურთელი გრეგ ოდენი

### 23 იანვარი

1967 თურქი ძალოსანი ნაიმ სულეიმანოღლუ
1968 ჩეხი ჩოგბურთელი პეტერ კორდა
1969 რუსი ფეხბურთელი ანდრეი კანჩელსკისი
1969 კანადელი ჰოკეისტი ბრენდან შენაჰანი
1972 ჰოლანდიელი მოცურავე მარსელ ვუდა
1984 ჰოლანდიელი ფეხბურთელი არიენ რობენი

### 24 იანვარი

1947 იაპონელი მეგოლფე მასაში ოძაკი
1961 გერმანელ ფეხბურთელი გვიდო ბუხვალდი
1968 ამერიკელი ტანმოვარჯიშე მერი ლუ რეტონი
1975 კოსტარიკელი ფეხბურთელი რონალდ გომესი
1983 შოტლანდიელი ფეხბურთელი შონ მელონი

### 25 იანვარი

1942 პორტუგალიელი ფეხბურთელი ეუსებიო
1947 ბრაზილიელი ფეხბურთელი ტოსტაო
1947 ესპანელი მოტომრბოლი ანხელ ნიეტო
1951 ამერიკელი მორბენალი სტივ პრეფონტეინი
1962 ამერიკელი ჰოკეისტი კრის ჩელიოსი
1975 ამერიკელი სპრინტერი ტიმ მონტგომერი
1978 რუსი ველომრბოლი დენის მენშოვი
1978 ინგლისელი ფეხბურთელი ჯეისონ რობერტსი
1980 ესპანელი ფეხბურთელი ხავი
1984 ბრაზილიელი ფეხბურთელი რობინიო
1987 რუსი ჩოგბურთელი მარია კირილენკო
1988 ფრანგი ჩოგბურთელი ტატიანა გოლოვინი



ტიმ მონტგომერი თავისი ეპოქის საუკეთესო სპრინტერი არ ყოფილა, მაგრამ მრავალმხრივ გაითქვა სახელი. ერთი, რომ მძლეოსნობის დედოფალი მერიონ ჯონსი ცოლად შეირთო, მერე კი 2002 წელს 100 მეტრი 9,78 წამში გაირბინა და თანამედროვე მორის გრინს მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა, მაგრამ ორი წლის შემდეგ მასაც და მის ცოლსაც სისხლში აკრძალული სტეროიდული ნივთიერება აღმოუჩინეს და სპორტიდან სკანდალურად მოკვეთეს

# იუბილარი ლეგენდები

1913 წლის 19 იანვარი

## რუდოლფ ვანდერონი

(აშშ, ბილიარდი)




რუდოლფ ვანდერონი მეტსახელად „მსუქანი მინესოტა“ მე-20 საუკუნის ამერიკის ბილიარდის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო. დაიბადა ნიუ იორკში შვედი ემიგრანტების ოჯახში, ოფიციალური მონაცემებით 1913 წელს, თუმც თავად ყოველთვის გაიძახოდა — 1900 წელს ვარ შობილიო. ბილიარდი ბავშვობიდანვე ისწავლა და შემდეგ ევროპაში მამასთან ერთად მოგზაურობისას დახვეწა. თამაშობდა მაშინ „ჯიბის ბილიარდად“ წოდებულ სახეობას, რომელსაც ახლა „პული“ ჰქვია. არასდროს მოუგია რაიმე დიდი ტურნირი, მაგრამ მის პოპულარიზაციაში უდიდესი წვლილი შეიტანა და ხალხისგან მეტი აღიარება დაიმსახურა, ვიდრე ოფიციალურმა ჩემპიონებმა.

1966 წლის 19 იანვარი

## შტეფან ედბერგი

(შვედეთი, ჩოგბურთი)



ბიორნ ბორგი რომ მიდიოდა, შტეფან ედბერგი მოდიოდა. წესიერმა და მუყაითმა შვედმა, შესაძლოა, ჩოგბურთში ისე ღრმა კვალი ვერ დატოვა, როგორც მისმა ხმაურიანმა თანამემამულემ, მაგრამ 80-90-იანი წლების მიჯნაზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ და ერთი ხანობა მსოფლიოს პირველი ჩოგანიც ეკავა, ხოლო ჩოგბურთიდან რომ წავიდა, ხელს წააყოლა 44 მოგებული ტიტული, რომელთაგან 6 დიდი სლემისა გახლდათ. ედბერგმა ორ-ორჯერ მოიგო „ავსტრალიან ოუფენი“, „უიმბლდონი“ და „იუეს ოუფენი“. დაიწყო ავსტრალიით, როცა 1985 წლის გათამაშების ფინალში 19 წლისამ კიდევ ერთი სახელოვანი შვედი მატს ვილანდერი დაამარცხა და დაასრულა 1992 წელს ნიუ იორკში პიტ სამპრასის ძლევით. შეეძლო დიდი სლემიც შეესრულებინა, მაგრამ 1989 წელს „როლან გაროსის“ ფინალში მაიკლ ჩანგთან მოეცარა ხელი.

1920 წლის 20 იანვარი

## ტელმო სარა

(ესპანეთი, ფეხბურთი)



ტელმო სარაონაინდია მონტოია, უბრალოდ კი ტელმო სარა ბასკური ფეხბურთის ლეგენდა გახლდათ, რომელმაც 1940-55 წლებში ბილბაოს „ატლეტიკში“ თამაშისას 253 გოლი გაიტანა, რაც დღემდე რეკორდად რჩება, ისევე როგორც 1950-51 სეზონში გატანილი 38 გოლი. ნაკრებში მხოლოდ 20-ჯერ უხმეს და იქაც ზუსტად 20 გოლი მოიხვეჭა. 1951 წელს შვეიცარიას ოთხჯერ გაუტანა, 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ინგლისს გადამწყვეტი გოლი შეუგდო და ესპანეთი პირველად და უკანასკნელად გაიყვანა ნახევარფინალში. 2006 წელს 85 წლისა დაიღუპა და მას მერე პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი „სარას“ პრიზის“ სახელს ატარებს.

1940 წლის 21 იანვარი

## ჯეკ ნიკლაუსი

(აშშ, გოლფი)



ტაიგერ ვუდსის მოსვლამდე ეს კაცი გოლფის „პელე“ იყო და იგებდა ყველაფერს, რის გამოც „ოქროს დათუნა“ შეარქვეს. 21-დან 46 წლამდე მოიგო 18 მეიჯორი და ამ უნიკალური მაჩვენებლით ჯერაც ოთხით უსწრებს ვუდსს. 1986 წელს აუგუსტაში რომ მოიგო „მასტერსი“, მეიჯორებში ასაკობრივი რეკორდი დაამყარა.

1963 წლის 21 იანვარი

## ჰაკიმ ოლაჯუონი

(ნიგერია-ამერიკა, კალათბურთელი)



ნიგერიაში, შეძლებულ ოჯახში გაიზარდა. სკოლაში თამაშობდა ხელბურთს და ფეხბურთს (მეკარე იყო), მაგრამ მერე უცებ აიყარა ტანი და 16 წლიდან კალათბურთზე გადაერთო. კიდევ ორ წელიწადში ამერიკაში გაფრინდა და იქ ყველა ნატვრა აიხდინა, გახდა ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, მოიხვეჭა სახელი და ფული. ღრმად მორწმუნე მუსლიმანი ერთმანეთს უპრობლემოდ უხამებდა ყურანს და კალათბურთს, მის ინტელექტზე ლეგენდები დადიოდა და მოედანზეც ძალიან ჭკვიანურად მოქმედებდა. არაოფიციალურად შეყვანილია ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო ცენტრთა ხუთეულში.

1967 წლის 23 იანვარი

## ნაიმ სულეიმანოღლუ

(თურქეთი, ძალოსნობა)

ლეგენდარული ძალოსანი ნაიმ სულეიმანოღლუ 60 კილოსაც არ იწონიდა, სიმაღლით მიწიდან 150 სანტიმეტრს აიზომებოდა, მაგრამ საკუთარ წონაზე სამჯერ მეტის აწევა შეეძლო. იმდენად პაწუა ჩანდა, რომ „ჯიბის ჰერკულესი“ შეარქვეს. მოიგო სამი ოლიმპიადა (1988, 92, 96), შვიდი მსოფლიოს ჩემპიონატი და დატოვა 46 მსოფლიო რეკორდი. დაიბადა ბულგარეთის „თურქულ რეგიონში“ და პირველად ნაიმ სულეიმანოვად იწოდებოდა, მაგრამ ახალგაზრდობაშივე გაიხიზნა თურქეთში და სოციალისტური ბლოკის დარღვევის შემდეგღა იხილა ბულგარეთში დარჩენილი ოჯახის წევრები.




1942 წლის 25 იანვარი

## ეუსებიო

(პორტუგალია, ფეხბურთი)



მოზამბიკში მაშინ დაიბადა, როდესაც ბებერ კონტინენტს მეორე მსოფლიო ომი არყევდა. მთელი კარიერა ლისაბონის „ბენფიკაში“ და პორტუგალიის ნაკრებში ითამაშა, მაგრამ რეალურად სახელი გაითქვა, როგორც პირველმა აფრიკელმა მსოფლიო დონის ფეხბურთელმა. სწრაფი მოძრაობა და უზუსტესი დარტყმა ჰქონდა. 1966 წლის ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე 9 გოლით ბომბარდირი შეიქნა, პორტუგალიამ კი მესამე ადგილი დაიკავა, რაც დღემდე საუკეთესო შედეგად რჩება.

1947 წლის 25 იანვარი

## ტოსტაო

(ბრაზილია, ფეხბურთი)



თავისი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი და პელეს პარტნიორი. ბავშვობაშივე შეარქვეს საფეხბურთო სახელი „ტოსტაო“, რაც პატარა მონეტად მოითარგმნება. ინტელექტუალურ მოთამაშედ იცნობდნენ, ბევრი გაჰქონდა და ბევრსაც ატანინებდა. 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე სრულად გაიბრწყინა. მანამდე ერთი წლით ადრე თავში მოხვდა ძლიერად დარტყმული ბურთი და მხედველობა კარგა ხანს გაორებული ჰქონდა. 1973 წელს კიდევ ერთხელ მოარტყეს და დაზიანებულმა მხედველობამ 26 წლისას მიატოვებინა ფეხბურთი. შესაძლოა ამის გამოც ის შემდეგ ცხოვრებაში ექიმი შეიქნა.

1951 წლის 25 იანვარი

## სტივ პრეფონტეინი

(აშშ, მძლეოსნობა)




თავმოწონე და ამჩხლიროული ხასიათი ჰქონდა ამ ამერიკელ მორბენალს, მაგრამ ქვეყანა აღმერთებდა, რადგან სარბენ ბილიკზე ბოლომდე იხარჯებოდა. მარჯვენა ფეხი მარცხენაზე ოდნავ მოკლე ჰქონდა. დარბოდა საშუალო დისტანციებზე, უყვარდა გუნდის წევრში აგრესიული, შემტევი სირბილი და ამის გამო 1972 წლის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი დაკარგა — ბოლო მეტრებზე ერთბაშად სამმა კაცმა გადაასწრო. შტატებსგარეთ სახელის მოხვეჭა არ დასცალდა — 1975 წელს ავტოავარიაში 24 წლისა დაიღუპა.

1962 წლის 25 იანვარი

## კრის ჩელიოსი

(აშშ, ჰოკეი)



ბერძნული ფესვების მქონე ამერიკელი ჰოკეისტი, რომელმაც შორეულ 1984 წელს შეაბიჯა ნჰლ-ში და დღემდე იქაა. ხანგრძლივი და სტაბილური თამაშის წყალობით უამრავი რეკორდი დაამყარა და მათ შორის გამოსარჩევია პლეი ოფში (23-ჯერ!) თამაში და 2872 საჯარიმო წუთის წუთი. ნჰლ-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი გახლავთ. ბოლო წლებში აიტეხა, ბერძნებს ბიბლიური სრიალი უნდა ვასწავლოთ და გუნდიც გაიყვანა 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე, თუმც იქ განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

**11 იანვარი**
ტორონტო 88:94 ბოსტონი
ატლანტა 94:109 ფილადელფია
კლიპერსი 103:109 ფინიქსი
სან ანტონიო 98:105 ორლანდო
გ. სტეიტი 120:117 ინდიანა
საკრამენტო 102:95 დალასი
ლეიკერსი 108:105 მაიამი

**12 იანვარი**
ვაშინგტონი 91:97 მილუოკი
ნიუ ჯერსი 103:99 ოკლაჰომა
ბოსტონი 105:109 ტორონტო
ნიუ ორლეანი 95:101 ნიუ იორკი
ჩიკაგო 95:109 პორტლენდი
იუტა 120:113 ინდიანა

**13 იანვარი**
დეტროიტი 78:80 შარლოტი
მემფისი 87:102 კლივლენდი
მინესოტა 96:99 მაიამი
ჰიუსტონი 100:105 ლეიკერსი
დენვერი 99:97 დალასი
ფენიქსი 107:102 ატლანტა
საკრამენტო 107:139 ორლანდო

**14 იანვარი**
ინდიანა 110:106 დეტროიტი
ფილადელფია 100:79 პორტლენდი
ტორონტო 98:102 ჩიკაგო
ბოსტონი 118:86 ნიუ ჯერსი
ნიუ იორკი 128:122 ვაშინგტონი
ოკლაჰომა 114:93 იუტა
მილუოკი 99:102 მაიამი
დალასი 97:104 ნიუ ორლეანი
სან ანტონიო 112:111 ლეიკერსი
გ. სტეიტი 133:135 საკრამენტო
კლიპერსი 80:97 ატლანტა

**15 იანვარი**
ნიუ ჯერსი 99:105 პორტლენდი
ჩიკაგო 102:93 კლივლენდი
დენვერი 119:113 ფენიქსი

**16 იანვარი**
ინდიანა 111:104 ტორონტო
ფილადელფია 109:87 სან ანტონიო
ვაშინგტონი 96:89 ნიუ იორკი
კლივლენდი 92:78 ნიუ ორლეანი
ოკლაჰომა 89:79 დეტროიტი
მემფისი 91:101 იუტა
ფენიქსი 103:105 მინესოტა
საკრამენტო 122:129 მილუოკი
გოლდენ სტეიტი 119:114 ატლანტა
ლეიკერსი 103:109 ორლანდო

**17 იანვარი**
ნიუ ჯერსი 85:105 ბოსტონი
შარლოტი 102:97 პორტლენდი
დეტროიტი 85:91 ნიუ ორლეანი
ნიუ იორკი 97:107 ფილადელფია
ჰიუსტონი 93:86 მაიამი
ჩიკაგო 87:92 სან ანტონიო
დალასი 115:108 იუტა
დენვერი 88:106 ორლანდო
კლიპერსი 101:92 მილუოკი

### კვირის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| მაიკლ რედი (მილუოკი) | 16.01 | 44 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 13.01 | 44 |
| მეჰმედ ოქური (იუტა) | 12.01 | 43 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 11.01 | 42 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 17.01 | 39 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 12.01 | 39 |
| რეი ალენი (ბოსტონი) | 11.01 | 36 |
| ჯამალ კროუფორდი (გ. სტეიტი) | 14.01 | 35 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| ბრედ მილერი (საკრამენტო) | 14.01 | 22 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 16.01 | 21 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 17.01 | 20 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 16.01 | 20 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| ჯეისონ კიდი (დალასი) | 17.01 | 15 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 17.01 | 14 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 17.01 | 14 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 15.01 | 14 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 14.01 | 7 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 12.01 | 6 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| ანდრის ბიედრინსი (გ. სტეიტი) | 14.01 | 5 |
| ბრუკ ლოპესი (ნიუ ჯერსი) | 14.01 | 5 |
| ერიკ დამპიე (დალასი) | 11.01 | 5 |

*„ნიუ ორლეანის" გამთამაშებელმა კრის პოლმა 14 იანვარს „დალასთან" 33 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა და 7 ჩაჭრა გააკეთა*



ორლანდოელი ჯამირ ნელსონი პაუ გასოლს გაურბის

### აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 33 | 9 | 78,6 | 20-2 | 13-7 | 4 მოგ | 5-5 |
| ფილადელფია | 20 | 20 | 50,0 | 11-8 | 9-12 | 7 მოგ | 8-2 |
| ნიუ ჯერსი | 19 | 22 | 46,3 | 9-14 | 10-8 | 3 წაგ | 4-6 |
| ტორონტო | 16 | 25 | 39,0 | 8-11 | 8-14 | 4 წაგ | 4-6 |
| ნიუ იორკი | 15 | 24 | 38,5 | 9-9 | 6-15 | 2 წაგ | 4-6 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 31 | 7 | 81,6 | 20-0 | 11-7 | 1 მოგ | 7-3 |
| დეტროიტი | 22 | 17 | 56,4 | 12-7 | 10-10 | 5 წაგ | 4-6 |
| მილუოკი | 20 | 23 | 46,5 | 11-7 | 9-16 | 1 წაგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 18 | 23 | 43,9 | 13-8 | 5-15 | 1 წაგ | 4-6 |
| ინდიანა | 15 | 25 | 37,5 | 9-9 | 6-16 | 2 მოგ | 5-5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 33 | 8 | 80,5 | 16-3 | 17-5 | 7 მოგ | 9-1 |
| ატლანტა | 23 | 16 | 59,0 | 15-4 | 8-12 | 1 წაგ | 6-4 |
| მაიამი | 21 | 18 | 53,8 | 12-6 | 9-12 | 1 წაგ | 5-5 |
| შარლოტი | 16 | 24 | 40,0 | 11-12 | 5-12 | 3 მოგ | 5-5 |
| ვაშინგტონი | 8 | 31 | 20,5 | 6-15 | 2-16 | 1 მოგ | 2-8 |

### დასავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 26 | 13 | 66,7 | 15-7 | 11-6 | 1 მოგ | 7-3 |
| ნიუ ორლეანი | 24 | 13 | 64,9 | 12-5 | 12-8 | 1 მოგ | 6-4 |
| ჰიუსტონი | 25 | 16 | 61,0 | 13-5 | 12-11 | 1 მოგ | 5-5 |
| დალასი | 23 | 17 | 57,5 | 13-7 | 10-10 | 1 მოგ | 5-5 |
| მემფისი | 11 | 28 | 28,2 | 9-13 | 2-15 | 5 წაგ | 1-9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 27 | 14 | 65,9 | 16-6 | 11-8 | 1 წაგ | 7-3 |
| პორტლენდი | 24 | 16 | 60,0 | 14-4 | 10-12 | 1 წაგ | 6-4 |
| იუტა | 24 | 17 | 58,5 | 14-6 | 8-13 | 1 წაგ | 6-4 |
| მინესოტა | 12 | 26 | 31,6 | 6-13 | 6-13 | 1 მოგ | 7-3 |
| ოკლაჰომა | 8 | 33 | 19,5 | 6-16 | 2-17 | 2 მოგ | 5-5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 31 | 8 | 79,5 | 20-3 | 11-5 | 2 წაგ | 7-3 |
| ფინიქსი | 22 | 15 | 59,5 | 12-8 | 10-7 | 2 წაგ | 6-4 |
| გოლდენ სტეიტი | 12 | 29 | 29,3 | 8-9 | 4-20 | 1 მოგ | 3-7 |
| საკრამენტო | 10 | 31 | 24,4 | 7-14 | 3-17 | 1 წაგ | 3-7 |
| კლიპერსი | 9 | 30 | 23,1 | 4-16 | 5-14 | 1 მოგ | 1-9 |

### კვირის მატჩი. 16 იანვარი, ლოს ანჯელესი

**ლეიკერსი 103:109 ორლანდო**

23:20 29:24 21:30 30:35

**ლეიკერსი:** ფიშერი (9), ბრაიანტი (28 ქულა, 13 მოხსნა, 11 პასი), რადმანოვიჩი (15), გასოლი (13), ბაინამი (14); ოდომი (16), არიზა (7), ვუიაჩიჩი

**ორლანდო:** ნელსონი (28), ლი (12), თურქოღლუ (13), ლუისი (16), ჰოვარდი (25 ქულა, 20 მოხსნა); ბათი (8), რედიკი (3), ჯონსონი (2); გორტატი (2)

# ლანდი-ორლანდო

**„რადარების** ქვეშ მივფრინავდით და ვერავინ შეგვნიშნა" — ამბობდა „ორლანდოს" გამთამაშებელი ჯამირ ნელსონი „ლეიკერსის" ძლევის შემდეგ. მისი გუნდი მართლაც შეუმჩნევლად წამოეპარა ლიგის ბობოლა გუნდებს და სანამ ისინი ახალი კონკურენტის რეალურ ძალას გაიაზრებდნენ, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა.

„ატლანტას" 34 ქულით განადგურება ვერ მიიღო ნბა-მ გამაფრთხილებელ სიგნალად. ზაზა ფაჩულიას გუნდის შემუსვრის შემდეგ კი „ორლანდო" დასავლეთში გადაფრინდა და მტერს, რაც იქ ამბები დაატრიალა. 11-17 იანვარს ზედიზედ ოთხი დამხვდური დაამარცხა, რომელთაგან სამი არც მეტი არც ნაკლები, დივიზიონის ლიდერი იყო — „სან ანტონიო", „ლეიკერსი" და „დენვერი". გამორჩეული იყო მეოთხესთან გამარჯვებაც — „საკრამენტოს" 23 სამქულიანი აწვიმა და ნბა-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარა.

მეტოქეთა უყურადღებობაზე საუბრით არ ღირს „ჯადოთა" დაკნინება. თუნდაც „ლეიკერსს" მოუმზადებლობისა არაფერი ეტყობოდა. კობი ბრაიანტი და მისი კომპანია მთელი სიმძიმით დააწვა „მეჯიქს" და ერთბაშად დაუპირა გასრესა. ბრაიანტმა თამაშში მთელი გამოცდილება ჩადო, ბოლოს სამმაგი დუბლიც მოუგროვდა — პირველად 2005 წლის შემდეგ.

„ყოველი მოძრაობით გვეძალებოდნენ. აგრესიულები იყვნენ დაცვაში, შეტევაში, ცდილობდნენ ჩვენს გატეხვას და მაყურებელიც ეხმარებოდა. საპლეიოფო სიგიჟესავით იყო" — იხსენებდა ნელსონი.

მაგრამ „ორლანდომ" გაუძლო და პირველ ტაიმში 9 ქულაზე მეტად არ ჩამორჩა ვიცე-ჩემპიონს, შემდეგ კი თანდათან გაათანაბრა ანგარიში. „ლეიკერსს" მძლავრი მაღლები არ აკლია, მაგრამ იმ შეხვედრაში ფარზე საუკეთესო მოთამაშე „ორლანდოს" მაისური ეცვა — დუაიტ ჰოვარდი ანტიკური სვეტივით დაესო ფარქვეშეთში და 25 ქულას 20 მოხსნა მიაბა.

უკომპრომისო მატჩის ბედი ბოლო წუთს გადაწყდა. ნელსონმა თავისი გუნდის ბოლო 12 ქულიდან 10 თავად მიითვალა. დამთავრებამდე 35 წამით ადრე მისმა სამიანმა „ორლანდო" 104:103 დააწინაურა. მერე კი „ლეიკერსმა" ორი შეტევა ჩააფლავა და საჯარიმოებით კატათაგვობანას თამაშში ნელსონმა ოთხივე საჯარიმო გამოიყენა.

„ენერგიის ისეთ მოზღვავებას ვგრძნობ, რომ კიდევ ორ მეოთხედს თავისუფლად ვითამაშებ" — ამბობდა გოლიათი ჰოვარდი.

მართლაც: ამ გამასავათებელი თამაშიდან 24 საათში „ორლანდო მეჯიქმა" დენვერში 106:88 დასცა იქაური „ნაგეტსი", ჰოვარდმა კი კვლავ 20 მოხსნა გააკეთა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროლიგა

ჯგუფური ეტაპის X და ბოლო ტური. 15-16 იანვარი

**A ჯგუფი**

აველინო 79:75 ციბონა
უნიკახა 92:69 მაკაბი
ოლიმპიაკოსი 68:78 ლე მანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 10 | 8 | 2 | +73 | 18 |
| ოლიმპიაკოსი | 10 | 6 | 4 | +67 | 16 |
| მაკაბი | 10 | 6 | 4 | +4 | 16 |
| ციბონა | 10 | 5 | 5 | -12 | 15 |
| აველინო | 10 | 3 | 7 | -60 | 13 |
| ლე მანი | 10 | 2 | 8 | -72 | 12 |

**B ჯგუფი**

პანათინაიკოსი 75:53 პროკომი
ბარსელონა 90:68 ჟალგირისი
ნანსი 79:103 მონტეპასკი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 10 | 9 | 1 | +163 | 19 |
| მონტეპასკი | 10 | 8 | 2 | +82 | 18 |
| პანათინაიკოსი | 10 | 7 | 3 | +56 | 17 |
| პროკომი | 10 | 2 | 8 | -59 | 12 |
| ჟალგირისი | 10 | 2 | 8 | -96 | 12 |
| ნანსი | 10 | 2 | 8 | -149 | 12 |

**C ჯგუფი**

ტაუ კერამიკა 91:83 ხუვენტუტი
ალბა 59:67 ოლიმპია
ულქერი 90:86 ლოტომატიკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ კერამიკა | 10 | 8 | 2 | +108 | 18 |
| ლოტომატიკა | 10 | 6 | 4 | +28 | 16 |
| ულქერი | 10 | 6 | 4 | +24 | 16 |
| ალბა | 10 | 4 | 6 | -57 | 14 |
| ხუვენტუტი | 10 | 4 | 6 | -10 | 14 |
| ოლიმპია | 10 | 2 | 8 | -93 | 12 |

**D ჯგუფი**

რეალი 80:69 ეფესი
პანიონიოსი 77:87 მილანო
ცსკა 63:66 პარტიზანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 10 | 7 | 3 | +130 | 17 |
| რეალი | 10 | 6 | 4 | +33 | 16 |
| მილანო | 10 | 5 | 5 | -11 | 15 |
| პარტიზანი | 10 | 5 | 5 | +19 | 15 |
| ეფესი | 10 | 4 | 6 | -49 | 14 |
| პანიონიოსი | 10 | 3 | 7 | -122 | 13 |

# წარუმატებელი დღე
## კალათბურთის მატჩი 94:1 დასრულდა!

**საინტერესო** ანგარიში დაფიქსირდა შეერთებული შტატების სკოლების საკალათბურთო ჩემპიონატში — 94:1! კიდევ ერთხელ ვთქვათ, ეს ხდება არა სადმე კუკის კუნძულებზე, არამედ ამერიკაში, სადაც კალათბურთს აღმერთებენ და სადაც ასეთი დონეა.

„ფრონტიერ აკადემიის" უფროსკლასელ გოგონათა გუნდმა სკოლათა ჩემპიონატის რიგით მატჩში აი, ასე გაანადგურა „ბოულდერის" სკოლა. პირველი ტაიმი 48:0 დამთავრებულა და ფრონტიერელებს არც მეორეში შეუწყვეტიათ მეტოქეთა წამება. თუმც ბოულდერელებმა დიდი შესვენების შემდეგ საკუთარ თამაშში „კორექტივები შეიტანეს" და მართალია, თამაში ვერ გარდატეხეს, მაგრამ ანგარიში კი გატეხეს და ერთი საჯარიმო ჩააგდეს.

„მეტოქეს პატივი ვეცით და თამაში ბოლომდე ჩავამთავრეთ — თქვა ნამატჩევს დამარცხებულთა თავკაცმა ნათან ბაქსმენმა — არა უშავს, ყველას აქვს წარუმატებელი დღეები."

სერგო ათუაშვილი სერბულ „ვიზურას" ფინანსური პრობლემების გამო დაშორდა და საქართველოში დაბრუნდა. ყველაზე მაღალი ქართველი კალათბურთელი (223 სმ) 19 წლიდან უცხოეთში თამაშობდა და მრავალი გუნდიც გამოიცვალა. ეროვნულ სუპერლიგაში სერგო ნტდ-ში ითამაშებს...



# ყველაზე მაღალი უფულობამ დააბრუნა

— როდის ჩამოხვედით საქართველოში?

— 27 დეკემბერს ჩამოვედი, რადგან გუნდს, სადაც ვთამაშობდი, ფინანსური პრობლემები შეექმნა. ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა გაფორმებული, მაგრამ მხოლოდ ნა[illegible]ნი [illegible] ვენტი და გუნდი შეთანხმდნენ და „ვიზურა" დავტოვე.

— თვლი, რომ ევროპაში ამოწურე შენი შესაძლებლობები?

— რასაკვირველია, არა. აქ დაუგეგმავად დავბრუნდი. ევროპიდან მაქვს გარკვეული შემოთავაზებები და დაბრუნებას ვაპირებ.

— უცხოეთში ადრეულად წახვედი...

— 19 წლიდან ვთამაშობ ევროპაში. თავიდან ერთი წელი ფრანგულ „შალონში" ვიყავი და ეს პერიოდი ყველაზე კარგად მახსენდება.

— საქართველოს ჩემპიონობაც მოასწარი.

— ბათუმის „ბასკოში" ვთამაშობდი 1998-99 წლებში და ჩემპიონებიც გავხდით. სხვა ქართულ გუნდში აქამდე არ მითამაშია.

— ნტდ რატომ აირჩიე?

— ნტდ-ში ყველას ვიცნობ. „ბასკოში" ნუგზარ კანდელაკი იყო ჩვენი მწვრთნელი და მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. აქ მოსვლა თავისთავად მოხდა. ვარჯიში დავიწყე და ნტდ-ში თამაშს ვაპირებ. მინდა ჩემპიონები გავ[illegible]ოთ.

— როგორ მიგიღეს თანაგუნდელებმა?

— ბიჭებთან პრობლემები ნამდვილად არ შემქმნია, შესანიშავად მიმიღეს. საკმაოდ თავისუფლად ვარ და არც ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ვგრძნობ.

— სხვა ქართული გუნდებიდან თუ გქონდა რაიმე შემოთავაზება?

— შსს-სგანაც იყო რაღაც წინადადება, მაგრამ ფინანსებთან დაკავშირებით პრობლემა შეიქმნა. ფაქტია, რომ ახლა ნტდ-ში ვარ.

— თუ ევროპაში დაბრუნება მოგიხდა, ნტდ მიტოვება არ გაგიჭირდება?

— უცხოეთში წასვლაზე კი ვფიქრობ, მაგრამ როგორი კონტრაქტიც უნდა შემომთავაზონ, ოთხი თვე ნტდ-სთან ერთად ვიქნები, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**ანა მახარაშვილი**

# ესპანელები შენგელიაზე: ეს არის დებიუტანტი?

**საქართველოს** ნაკრების 17 წლის ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ ესპანურ „ვალენსიაში" პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. თორნიკე აქამდე მეორე გუნდში თამაშობდა, ახლა კი მთავარ გუნდში მოხვდა.



შემონდ უილიამსი და თორნიკე შენგელია

ქართველმა კალათბურთელმა ევროთასზე იტალიური „ფორტიტუდოსთან" ითამაშა და დებიუტანტის კვალობაზე კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

8 წუთში 2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და ჯამში 4 ქულას 2 მოხსნას და 1 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი.

ესპანური გაზეთების ინფორმაციით, შენგელიას დებიუტანტობისა არაფერი ეტყობოდა.

„ვალენსიამ" მატჩი 80:74 მოიგო და ევროთასის პირველი ჯგუფური ეტაპი ცხრილის თავში დაასრულა 6 მატჩიდან 6 მოიგო.

აქვე ვთქვათ, რომ კარგად ითამაშა გუნდის ლიდერმა შემონდ უილიამსმა, რომელსაც ქართული პასპორტი აქვს და სამი წლის წინ საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. შემონდის ანგარიშზე 11 ქულა და 4 პასია.

ვალენსიელთა მეტოქეები მომდევნო ეტაპზე უკრაინის „აზოვმაში", სერბეთის „ცრვენა ზვეზდა" და აგრეთვე სერბული „ჰემოფარმი" იქნებიან.

**ნიკა ძოწაძე**

# ზაზა ძირითადს გაუშინაურდა

**ზაზა ფაჩულიამ** გრიპი მოირჩინა და „ატლანტას" დაუბრუნდა, თანაც ძირითად ხუთეულში. თუმცა, ეს მისი ყისმათიანი თამაშით ნაკლებადაა განპირობებული. ჯორჯიელებს ქართველის კონკურენტი ელ ჰორფორდი დაემტვრათ. არა, ზაზა ურიგოდ არ გარჯილა გასულ კვირაში, მაგრამ მისთვის ნაბოძები დროის უკეთ გამოყენებაც რომ შეეძლო, ესეც ფაქტია.

„ფილადელფიასთან" 94:109 წაგებულ მატჩში ჩვენებურის მონაგარი 31 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი იყო.

მომდევნო მატჩში ზაზა ორმაგი დუბლით გამოირჩა, მაგრამ მისი გუნდი წაგებას მაინც ვერ ასცდა — 102:107 დევკაც შაკილ ონილის „სანზთან". ზაზამ კი 32 წუთში 16 ქულა და 11 მოხსნა გამოადნო.

ნავსი სტუმრად „კლიპერსთან" გატყდა. ჯორჯიელებმა 97:80 მოიგეს. ქართველ ცენტრს წინა შეხვედრასთან შედარებით ნაკლები დრო, 21 წუთი გამოუყვეს და ამ პერიოდში 3 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება გაჩარხა. უხვქულიანი გამოდგა „გოლდენ სტეიტთან" მატჩი, რომელიც ფაჩულიამ 30 წუთში 14 ქულით, 8 მოხსნით და 2 დაფარებით ჩაამთავრა. „ატლანტამ" 114:119 წააგო.

ევროჩელენჯზე იყოჩაღეს მანუჩარ მარკოიშვილის და ტაირონ ელისის გუნდებმა. „ბკ კიევმა" საკუთარ მოედანზე გერმანული „სკაილაინერზი" გამოიჭირა და 78:46 მოუგო. მარკოიშვილი ორივე გუნდიდან გამორჩეული იყო — 23 წუთში 17 ქულა, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა. მისმა გუნდმა H ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მომდევნო ეტაპზეც გავიდა.

ასევე მეორე ადგილი გაშანსა A ჯგუფში ესპანურმა „კახასოლმა". ტაირონ ელისის გუნდმა ლატვიურ „ვენტსპილსს" 98:51 მოუგო. ელისმა 10 წუთში 7 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა გააკეთა.

თავი შეირცხვინა „ტარტუ როკმა". როკელები ბელგიურ „ოსტენდესთან" გასვლაზე 82:92 დამარცხდნენ და G ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ.

გიორგი ცინცაძემ 32 წუთში 20 ქულა, 6 პასი და 3 მოხსნა დააგროვა. ვიქტორ სანიკიძის ანგარიშზე 10 წუთში 10 ქულა და 2 მოხსნაა.

17 წლის ნიკა მეტრეველი კი ევროლიგაში გამოჩნდა. „მონტეპასკიმ" ფრანგული „ნანსი" 103:79 დაჩაგრა. ქართველმა 4 წუთში 1 მოხსნა გააკეთა. აქვე ვთქვათ, რომ მეტრეველს დებიუტის გარდა სხვა სასიხარულო ამბავიც ჰქონდა — ახლახანს ევროლიგის დუბლების საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

მანუჩარ მარკოიშვილმა კი ევროთასისგან განსხვავებით შინაურ ჩემპიონატში მოისუსტა. „ბკ კიევმა" სტუმრად „აზოვმაშს" ოდენ ერთი ქულით, 61:60 მოუგო. მანუჩარი 2 ქულას, 4 მოხსნა, 3 პასს და 1 ჩაჭრას გამორჩა. კიეველებს 15 ტურის შემდეგ 13 მოგება აქვთ.

**ნიკა ძოწაძე**

ჭადრაკი

# ნონა წაგებით დაბრუნდა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს ქალ და ვაჟ მოჭადრაკეებს შორის. ყველაზე დიდ ინტერესს ნონა გაფრინდაშვილის თამაში იწვევს.

გაფრინდაშვილი ეროვნულ ჩემპიონატს 19 წლის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა და პირველ პარტიაში თეთრებით ნინო ხურციძესთან წააგო. დანარჩენ შეხვედრებში გამორჩეული არაფერი მომხდარა.

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| სალომე მელია | 1:0 | ქეთი წიწალაშვილი |
| ნაზი პაიკიძე | 1:0 | მარიამ დანელია |
| მერი არაბიძე | 1:0 | მირანდა მიქაძე |
| მაია ლომინეიშვილი | 1:0 | სოფიკო ხუხაშვილი |
| ნონა გაფრინდაშვილი | 0:1 | ნინო ხურციძე |
| სოფო გურამიშვილი | 0,5:0,5 | სოფო გვეტაძე |

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| ლევან ფანცულაია | 1:0 | გაიოზ ნიგალიძე |
| მიხეილ მჭედლიშვილი | 0,5:0,5 | დავით არუთინიანი |
| კოკა მაღალაშვილი | 0,5:0,5 | მერაბ გაგუნაშვილი |
| დავით ჭარხალაშვილი | 0:1 | გიორგი ბაღათუროვი |
| ლევან ბრეგაძე | 0,5:0,5 | თორნიკე სანიკიძე |
| დავით ბენიძე | 0,5:0,5 | შოთა აზალაძე |

ხელბურთი

# ქართველები სერბეთს ერთად ჩააკითხავენ

**რატი მსხვილიძე** სერბეთში 20 იანვარს ჩავა და „მეტალოპლასტიკასთან" მოლაპარაკებას დაიწყებს. საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი სერბეთში 15-16 იანვარს უნდა ჩასულიყო, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა. წესით, რატის ჩასვლის შემდეგ ყველაფერი კონტრაქტით უნდა დამთავრდეს და ვნახოთ.

„მეტალოპლასტიკას" მეორე ქართველი ირაკლი ჩიქოვანი კი გუნდთან ერთად საფრანგეთში იმყოფებოდა შეკრებაზე. სერბები უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში და სამეორეწრეოდ იქ ემზადებიან.

მათი ვებგვერდი კი წერს, რომ კლუბმა ქართველი ლეგიონერი ერთი კვირით გაანთავისუფლა. ჩიქოვანი და მსხვილიძე „მეტალოპლასტიკას" ერთად ჩააკითხავენ.

ძიუდო

# მსოფლიოს ისრაელი გამოაკლდა

**ძიუდოისტთა** მსოფლიოს თასზე ჩამომსვლელთა რაოდენობა ერთით შემცირდა — საქართველოს ძიუდოს ფედერაციას ისრაელის ფედერაციამ განაცხადის გაუქმების თხოვნით მიმართა.

ებრაელებს თბილისში ჩამოსაყვან ძიუდოისტთა სიაც კი გამოგზავნილი ჰქონდათ და ამ სიაში ნაკრების ლიდერები — გალ იეკუტიელი და არიელ ზეევიც ჰყავდათ შეყვანილი, მაგრამ ჩანს, სულ ტყუილად...

24-25 იანვარს სპორტის სასახლის ტატამზე 15 ქვეყნის ძიუდოისტები გავლენ. 28 ქართველის გარდა, კიმონოს იაპონელები, ფრანგები, ინგლისელები, ბერძნები, თურქები, რუსები, აზერბაიჯანელები, ბელარუსები, მოლდოველები, კანადელები, ხორვატები, შვეიცარიელები, ბელგიელები და სომხები მოირგებენ.

# ფერარიდან ფიფამდე
## წითელი იღბლიანი ფერია



12 იანვარს ციურიხის ოპერაში გასული წლის საუკეთესო ქალ-ვაჟი ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, საუკეთესოს გამოვლენის ფიფასეულ წესს კი დიეგო მარადონამ სულელური უწოდა. „რა სისულელეა — თქვა არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა — მე პირველ ადგილზე მესის დაწერა მინდოდა, მაგრამ რონალდუ ჩავწრე, რადგან ნაკრების მწვრთნელებს თავისი ფეხბურთელისთვის პირველობის მინიჭება ფიფა უკრძალავს. ჩემთვის მსოფლიოში საუკეთესო მესია."

### 2008 წლის საუკეთესო კაცი ფეხბურთელი

| | | |
|---|---|---|
| 1. **კრიშტიანუ რონალდუ**, პორტუგალია | მანჩესტერი | 935 ქულა |
| 2. **ლიონელ მესი**, არგენტინა | ბარსელონა | 678 |
| 3. **ფერნანდო ტორესი**, ესპანეთი | ლივერპული | 203 |
| 4. **კაკა**, ბრაზილია | მილანი | 183 |
| 5. **ხავი ერნანდესი**, ესპანეთი | ბარსელონა | 155 |

### 2008 წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი

| | | |
|---|---|---|
| 1. **მარტა**, ბრაზილია | უმეა, შვედეთი | 1002 |
| 2. **ბირგიტ პრინცი**, გერმანია | ფრანკფურტი, გერმანია | 328 |
| 3. **კრიშტიანე**, ბრაზილია | კორინთიანსი, ბრაზილია | 275 |
| 4. **ნადინე ანგერერი**, გერმანია | ტურბინე, გერმანია | 198 |
| 5. **კელი სმიტი**, ინგლისი | არსენალი, ინგლისი | 150 |

### ფეირ პლეის პრიზი
თურქეთის და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციები

### ფიფას სპეციალური პრიზი
აშშ-ის ქალთა ნაკრები

### პრიზი პროგრესისთვის
პალესტინის ფეხბურთის ფედერაცია

**ექტორ რაულ კუპერის არჩევანი: ხავი, სტივენ ჯერარდი, ლიონელ მესი**
**კახა კალაძის არჩევანი: კრიშტიანუ რონალდუ, კაკა, ლიონელ მესი**

კრიშტიანუ რონალდუსთვის წითელი ფერი იღბლიანი გამოდგა.

„წითელი ეშმაკების" მაისურით პრემიერლიგა (ორჯერ), ლიგის თასი, ასოციაციის თასი, ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო. 2007-08-ის სეზონის ყველა ტურნირში 42 გოლი შეაგდო და „ოქროს ბუციც" დაისაკუთრა.

30 ნოემბერს „სიტისთან" წითელი ბარათი მიიღო და 2 დეკემბერს „ფრანს ფუტბოლმა" „ოქროს ბურთის" მფლობელად გამოაცხადა.

8 იანვარს მანჩესტერის აეროპორტთან გვირაბში 400 ათას დოლარიანი წითელი „ფერარი" დაამტვრია და 12-ში ფიფამ მსოფლიოს საუკეთესოდ აღიარა.

კრიშტიანუ რონალდუ პრემიერლიგის და „მანჩესტერის" პირველი ფეხბურთელია, რომელსაც ეს ტიტული ერგო. მანამდე დევიდ ბექემი ფიფას სამეულში ორჯერ (1999 და 2001) მეორე იყო და თვითონ რონალდუ მესამე — 2007-ში.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის „რეალში" გადასვლის ამბავი კი სერიალივით გაიწელა და ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ თუ ესპანურ წყაროებს დავუჯერებთ, „მანჩესტერის" ნახევარმცველის გადასვლა გარდაუვალია.

Sky Sports-ის ესპანელმა ექსპერტმა გილემ ბალაგემ თქვა, რომ პორტუგალიელ ფეხბურთელსა და მადრიდულ კლუბს შორის საიდუმლო გარიგება შედგა, ოღონდ ექსპერტს არ დაუზუსტებია გარიგების ფორმა — რონალდუმ დედა დაიფიცა თუ რაიმე ქაღალდზეც მოაწერა ხელი.

„რეალის" პრეზიდენტ რამონ კალდერონს ცალკე ყულაბაში 105 მილიონი ევრო ჰქონია დაკეცილი მანჩესტერელის საყიდლად.

გარდა ამისა, კალდერონი ფეხბურთელს კვირაში 220 ათას ევრო ჯამაგირს ჰპირდება.

ამასობაში რონალდუს პორტუგალიაში სავაჭრო ნიშანი CR9 დაურეგისტრირებია, რასაც უმალ კუდები გამოება. მომავალ სეზონში „რეალში" 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებსო.

სანამ რეალ-რონალდუს ფილმსერიალი გრძელდება, კომპანია „ნაიკმა" რამდენიმეწუთიანი ფილმი გააკეთა, რომელშიც ქომაგები რონალდუს მოყვარულებად და მოძულეებად არიან დაყოფილი. ფილმში ფანები ყვებიან თუ რატომ უყვართ ან ეჯავრებათ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

ამასთან დაკავშირებით Goal.com-მა საკუთარ ვებ-გვერდზე ჩაატარა გამოკითხვა ქვეყნების მიხედვით და გაარკვია, სად როგორი რეიტინგი აქვს „მანჩეტერის" ნახევარმცველს. აქვე ვთქვათ, რომ იტალიელთაგან 6 პროცენტი რონალდუსადმი გრძნობებში ვერ გარკვეულა და არ იცის, უყვარს თუ სძულს.

| | უყვარს | სძულს |
|---|---|---|
| გერმანია | 47% | 53% |
| ესპანეთი | 38 | 62 |
| ჰოლანდია | 76 | 24 |
| საბერძნეთი | 67 | 33 |
| თურქეთი | 52 | 48 |
| სამხრეთ კორეა | 64 | 36 |
| აშშ | 65 | 35 |
| საფრანგეთი | 51 | 49 |
| იტალია | 52 | 42 |

**2007**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **კაკა** (ბრაზილია)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **მარტა** (ბრაზილია)
ფიფას სპეციალური პრიზი: **პელე** (ბრაზილია)
ფეირ პლეის პრიზი: **ბარსელონა**

**2006**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ფაბიო კანავარო** (იტალია)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **მარტა** (ბრაზილია)
ფიფას სპეციალური პრიზი: **ჯაჩინტო ფაკეტი** (იტალია)
ფეირ პლეის პრიზი: **ბრაზილია, ესპანეთი**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**2005**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რონალდინიო** (ბრაზილია)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **ბირგიტ პრინცი** (გერმანია)
ფიფას სპეციალური პრიზი: **ანდერს ფრისკი** (შვედეთი)
ფეირ პლეის პრიზი: **U-17 მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი** (პერუ)
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**2004**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რონალდინიო** (ბრაზილია)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **ბირგიტ პრინცი** (გერმანია)
ფიფას სპეციალური პრიზი: **ჰაიტის ფეხბურთის ფედერაცია**
ფეირ პლეის პრიზი: **ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**2003**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ზინედინ ზიდანი** (საფრანგეთი)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **ბირგიტ პრინცი** (გერმანია)
ფიფას სპეციალური პრიზი: **ერაყის ფეხბურთის ფედერაცია**
ფეირ პლეის პრიზი: **სელტიკის ფანები**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**2002**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რონალდო** (ბრაზილია)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **მია ჰემი** (აშშ)
ფიფას სპეციალური პრიზი: **პარმინდერ ნაგრა** (ინგლისი)
ფეირ პლეის პრიზი: **იაპონიის და კორეის ფეხბურთის ფედერაციები**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**2001**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ლუიშ ფიგუ** (პორტუგალია)
საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: **მია ჰემი** (აშშ)
ფიფას სპეციალური პრიზი: **მარვინ ლი** (ტრინიდადი)
საუკეთესო გუნდი: **ჰონდურასი**

**2000**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ზინედინ ზიდანი** (საფრანგეთი)
ფეირ პლეის პრიზი: **ლუკას რადებე** (ს. აფრიკა)
წლის საუკეთესო გუნდი: **ჰოლანდია**

**1999**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რივალდო** (ბრაზილია)
ფეირ პლეის პრიზი: **ახალი ზელანდიის ფეხბურთის ფედერაცია**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**1998**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ზინედინ ზიდანი** (საფრანგეთი)
ფეირ პლეის პრიზი: **ირანის, აშშ-ის და ჩრდ. ირლანდიის ფედერაციები**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**1997**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რონალდო** (ბრაზილია)
ფეირ პლეის პრიზი: **ირლანდიელი ფანები**
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**1996**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რონალდო** (ბრაზილია)
ფეირ პლეის პრიზი: **ჟორჟ ვეა** (ლიბერია)
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**1995**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ჟორჟ ვეა** (ლიბერია)
ფეირ პლეის პრიზი: **ჟაკ გლასმანი** (საფრანგეთი)
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**1994**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რომარიო** (ბრაზილია)
წლის საუკეთესო გუნდი: **ბრაზილია**

**1993**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **რობერტო ბაჯო** (იტალია)
ფეირ პლეის პრიზი: **ნანდორ ჰიდეკუტი** (უნგრეთი)
წლის საუკეთესო გუნდი: **გერმანია**

**1992**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **მარკო ვან ბასტენი** (ჰოლანდია)
ფეირ პლეის პრიზი: **ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია**

**1991**
საუკეთესო კაცი ფეხბურთელი: **ლოთარ მათეუსი** (გერმანია)
ფეირ პლეის პრიზი: **ჟორჟინიო** (ბრაზილია), **ესპანეთის ფედერაცია**

# კვირის დღეებად დაყოფილი 100 მილიონის საარაკო ამბავი

## ერთხელაც დადასტურდა: რისი ყიდვაც ფულით არ შეიძლება, დიდი ფულით შეიძლება!



ჭკვიანი კაცი იყო დონ ვიტო კორლეონე, ისეთი რამეების შეთავაზება იცოდა, უარს ვერ ეუბნებოდნენ...
რამდენად ჭკვიანური და გათვლილი ნაბიჯია ფეხბურთელში 100 მილიონი გირვანქის (ზოგი ცნობით, 120 მილიონის) გადახდა, ვერაფერს მოგახსენებთ და ამბების ქრონოლოგიურ ჩამოთვლას დავჯერდებით. ამბავი კი ეხება „მილანის" ბრაზილიელი ნახევარმცველის რიკარდუ კაკას „მანჩესტერ სიტიში" გადასვლას, რაც პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რაკი „მილანის" მეპატრონე სილვიო ბერლუსკონიმ უარი ვერ უთხრა „სიტის" მეპატრონე შეიხ მანსურს საარაკო საფასურზე...

### ორშაბათი

ინგლისური ტაბლოიდი „დეილი ექსპრესის" ცნობით, „მანჩესტერ სიტი" „მილანთან" მოლაპარაკების წამოწყებას აპირებს კაკას ტრანსფერის თაობაზე. გამოცემისავე ინფორმაციით, თუკი გარიგება შედგება, „სიტი" თანახმაა, ბრაზილიელს ხელფასი „მილანში" ჩაამთავრებინოს.

### სამშაბათი

არაბი შეიხების ზღაპრული ფულით ზურგმომაგრებულმა „მანჩესტერ სიტიმ" საარაკო წინადადებით მიმართა „მილანს": 100 მილიონი გირვანქა კაკას სანაცვლოდ. ეს ინფორმაცია პირველმა ინგლისურმა „დეილი მირორმა" გაავრცელა და რა შეხსენება უნდა, რომ ამდენი ფული მსოფლიოში ჯერ არც ერთი ფეხბურთელის სანაცვლოდ არ შეუძლევიათ. საარაკოა „სიტის" შეთავაზებული ხელფასიც: 500 ათასი გირვანქა კვირაში. ისიც ითქვა, რომ „სიტის" წარმომადგენლები ოთხშაბათს აპირებდნენ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისთან შეხვედრას და მოლაპარაკებას. ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ისიც გაიხსენეს, როგორ თქვა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რამდენიმე თვის წინ, ინგლისურ პრემიერლიგაში სიამოვნებით ვითამაშებდიო. ის კომენტარი მაშინვე „სიტის" ამ შეთავაზებას დაუკავშირეს.

### ოთხშაბათი (დილა)

„მილანის" მეპატრონემ და იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ კაკას შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: „მანჩესტერ სიტის" დაინტერესების შესახებ ამ წუთამდე არაფერი ვიცი. თუმცა, შემოთავაზება რომც მივიღოთ, ვფიქრობ, კაკას არ გავყიდით. მინდა, რომ ის „მილანში" დარჩეს.

როგორც ხედავთ, ბერლუსკონიმ ტრანსფერის თაობაზე პრაქტიკულად არაფერი თქვა. თუმც იმის მტკიცება, რომ მან მართლაც არაფერი იცის, გულუბრყვილობა იქნებოდა.

### ოთხშაბათი (დღე)

იმავე დღეს კაკას წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კლუბებს შორის შეხვედრა სამშაბათს მილანში მართლაც გაიმართა და რომ შეთავაზებული თანხა მართლაც 100 მილიონი გირვანქაა. თავად ფეხბურთელი შეხვედრას არ დასწრებია და როგორც დიეგუ კოჩუმ თქვა, არც აპირებს. კაკა ჯერ კლუბების შეთანხმებას ელოდება და პირადი კონტრაქტის პირობებზე მხოლოდ ამის მერე ილაპარაკებს. ამასთანავე, კაკას ფინანსურის გარდა სხვა მოთხოვნებიც აქვს. კერძოდ „სიტიმ" უნდა დაუმტკიცოს, რომ უახლოეს მომავალში ევროპული მასშტაბით კონკურენტუნარიანი გუნდი ეყოლება და პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

### ოთხშაბათი (საღამო)

ის, რაც დიეგუ კოჩუმ დღისით თქვა, კაკამ საღამოს უარყო. ფეხბურთელის კომენტარი „ჩენელ 4"-მა გამოაქვეყნა. „მილანში" დარჩენა კარიერის დასრულებამდე მსურს — თქვა კაკამ — ამის გამო უკვე არაერთ საინტერესო წინადადებაზე ვთქვი უარი. მინდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს „მილანის" კაპიტანი გავხდე. ცხადია, იერარქია არსებობს. ახლა ჩვენი კაპიტანი პაოლო მალდინია. მერე მასიმო ამბროზინი მოდის. მერე კი ვინ იცის, ეგებ სამკლავური ჩემთანაც მოვიდეს".

თუმც კაკას ამ კომენტარში არც უარყოფილია და არც დადასტურებულია „სიტის" შეთავაზების რეალურობა.

### ხუთშაბათი

„მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ მარკ ბოუენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კლუბის მეპატრონეები ძალიან ახლოს არიან კონტრაქტზე ხელს მოწერასთან და კაკას დაუფლებასთან. „ამ ფეხბურთელზე ჩვენ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ" — დასძინა ბოუენმა BBC-სთან ინტერვიუში.

### პარასკევი

„მილანის" საკლუბო ტელევიზიით გადაიცა ინფორმაცია, რომ „მილანმა" კაკას უფლება მისცა „სიტის" პირად კონტრაქტზე დალაპარაკებოდა. ეს ფაქტობრივად, კლუბებს შორის შეთანხმების მიღწევას ნიშნავს. კაკას აგენტმა დიოგუ კოჩუმ კი თქვა, რომ მოლაპარაკებისას „სიტიმ" ტრანსფერის ღირებულება 120 მილიონ გირვანქამდე გაზარდა, თუმცა საბოლოო შეთანხმებამდე მხარეები ჯერ არ მისულან. უახლოეს დღეებში კი მანჩესტერში ფეხბურთელის მამა, ბოსკო ლეიტე ჩავა და შვილის ინტერესებს დაიცავს.

### შაბათი

„მილანის" გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა, დაახლოებით 70-მა კაცმა, კლუბის ოფისის წინ საპროტესტო აქცია მოაწყო და კაკას მილანში დარჩენა მოითხოვა. სილვიო ბერლუსკონის ამ აქციის, ალბათ, არ შეეშინდა, მაგრამ განცხადება მაინც გააკეთა. იტალიის პრემიერმა თქვა, „სიტიმ" ისეთი მაცდური წინადადებით მოგვმართა, ძალიან ძნელი იყო, უარის თქმაო.

## 50 ფეხბურთელი, რომლებსაც სიტის შეიხებმა თვალი დაადგეს

კაკა, მილანი
კოლო ტურე, არსენალი
ჯონ ტერი, ჩელსი
როკე სანტა კრუზი, ბლექბერნი
ჯანლუიჯი ბუფონი, იუვენტუსი
მიქაელ კერნერი, ჰალი
ტიაგო ნევესი, ჰამბურგი
ადრიან მუტუ, ფიორენტინა
ესტებან კამბიასო, ინტერი
ეშლი კოული, ჩელსი
რიკარდო ოლივეირა, სარაგოსა
რონალდო, ფლამენგო
ვაგნერ ლავი, ცსკა
ტაიე ტაივო, მარსელი
კარლოს ტევესი, მანჩესტერი
ფერნანდო ტორესი, ლივერპული
სტეფან უორნოკი, ბლექბერნი
ლუიშ ფაბიანო, სევილია
სერხიო აგუერო, ატლეტიკო
ტორსტენ ფრინგსი, ვერდერი
ქარიმ ბენზემა, ლიონი
სტივენ ფლეტჩერი, ჰიბერნიანი
კარლო კუდიჩინი, ჩელსი
კრეიგ ბელამი, ვესტ ჰემი
კოლინ კაზიმ-რიჩარდსი, ფენერბაჩე
დიეგო ბენალიო, ვოლფსბურგი
ლუკაშ პოდოლსკი, ბაიერნი
სესკ ფაბრეგასი, არსენალი
კრიშტიანუ რონალდუ, მანჩესტერი
რუუდ ვან ნისტელროი, რეალი
მიკაელ ესიენი, ჩელსი
სტივენ ჯერარდი, ლივერპული
ტიერი ანრი, ბარსელონა
ანტონიო კასანო, სამპდორია
სკოტ პარკერი, ვესტ ჰემი
ანდრეი არშავინი, ზენიტი
ლიონელ მესი, ბარსელონა
ხაბი ალონსო, ლივერპული
სტეპან მბია, რენი
სტივენ მანდანდა, მარსელი
კაილ ნაიგტონი, შეფილდი
დავიდ ვილია, ვალენსია
კლარენს ზეედორფი, მილანი
აქსელ ვიტსელი, სტანდარდი
ამრ ზაქი, უიგანი
ემილ ჰესკი, უიგანი
მარიო გომესი, შტუტგარტი
მანუელ ნეუერი, შალკე
რონალდინიო, მილანი
იკერ კასილიასი, რეალი

**გაამერიკელებული იურგენ კლინსმანი სამშობლოში ნელინდნახევარის წინ დაბრუნდა და „ბაიერნის" ფეხბურთელებს ამერიკული, ანტიკომფორტული საჩუქარი ჩამოუტანა. მიუნხენური კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში კლინსმანი ტაქტიკაზე, პოდოლსკიზე, ჩამოქვეითებულ კაპიტანზე და სხვა საკლუბო ამბებზე საუბრობს...**





იურგენ კლინსმანი მიუნხენში ცოლმა, დებმ ჩაიყვანა

# აბა, გამობრძანდით კომფორტული ზონიდან!

## ცოლმა თქვა ჰო და, ოჯახი გადასახლდა

**— ერთი წლის წინ გადაწყდა, რომ „ბაიერნს" ჩაიბარებდით. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში კლინსმანის ცხოვრებაში?**

— 10-წლიანი განშორების შემდეგ ოჯახით ამერიკიდან სამშობლოში დავბრუნდი. ეს ნაბიჯი „ბაიერნის" სერიოზულმა წინადადებამ გადამადგმევინა. ევროპის ერთ-ერთ უდიდეს კლუბში მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია.

**— ბევრისთვის სიურპრიზი იყო „ბაიერნში" იურგენ კლინსმანის დანიშვნა. თქვენთვისაც?**

— კი, რადგან ძალიან გამიკვირდა, როცა ული ჰოენესმა და კარლ-ჰაინც რუმენიგემ შობის წინ დამირეკეს და მუშაობა შემომთავაზეს. ნამდვილად არ ველოდი. საკითხი ხუთ წუთში მოგვარდა, რადგან ჩემმა ცოლმა თქვა: ჰო. ფეხბურთელობისას ორი სეზონი გავატარე მიუნხენში და ჩემი ბიჭიც ამ ქალაქში დაიბადა.

**— „ბაიერნის" მწვრთნელი 1 ივლისს გახდით, მაგრამ საქმისთვის მზადება იანვრიდან დაიწყეთ...**

— კონტრაქტი ივლისიდან ამოქმედდა, თუმც ნახევარი წელი უქმად არ გამიტარებია. როგორც კი გავიგე, რომ კლუბის ბაზაზე ერთ-ერთ შენობას აცარიელებდნენ, უმალ ახალი მოსამზადებელი ცენტრის აშენების იდეა გამიჩნდა და იანვრიდანვე შევუდექი საქმეს.

**— ეს ცოტა რთული ხომ არ იყო, რადგან იქ მაშინ ჰიცფელდი უფროსობდა...**

— ყველანაირად ვერიდებოდი ინტერვიუებს, რომ ჰიცფელდისთვის ხელი არ შემეშალა. ამაზე თავიდანვე შევთანხმდით. ვცდილობდი, ჩრდილში ვყოფილიყავი და მხოლოდ დირექტორატის წევრებს ვხვდებოდი მოსალაპარაკებლად.

**— გაიმართა თუ არა ისეთი შეხვედრა, სადაც ჰიცფელდმა საქმე გადმოგაბარათ?**

— კი, ეს მარტში თუ აპრილში მოხდა. ერთად ვივახშმეთ და ვისაუბრეთ. ძალიან საინტერესო იყო მისეული ხედვა და ანალიზი.

**— ახალ სამუშაოზე პირველ დღეს ძალიან ღელავდით?**

— ვღელავდი, მაგრამ მეამაყებოდა. არ მინერვიულია, უბრალოდ მთელი ექვსი თვე ხომ ამას ველოდი. თავიდან დღეები უსასრულო მეჩვენებოდა, სანამ კალაპოტში ჩავდგებოდი.

**— გუნდის გასაკეთებლად დრო დაგჭირდებოდათ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ხომ ფეხბურთელთა უმეტესობა გვიან დაბრუნდებოდა...**

— ჩანდა, რომ პრობლემებს ვერ ავცდებოდი. არამარტო რეჟიმი, სამუშაო ვითარებაც მთლიანად შევცვალეთ. თავიდან გუნდს მართლა გაუჭირდა, მეც თითოეული მოთამაშე საქმეში უნდა შემესწავლა და ამას სამი-ოთხი თვე დასჭირდა.

**— ჩემპიონატის საწყის ტურებში შემადგენლობა და ტაქტიკა შეცვალეთ. ესეც გეგმის ნაწილი იყო?**

— სულ მცირე, ორი სათამაშო სქემა აუცილებელია. 3-5-2-მა მთლიანობაში კარგად იმუშავა, განსაკუთრებით ბუქარესტში „სტიაუასთან". ამ ვარიანტის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება.

ფეხბურთელებიც ტაქტიკის შეცვლას ალლოს ადვილად უნდა ულებდნენ. ამერიკული ტერმინით, მე მათ კომფორტული ზონიდან გამოსვლა ვაიძულე, რაც ნერვიულობას იწვევს, მაგრამ ესეც გათვალისწინებული მქონდა.

ცვლილება და ექსპერიმენტი სწორი გადაწყვეტილების მიგნების ერთ-ერთი გზაა. თუ არაფერს შეცვლი, პროგრესიც არ იქნება.

**— სეზონის დასაწყისში ცუდმა შედეგებმა ძალიან განერვიულათ?**

— არა, მაგრამ გარშემო რაღაც დაძაბულობისმაგვარი იგრძნობოდა. „ბაიერნის" ყოველი წაფორხილება ხომ ძალიან ყვირის, თან გულშემატკივარს სულაც არ ადარდებს, რომ მწვრთნელი ახალი იდეებით მოვიდა. მათ გამარჯვება სურთ. ამიტომ, როცა ექსპერიმენტებს ატარებ, ეკლებზე ზიხარ, მაგრამ ეს უნდა გადალახო.

**— ფეხბურთელებმა ცვლილებები როგორ მიიღეს?**

— მთავარია, გაიგეს, რომ ყველაფერი მათ სასიკეთოდ კეთდება. ჩვენ ფეხბურთელებისგან ბევრს ვითხოვთ, მაგრამ ისინი საუცხოო პირობებში არიან. „ბაიერნის" მოსამზადებელი ცენტრის მსგავსი მსოფლიოში არ მოიძებნება.

**— თქვენ სავარჯიშო მეთოდებსაც მედია მეტისმეტად სკეპტიკურად ხომ არ შეხვდა?**

— ბევრი ლაპარაკი იყო ჩემეულ მეთოდებზე, რადგან ზუსტად არავინ იცოდა, რას ვაპირებდი. ნაკრებში სხვანაირად ვმუშაობდი და კლუბში სულ სხვანაირად ვმუშაობ. ხალხი ამბობდა, რომ „ბაიერნშიც" იგივეს გავაკეთებდი, მაგრამ ცდებოდნენ. რაღაც მომენტში თავის გამართლება შევწყვიტე. ვიფიქრე, მალე თვითონ ნახავენ ვინცაა იურგენ კლინსმანი-მეთქი.

**— მარკ ვან ბომელს კაპიტნობა ანდეთ, მერე კი სათადარიგოთა სკამზე დასვით, რამაც მედიაში რიაირია გამოიწვია...**

— ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას მედიის აზრი არ უნდა გაღელვებდეს. საკუთარ თავს ვკითხე: რის მიღწევას ვცდილობ? ვან ბომელს კაპიტნის სამკლავური ვანდე და სწორადაც მოვიქეცი, რადგან მისი მჯეროდა, ლიდერის თვისებები აქვს და ურთიერთობაში გადასარევი ადამიანია, მაგრამ თამაშის ხარისხს ხომ აქვს მნიშვნელობა? ალბათ, სამკლავურმა ცოტა აწყინა და როცა შევამჩნიე, რომ კარგად ველარ თამაშობდა, სკამზე დავსვი. ამით ყველას მივანიშნე, რომ თვით კაპიტანსაც კი არ აქვს გარანტირებული ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

ვიცოდი, რომ სათადარიგოებში მისი დატოვება ხმაურს გამოიწვევდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ვან ბომელი სწორად გამიგებდა. ასეც მოხდა — ვარჯიშებზე თავს აღარ ზოგავდა და უკეთესადაც ათამაშდა.

**— შვაინშტაიგერის და ლამის პროგრესით კმაყოფილი ხართ?**

— შვაინშტაიგერს ვუთხარი, რომ საჭიროა სტაბილურობა და არა უცბად ალზევებდა და მერე ვარდნა. ამ მხრივ ცოტა გამოსწორდა, ლამი კი ფანტასტიკურია — საუკეთესო მარცხენა მცველია ევროპაში. კარგი იქნება, თუ კლუბი მათ შეინარჩუნებს. ისინი ხომ „ბაიერნის" სკოლის აღზრდილები არიან.

**— და ლუკაშ პოდოლსკი?**

— ძალინ მწყინს, როცა ამ ნიჭიერი ბიჭის ტანჯვას ვუყურებ. ის ერთ ადგილზე გაჩერდა, რადგან კონკურენციას ვერ უძლებს. ვერ ყოჩაღობს ისეთ ვითარებაში, როცა მასზე ძლიერ ორ ფორვარდთან (კლოზე და ტონი) ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა სჭირდება. ვიფიქრე, რომ გაბრაზდება და გოლს-გოლზე გაიტანს, როცა შანსი მიეცემა-მეთქი, მაგრამ... უკეთესი იქნება, თუ გუნდს გამოიცვლის.

**— ასეთ რეჟიმში მომუშავეს, დასასვენებლად დრო გრჩებათ?**

— „ბაიერნში" თამაშისას აქაური ბუნება და ტბები ვერ ვნახე, რადგან მატჩიდან მატჩამდე საამისოდ ვერ ვიცლიდი, ახლა კი, ბოლო ექვს თვეში, უფრო მეტის ნახვა მოვასწარი, ვიდრე ფეხბურთელობისას ორ წელიწადში.

# იბიშევიჩის მუხლი ექვსთვიანია



ვედად იბიშევიჩი სამკურნალოა,
ივიცა ოლიჩი კი ჩხუბობს

**ბუნდესლიგის** ბომბარდირი ვედად იბიშევიჩი (18 გოლი 17 მატჩში) „ჰოფენჰაიმს" ექვსი თვით გამოაკლდა.

ბოსნიელი ფორვარდი „ჰამბურგთან" ამხანაგურ მატჩში დაშავდა — ჯვარედინა მყესები გაუწყდა და ნახევარი წელი მკურნალობა მოუწევს.

გუნდი ახლა იბიშევიჩის შემცვლელს ეძებს და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ახალ ფორვარდს იყიდის, რისთვისაც 25 მილიონი ევრო აქვთ გადადებული.

„ჰამბურგთან" მატჩი კი, რომელიც ესპანურ ლა მანგაში გაიმართა და „ჰოფენჰაიმის" წაგებით (0:2) დასრულდა, მთლად ამხანაგური ვერ გამოვიდა.

ჰამბურგელმა ივიცა ოლიჩმა ბოლო წუთზე კარლოს ედუარდოსთან იჩხუბა და ორივე გააძევს.

„ფეხში ორჯერ უკნიდან ჩამარტყა, მერე კი სახეში იდაყვი რომ მკრა, ველარ მოვითმინე" —თქვა ხორვატმა, რომელსაც გაბრაზება, ალბათ, ძვირი დაუჯდება.



# ტრაგედია ბრაზილიაში

**ბრაზილიის** მესამე დივიზიონის „ბრაზილ დე-პელოტაშის" ავტობუსი ხრამში გადაიჩეხა და სამი კაცის სიცოცხლე შეიწირა.

გუნდმა ამხანაგურ მატჩში „სანტა კრუზს" მოუგო და შინ ბრუნდებოდა. მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ავტობუსი 50 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. 34 წლის ურუგვაელი ფორვარდი კლაუდიო მილარი, მცველი რეჟისი და მეკარეების მწვრთნელი ჯოვანი ადგილზე გარდაიცვალნენ. მილარი გუნდის მათავარმეგოლე იყო და 200 მატჩში 100-ზე მეტი ჰქონდა გატანილი.

# სიკვდილი ღაზაში

**ისრაელის** ავიაციისგან ღაზას სექტორის დაბომბვის შედეგად სამი პალესტინელი ფეხბურთელი დაიღუპა.

შადი სბახე, ოლიმპიური ნაკრების წევრი ვაიეჰ მოშტაჰე და ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი აიმან ალ-ქურდი სამი შვილით ბომბებმა იმსხვერპლეს. ისლამისტური ჯიჰადის დაჯგუფებამ განაცხადა, რომ ვაიეჰ მოშტაჰე მეომარი იყო და მათ რაზმში ისრაელის წინააღმდეგ იბრძოდა.

# გუტის კუნთი თვიანია

**„რეალის"** ნახევარმცველმა გუტიმ ერთი ტრავმა მოიშორა და მეორე მიიღო. ბარძაყის კუნთდაჭიმულ ფეხბურთელს ამ სეზონში ბევრი დრო გაუცდა — მხოლოდ 12 მატჩი ითამაშა. ახლა კი, „ოსასუნასთან" შეხვედრისთვის მზადებისას, მარცხენა ფეხზე წვივის კუნთი გაუწყდა და ერთი თვე კვლავ მკურნალობა მოუწევს.

სათადარიგო მეკარემ ირჟი დუდეკმაც ვარჯიში ნაადრევად დაასრულა — ფეხი ასტკივდა და ორი-სამი კვირით გუტის შეუამხანაგდა.

# გაზის მოსვლამდე ამით გათბითო



**ევროპაში** გაზის კრიზისია და ყინავს, თუმცა სიცივე აბა, რას დააკლებს ნაღდ ფანს. აი, „ჰანოვერის" გულშემატკივარმა ამ გაგანია ზამთარში ჩაიხადა და უკანალი უჩვენა „ოსნაბრიუკის" ფეხბურთელებს. მისმა სათაყვანებელმა გუნდმა ის ამხანაგური თამაში 3:0 მოიგო და წარმოიდგინეთ, ჰანოვერელთა მწვრთნელმაც კი აღიარა, ის შარვალჩახდილი კაცი მაგრად დაგვეხმარაო: „ჩვენ ის შევნიშნეთ. აბა, როგორ გინდა, ყურადღება არ მიგექცია. სხვა გულშემატკივრებიც კარგად გაამხიარულა და უფრო გულიანად გვქომაგობდნენ."

იგივეს კი ვერ ვიტყვით პოლიციაზე, რომელიც ამ ფანს სოლიდურად დაჯარიმებას უპირებს.

**კოტე ძიძილია**

## კვირის ქრონიკა

### რუნიმ გაიტანა და გაიტანეს

**„უიგანთან“** გადადებულ მატჩში ერთადერთი გოლის ავტორი უეინ რუნი, სავარაუდოდ, სამი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს. ამის თაობაზე „მანჩესტერის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ნამატჩევ პრესკონფერენციაზე განაცხადა. რუნიმ „უიგანს“ პირველივე წუთზე გაუტანა და მალევე შეცვლა ითხოვა. მის მაგიერ თამაშში კარლოს ტევესი ჩაება. როგორც ამბობენ, სამკვირიანი უქმობა მინიმუმია, რაც ფეხბურთელს შეიძლება გაუცდეს.

### იტალიამ რისკი შეაფასა

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ სტადიონებზე არეულობის თავიდან ასაცილებლად მაღალი რისკის მატჩებზე სპეციალური წესები შემოიღო. ასე მაგალითად, 24 იანვარს „იუვენტუსი“ — „ფიორენტინას“ მატჩზე კაცზე ერთ ბილეთზე მეტი არ გაიყიდება. „რომას“ ქომაგებს „ნაპოლისთან“ გასვლით მატჩზე არ დაუშვებენ. სტუმართა ფანებს არ დაუშვებენ „ფიორენტინა“ — „ნაპოლის“ და „მილანი“ — „ჯენოას“ ორ კვირის მერე გასამართ მატჩებზეც.

### ბრანდაუს არდადეგები დაუმთავრდა

**დონეცკის** „შახტარის“ ფორვარდმა ბრანდაუმ 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა „მარსელთან“, რის შემდეგაც ის ჟურნალისტებს წარუდგინეს. ბრაზილელმა, რომელიც იქამდე სამშობლოში იყო არდადეგებზე, გასულ უქმეებზე „ლე ავრთან“ არ ითამაშა, დებიუტი კი, სავარაუდოდ, ამ კვირაში ექნება.

„მარსელში“ გადავიდა სილვენ ვილტორდიც, ვინაც „რენის“ საკუთრებაა და საპორტო ქალაქში 6-თვიანი იჯარით მივიდა.

### აბა, მიიღეთ ვიაგრა

**ბრაზილიურ** მედიაში ინფორმაცია გავრცელდა, „პალმეირასი“ და „გრემიო“ ლიბერტადორესის თასზე მატჩების წინ ფეხბურთელებს ვიაგრას გადააყლაპებენო.

მამაკაცური უძლურების საწინააღმდეგო ეს პრეპარატი დოპინგად არ ითვლება, თუმც ორგანიზმის გამძლეობას ამაღლებს. „გრემიოს“ მწვრთნელმა ალარკო ანდრესმა ამას წინათ ინტერვიუში ახსენა ვიაგრა და მედიამაც ამაღ აიტაცა ეს თემა.

თუმცა კლუბის ფიზიოთერაპევტმა განაცხადა, ჟურნალისტებმა მწვრთნელის ნათქვამი სწორედ ვერ გაიგეს, აზრადაც არ მოგვსვლია, ჩვენი ფეხბურთელები საექსპერიმენტო მასალად გამოვიყენოთ.

### მომავლის იდაყვი

**რონალდინიო** იტალიის თასზე სამ მატჩს გამოტოვებს. 16 დეკემბერს „ლაციოსთან“ შეხვედრის დამატებულ დროში ბრაზილიელმა მეტოქე დავიდ როზენალს იდაყვი ჰკრა, რაც მსაჯმა ვერ შეამჩნია, მაგრამ ტელეკამერას არ გამოჰპარვია.

„ლაციომ“ კარლო ანჩელოტის გუნდი მერვედფინალიდან გააგდო, რაც ნიშნავს, რომ ბრაზილიელს დისკვალიფიკაცია მომავალ სეზონში გადაუვა და „მილანს“ სამ სათასო მატჩში ვერ დაეხმარება. ხოლო თუ „მილანი“ პირველივე ეტაპიდან გავარდება, სასჯელი ისევ მომდენო სეზონში გადაინაცვლებს.

### მივიდა და დაიმტვრა

**„მიონხენგლადბახის“** ახალწვეულმა დაინცემ თეძო იტკინა და ბუნდესლიგის განახლებამდე დარჩენილ ამხანაგურ მატჩებში ვერ ითამაშებს. წინა კვირაში მან „გრასჰოპერთან“ და „შახტართან“ მატჩები გამოტოვა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი მცველი „გლადბახში“ ლიეჟის „სტანდარდიდან“ დეკემბერში მივიდა.

### კინეარის დამალული 8 მილიონი

**„ნიუკასლის“** მწვრთნელმა ჯონ კინეარმა გაამხილა, 8 მილიონი გირვანქა გვაქვს გადადებული ორი ფეხბურთელის შესაძენადო, თუმცა კონკრეტული გვარები არ დაასახელა. მიუხედავად ამისა, ბრიტანულმა მეგაზეთეებმა გამოჩხრიკეს, რომ ლაპარაკია ფრანგული „რენის“ და კამერუნის ნაკრების ნახევარმცველ, 22 წლის სტეფან მბიაზე და „ტულუზის“ 24 წლის მცველ ალბინე ებინდოზე.

### ლიონის გასახდელში არეულობაა

**„ლიონის“** თავდამსხმელმა სიდნეი გოვუმ გაამხილა, კლუბში ვითარება დაძაბულია და ბოლო დროს ბლომად ქულები რომ დავკარგეთ, ამის ბრალიაო. „კარგ ატმოსფეროს ნაძალადევად ვერ შექმნი — ის ან არის, ან არ არის. გუნდში ბევრი ახალი მოთამაშე მოვიდა და ძველებური ურთიერთობა აღარ გვაქვს“ — უთხრა ფეხბურთელმა „ფრანს ფუტბოლს“. თავად გოვუ კი აქილევსის მყესის ტრავმის გამო სეზონს ალბათ ვერ ჩაამთავრებს.

# სტატისტიკამ ყველაფერი იცის

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ასოციაციამ 2008 წლის ამბები დაითვალა, მიუმატა, გამოაკლო, გაამრავლა, გაყო და საუკეთესოები გამოიყვანა...



მეგოლეების სიის ჩამოწერა იოლია — ვინ რამდენი გაიტანა წინა სეზონის განმავლობაში. აქ არ ხდება სუსტი და ძლიერი ჩემპიონატების გარჩევა და ამის მიხედვით კოეფიციენტების მინიჭება, როგორც „ოქროს ბურთის“ მფლობელის გამოვლენისას.

ორი ან რამდენიმე ფეხბურთელის თანაბარგოლიანობის შემთხვევაში ცხრილში უფრო მაღალ საფეხურს ნაკლებ მატჩში იგივე რაოდენობის გამტანი იკავებს.

ლუკას რამონ ბარიოსი 24 წლისაა. კარიერა 2003-ში „არგენტინოს ხუნიორსში“ დაიწყო, მერე თამაშობდა „ტიგრეში“ (არგენტინა), „ტემუკოში“ (ჩილე), „ტირო ფედერალეში“ (არგენტინა), „კობრელოაში“ (ჩილე), „ატლასში“ (მექსიკა). „კოლო კოლოში“ შარშან იანვარში გადავიდა.

**ბომბარდირები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | **ლუკას ბარიოსი,** არგენტინა | კოლო კოლო, ჩილე | 37 (38) |
| 2. | **კლას იან ჰუნტელაარი,** ჰოლანდია | აიაქსი | 33 (34) |
| 3. | **მიგელ ხიმენესი,** ურუგვაი | სპორტინგი, პერუ | 32 (41) |
| 4. | **კრიშტიანუ რონალდუ,** პორტუგალია | მანჩესტერი, ინგლისი | 31 (34) |
| 5. | **დანიელ ლუდეუენია,** არგენტინა | სანტოსი, მექსიკა | 30 (36) |
| 6. | **ჯანკარლო მალდონადო,** ვენესუელა | ატლანტე, მექსიკა | 28 (31) |
| 7. | **ალექსანდრ დურიჩი,** სინგაპური | არმედი | 28 (33) |
| 8. | **ალფრედო მორენო,** არგენტინა | სან ლუისი, მექსიკა | 28 (39) |
| 9. | **ხერმან დენისი,** არგენტინა | ინდეპენდიენტე | 27 (36) |
| 10. | **დანიელ გუისა,** ესპანეთი | მალიორკა | 27 (37) |

ქვეყნების ჩემპიონატების სიძლიერეს ასოციაცია 1991 წლიდან აფასებს და ამა თუ იმ ლიგის კლუბთა საშინაო-საერთაშორისო ტურნირებში მიღწეულ შედეგებზეა დაფუძნებული.

**უძლიერესი ლიგები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ინგლისი | 1192 ქულა |
| 2. | იტალია | 1031 |
| 3. | არგენტინა | 1020 |
| 4. | ესპანეთი | 952 |
| 5. | ბრაზილია | 942 |
| 6. | გერმანია | 922 |
| 7. | საფრანგეთი | 847 |
| 8. | მექსიკა | 683 |
| 9. | პორტუგალია | 649 |
| 10. | უკრაინა | 620 |

სტატისტიკის ფედერაციამ მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებელი მესამედ გამოავლინა. გამოიკითხეს ასამდე ფეხბურთმცოდნე ექსპერტი მთელ მსოფლიოში, რომლებიც ოთხ-ოთხ მოთამაშეს ასახელებდნენ. პირველ ადგილს 4 ქულას ანიჭებდნენ, მეორეს სამს, მესამეს ორს და მეოთხეს ერთს. სადაური ექსპერტები იყვნენ, უცნობია, მაგრამ იმდენი მოახერხეს, რომ არშავინმა ლამპარდს გადაასწრო.

2006-ში პირველი ზინედინ ზიდანი იყო, 2007 წელს კი კაკა.

**გამთამაშებლები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | **ხავი ერნანდესი,** ესპანეთი | ბარსელონა | 113 ქულა |
| 2. | **კრიშტიანუ რონალდუ,** პორტუგალია | მანჩესტერი | 94 |
| 3. | **ლიონელ მესი,** არგენტინა | ბარსელონა | 83 |
| 4. | **სტივენ ჯერარდი,** ინგლისი | ლივერპული | 69 |
| 5. | **კაკა,** ბრაზილია | მილანი | 54 |
| 6. | **ფრანსესკ ფაბრეგასი,** ესპანეთი | არსენალი | 50 |
| 7. | **ხუან რიკელმე,** არგენტინა | ბოკა ხუნიორსი | 39 |
| 8. | **ფრანკ რიბერი,** საფრანგეთი | ბაიერნი | 33 |
| 9. | **ანდრეი არშავინი,** რუსეთი | ზენიტი | 28 |
| 10. | **ფრენკ ლამპარდი,** ინგლისი | ჩელსი | 27 |

სტატისტიკოსებმა მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს და მსაჯს იმავე წესით მიაგნეს, რომელიც გამთამაშებლის გამოვლენისას გამოიყენეს.

მსაჯებში პირველია 41 წლის იტალიელი არბიტრი რობერტო როზეტი, რომელიც სტვენის ხელობას 1983 წლიდან მისდევს და ფიფას კატეგორია 2002-ში მიიღო.

ტურინში დაბადებულმა როზეტიმ იტალიურის გარდა საუცხოოდ იცის ფრანგული და ინგლისური.

**მსაჯები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | რობერტო როზეტი (იტალია) | 204 |
| 2. | ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი) | 126 |
| 3. | ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია) | 61 |
| 4. | მასიმო ბუსაკა (შვეიცარია) | 60 |
| 5. | ჰერბერტ ფანდელი (გერმანია) | 47 |
| 6. | პეტერ ფროიდფელტდი (შვედეთი) | 42 |
| 7. | მეხუტო გონსალესი (ესპანეთი) | 27 |
| 8. | ჰოვარდ უები (ინგლისი) | 26 |
| 9. | ექტორ ბალდასი (არგენტინა) | 24 |
| 10. | მარკუს მერკი (გერმანია) | 21 |

მსოფლიოს საუკეთესო კლუბების სია 2008 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე მონაგარის მიხედვითაა შედგენილი, ფრჩხილებში კი ნოემბერის ჩათვლით დაკავებული ადგილია მითითებული.

**კლუბები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (2) | მანჩესტერი (ინგლისი) | 292 ქულა |
| 2. | (4) | ბაიერნი (გერმანია) | 272 |
| 3. | (2) | ლივერპული (ინგლისი) | 267 |
| 4. | (1) | ბარსელონა (ესპანეთი) | 266 |
| 5. | (5) | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 262 |
| 6. | (6) | ჩელსი (ინგლისი) | 253 |
| 7. | (9) | რომა (იტალია) | 240 |
| 8. | (10) | ესტუდიანტესი (არგენტინა) | 230 |
| 9. | (11) | ფიორენტინა (იტალია) | 230 |
| 10. | (12) | სან პაულუ (ბრაზილია) | 223 |



**მეკარეები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | იკერ კასილიასი, ესპანეთი | რეალი | 249 ქულა |
| 2. | ჯანლუიჯი ბუფონი, იტალია | იუვენტუსი | 170 |
| 3. | ედვინ ვან დერ სარი, ჰოლანდია | მანჩესტერი | 143 |
| 4. | პეტრ ჩეხი, ჩეხეთი | ჩელსი | 108 |
| 5. | იგორ აკინფეევი, რუსეთი | ცსკა | 23 |
| 6. | ხოსე სევალოსი, ეკვადორი | კიტო | 21 |
| 7. | ჟულიო სეზარი, ბრაზილია | ინტერი | 18 |
| 8. | ხოსე რეინა, ესპანეთი | ლივერპული | 15 |
| 9. | იენს ლემანი, გერმანია | შტუტგარტი | 13 |
| 10. | ხუსტო ვილარი, პარაგვაი | ვალიადოლიდი | 12 |

# ბენიტესმა ქაღალდი დახია

**რაფაელ ბენიტესმა** „ლივერპულთან“ ხელშეკრულების გახანგრძლივება იუარა. ესპანელი მეტ უფლებებს, აღმასრულებელი დირექტორისგან დამოუკიდებლობას, კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის და საფეხბურთო აკადემიის გაკონტროლებას ითხოვდა. სასურველი ვერ მიიღო და ქაღალდს ხელი არ მოაწერა.

მისი კონტრაქტის ვადა მომავალი სეზონის ბოლოს იწურება.

ბენიტესი „ლივერპულში“ 2004 წლიდანაა. მის ხელში გუნდმა ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და ინგლისის ასოციაციის თასი მოიგო. კლუბის მეპატრონეები კი ირწმუნებიან, მოლაპარაკებას მაინც მოვახერხებთო.

# რონალდო მარტამდე გადაიდო



**რონალდოს** დებიუტი „კორინთიანსში“ მარტამდე არ შედგება. ოდინდელი სუპერვარსკვლავი, რომელიც, მოგეხსენებათ, ტრავმებითაა გაწამებული, ფიზიკური ფორმის აღდგენას ვერა და ვერ ახერხებს.

„მონდომებით ვვარჯიშობ და ზედმეტ წონასაც ვიგდებ — თქვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა — თუმცა ჯერჯერობით მიჭირს იმის განსაზღვრა, თუ როდის შევძლებ მოედანზე გასვლას. ზუსტად ის ვიცი, რომ იანვარში ვერ ვითამაშებ. ალბათ, ვერც თებერვალში. სათამაშოდ მხოლოდ მაშინ გავალ, როცა ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები“.

შეგახსენებთ, რომ რონალდომ „კორინთიანსთან“ კონტრაქტი შარშან დეკემბერში გააფორმა.

ცოტცალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული [illegible]

კოდი   წყვილი   შედეგი   კოეფ-ტი   სისტ

— ეს ფერგიუსონი დახვეწილი თაღლითი გამოდგა, ტო! სიბერეში ნახე, რა ტექნიკურად ტეხავს თამაშებს?

— რას ტეხავს, ძმაო, „ბოლტონს“ აძინ ნოლ ხო ასიამოვნა?

— მერე ეგ რა პონტია, ტო! „მანჩესტერი“ რო ხარ, ბოლტონ-მოლტონებს შოტით არ უნდა მოუგო?

— ზნაჩიტ შენ მეტი გეწერა?

— აბა, ნოლნახევარ და ნაკლებს ხო არ დავწერდი, ტო

მსოფლიოს ლუჩში ფუტბალისტი რო გყავს გუნდში, ბერბატოვებით და ტევესებით რო გატენეს იქურობა და ამდენი მაყუთები გადაიხადეს, აძინ ნოლები ძაან მაგრა ტეხავს.

— პროსტაამც, მეტი რა პონტში დაწერე, ერთი ახსენი, რა, ძმაო. კაი, აძინ ი ტრი ჰქონდა ორიანზე, სახლში ტაქსით მოტანილი. მეტობა საიდან მოთხარე...

— ყველაზე კაი აძინ ი ტრის... აბა, რეებს ბაზრობ, ტო! ფუტბოლს შავი სათვალეებით უყურებ? ვერ მოწვი, რა იჩალიჩა ფერგიუსონმა?

„ჩელსისთან“ ნაკლები უნდა დამჯდარიყო და ტრი ნოლ მოუგო, სადაც მეტი უნდა დაესვა ნაკლები დასვა. ჯერ „უიგანთან“, ეხლა კიდე „ბოლტონთან“.

— შენ აწვები, რომ ეგ ორივე ნაკლები ნაყომარებია?

— ეეე... გადააგდე ეგ სათვალეები და გოლების წუთები ნახე, რა ტო! და მამენტ მიხვდები რო ორივეგან ნაჩალიჩარია.

— წუთები რა პონტია, ძმაო. „ჩელსისაც“, „უიგანსაც“ და „ბოლტონსაც“, მამენტ, ცვეტში არ გადაურბინა?

— „უიგანს“ პირველ წუთზე რო გაუტანა, ტო, მერე რა ქნა „მანჩეტერმა“, არ გახსოვს?

— და რა უნდა ექნა, ძმაო?

— სასტავი იმენა გაჩერდა, ტო! მასტებმა კარში აღარ დაარტყეს, იცი რატო?

იმიტო რო, „ჩელსის“ ტრი ნოლის მერე ეგ თამაშიც მეტში დაიგრუზა. რუნიმ რო შეაგდო პირველ წუთზე, ფერგიუსონს დაურეკეს, ტო და უთხრეს, რო დაატორმუზეო. დიდ მაყუთებს აგებდა „უილიამ პილი“ მანდ რო მეტი გოლი გასულიყო, გაიგე?

— ზნაჩიტ, შენ ამბობ, ძმაო, რო „მანჩესტერს“ მეტი გოლი ზაკაზად არ გააქვს?

— იასნია. აგე ეხლაც „ბოლტონს“ ბურთი თავზე გადააფხრიწეს, ათით ნოლი უნდა მოეგო, მარა იმენა ბოლო წუთზე შეაგდეს, რო მეტი გოლისთვის დრო აღარ დარჩენილიყო. ეგრეა, ტო, შენ კიდე მეუბნები აძინ ი ტრიო...

— მაგრა არაზბორებ, ძმაო და დღეს „ლივერპულ“-„ევერტონზე“ რას ფიქრობ? უეჭველი ერთიანი არ იკვეთება? ბენიტესმა ფერგიუსონს არ უნდა გადაასწროს?

— გრუზია.

— რა გრუზია?

— ეგ აპასნი თამაშია, ტო. აძინ იქსში დაიგრუზება, იმიტო რო „ლივერპული“ შოტით ნიჩიაზეც ასწრებს „მანჩესტერს“. მე დღეს იმენა მაგარი ორიანი ვარ.

**ჭუში ძოწმარია**

ჩემი მოგებული ბილეთი:

001 (ამხ.მატჩი) კოტბუსი — ომონია   გაიტანს ორივე   (10:1)

მომდევნო ამფსონებსი შეიტყობთ,

,თუ რომელ ფეხბურთელებს

აუკრძალა ფერგიუსონმა

გოლის გატანა

114140 *



ვლასტიმილ პეტრჟელკა

# მანიაკები

**55 წლის** ჩეხმა, „სლავიას“, „სპარტას“ და „ზენიტის“ ყოფილმა მწვრთნელმა ვლასტიმილ პეტრჟელამ კაზინომანიისგან მკურნალობის ოთხთვიანი კურსი დაასრულა, გასუქდა და ფსიქიატრიულიდან ამ თვის დასაწყისში გამოუშვეს.

„წლების განმავლობაში წაგებულ თანხას ვითვლიდი და რომ დავიანგარიშე, ნახევარი მილიარდი კრონი (18 მილიონი ევრო) გამოვიდა.

კლინიკაში მისვლამდე ბოლო თვე საშინელი იყო. რულეტკის მეტი არაფერი მაინტერესებდა. აღარ ვიცოდი რა მექნა და ექიმს მივაკითხე. ახლა უკეთ ვარ და ვიმედოვნებ, რომ საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი — თქვა გასუქებულმა ჩეხმა — სულ სხვა ადამიანად ვგრძნობ თავს. არ ვიცი, რამ მიშველა. მკურნალობამ თუ საკუთარ თავთან განმარტოებამ“.

ვლასტიმილ პეტრჟელა „ზენიტიდან“ 2006 წელს გაუშვეს, მერე კი ერთი სეზონი „სიგმაში“ მუშაობდა. 2007-დან ბაქოს „ნეფთჩის“ თავკაცი იყო, მაგრამ კაზინოში ძრომიალმა შარშან სექტემბერში პრაღის ფსიქიატრიული კლინიკის კართან მიიყვანა.

პეტრჟელა არც პირველია და არც ბოლო ვისაც კაზინოში შეუვლია. კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1986) ივან იარემჩუკი სათამაშო სახლს პირველად გერმანიაში ესტუმრა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გერმანულ „ბლაუ ვაისსში“ (1991-92) თამაშობდა და მაშინ გაეცნო კაზინოს.

ისე დაუმეგობრდა, რომ ახლა კიევში საწილოდ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. კაზინოში სიარულმა საკუთარი სახლი 2006 წელს 165 ათას დოლარად გააყიდინა, რომელიც ამჟამად ნახევარი მილიონი დოლარი ღირს.

იარემჩუკმა შარშანწინ დაანება თავი თამაშს, რომელმაც დაახლოებით მილიონი დოლარი წააგებინა. კაზინომანიისგან განკურნებაში მას ეკლესია და მღვდელი დაეხმარა.

ეკლესია და მღვდელი არ დასჭირვებია და ჯერაც კარგ ფორმაშია უეინ რუნი, რომელმაც შარშან ოქტომბერში კაზინოს 65 ათასი გირვანქა დაუტოვა.

ბელარუსთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მოგების შემდეგ, მინსკიდან მანჩეტერში დაბრუნებულმა რუნიმ ღამის ოთხ საათზე კაზინოში შეისეირნა და 65 ათასი გირვანქა წააგო.

შარშანვე, მაისში „მანჩესტერმა“ პრემიერლიგა რომ მოიგო, ალექს ფერგიუსონის ფეხბურთელები დაირაზმნენ და ერთად ესტუმრნენ სათამაშო სახლ „მანჩესტერ 235“-ს.

პირველი სტუმრები რუნი, კერიკი, გარი ნევილი და ვიდიჩი იყვნენ. ვიპ-ლოჟაში შეიყუჟნენ და შამპანურით გამოთვრნენ. მოქეიფეებს მოგვიანებით გიგზი, ტევესი, ფერდინანდი და ბრაუნი შეუერთდნენ. „სანი“ ამტკიცებდა, რომ მაშინ ბიჭებმა კაზინოში... 100 მილიონი გირვანქა დატოვეს.

თამაშით დაავადებული იყო „სელტიკის“ ყოფილი ფორვარდი (1980-85) ფრენკ მაკგრავი.

პირველად 8 წლისას მოუპარავს ფული მშობლებისთვის, მერე „სელტიკში“ თამაშისას მთელ ხელფასი კაზინოში მიჰქონდა, ბოლოს კი ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ცოლს საფულედან ჰპარავდა. ძაღლების და მამლების ჩხუბზე, ტარაკნების და ზღარბების „რბოლაზე“ მაზავდა.

მაკგრავიმაც პეტრჟელასავით დაასრულა — მკურნალობის კურსი გაიარა და თამაშს თავი დაანება.

„დანდი იუნაიტედის“ ყოფილმა ნახევარმცველმა გრანტ ბრაბნერმა დოლზე ერთ დღეში 100 ათასი გირვანქა გაანიავა, საკუთარ თავს დიაგნოზი დაუსვა და ნებით დაწვა კლინიკაში.

**რომან თურქია**




ფრენკ მაკგრავი



ივან იარემჩუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გახსოვს, ჟოზე?!

## გრანტმა მოურინიუს წარსული ამოუქექა

**ჟოზე მოურინიუმ** ამას წინათ თქვა, „ჩელსიში“ ჩემ შემცვლელ ავრაამ გრანტს ერთი გირვანქის საქმეც არ გაუკეთებიაო.

გრანტი შვიდი თვე წვრთნიდა გუნდს და ისტორიაში პირველად ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, სადაც პენალტებში დამარცხდა „მანჩესტერთან“.

მოურინიუს მტკიცებით, მის ხელში „ჩელსი“, უკეთეს შედეგს მიაღწევდა.

ებრაელმა მწვრთნელმა პორტუგალიელის შეტევა მოიგერია და პასუხად განაცხადა, მოურინიუსგან დაჩაჩანაკებული გუნდი ჩავიბარეო.

„ფანებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, როგორი „ჩელსი“ ჩავიბარე. წინა სეზონში, ჩემპიონი „მანჩესტერი“ გახდა და მე რომ მივედი, გუნდი მეექვსე ადგილზე იყო — თქვა გრანტმა „ნიუს ოფ ზე ვორლდთან“ — ყველა უაიმედებული დამხვდა. გასახდელშიც ყოველი მატჩის წინ დაძაბულობა იგრძნობოდა და ბიჭები ნერვიულობდნენ. ხალხი ამბობდა, რომ „ჩელსი“ მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობდა მოურინიუს ხელში და ეს ვულაფერი იმით დააგვირგვინა, რომ „რუსენბორგს“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოუგო.

იმ მატჩზე სტადიონი ნახევრად ცარიელი იყო.

მოურინიუ „მანჩესტერთან“ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე გაუშვეს. მაშინ დიდიე დროგბა, ფრენკ ლამპარდი და რიკარდუ კარვალიუ ტრავმირებულები იყვნენ და მე მწვრთნელობა ვიკისრე.

„ჩელსიში“ დირექტორის თანამდებობა მეკავა და ჩემი საქმე მქონდა. მოურინიუ თანხმა იყო, რომ მასთან მემუშავა და სამი თვე ერთად ვიყავით. ის თავის საქმეს აკეთებდა, მე ვეხმარებოდი და მგონი, საკმაოდ კარგადაც, მაგრამ როცა მის ადგილზე დამნიშნეს და შიგნიდან ვნახე რაც ხდებოდა გუნდში, მივხვდი, რომ ბევრი შრომა მომიწევდა ვითარების გასაუმჯობესებლად“.

ავრაამ გრანტს იმისიც ეეჭვება, ჟოზე მოურინიუ „ჩელსიში“ რომ დარჩენილიყო, ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებდა:

„არ მესმის, როგორ ამტკიცებს, რომ ჩემს ადგილზე თასს აუცილებლად მოიგებდა.

სამი წელი მუშაობდა გუნდში და ლიგის ფინალშიც კი ვერ გააღწია. რა უშლიდა ხელს?

რომან აბრამოვიჩმა უყიდა ყველა, ვისაც კი ხელი დაადო. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი ბიუჯეტის მქონე კლუბს თავკაცობდა, მაგრამ ორჯერ დამარცხდა ლიგის ნახევარფინალში „ლივერპულთან“, რომლის ბიუჯეტიც მაშინ „ჩელსის“ პატრონის ფულის მესამედსაც კი არ შეადგენდა.

მოურინიუს ალბათ დაავიწყდა, რომ სწორედ ჩემი მწვრთნელობით დავამარცხეთ „ლივერპული“, რომელსაც ფერნანდო ტორესი ჰყავდა და ჩემპიონთა ლიგის ფინალიც ლატარეაში წავაგეთ.

პრემიერლიგაში „მანჩესტერს“ სამი ქულით ჩამოვრჩით, მაგრამ იმ სეზონში შინ „არსენალსაც“, „ლივერპულსაც“ და „მანჩესტერსაც“ მოვუგე. მგონი, ესეც უნდა გავახსენო მოურინიუს“.

**რომან თურქია**

# ინგლისი

### პრემიერლიგა. XXII ტური

# ველბეკი მაჩვენე, გოლს გაჩვენებ

**ბლეკბერნი 3:0 ნიუკასლი**

1:0 მაკარტი (61პ), 2:0, 3:0 რობერტსი (66, 86)

გაფრთხილება: გრელა, რობერტსი (ბლეკბერნი), ედგარი, ბათი, ბათი, ბარტონი (ნიუკასლი)

გაძევება: ბათი (83)

**ბოლტონი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ბერბატოვი (90)

გაფრთხილება: მაკულულა (ბოლტონი), ოში (მანჩესტერი)

**ჩელსი 2:1 სტოკი**

0:1 დელაპი (60), 1:1 ბელეტი (88), 2:1 ლამპარდი (90)

გაფრთხილება: ფაიე, კიტსონი, ველანი (სტოკი)

**სიტი 1:0 უიგანი**

1:0 ზაბალეტა (53)

გაფრთხილება: რობინიო (სიტი), კატერმოლი, ბრამბლი, პალასიოსი, კირკლენდი (უიგანი)

გაძევება: დანი (54, სიტი)

**სანდერლენდი 1:2 ასტონ ვილა**

1:0 კოლინზი (11), 1:1 მილნერი (63), 1:2 ბარი (80პ)

გაფრთხილება: ნოსვორთი, სისე, ფალოპი, ტაინიო (სანდერლენდი), ლ. იანგი, აგბონლაჰორი (ასტონ ვილა)

გაძევება: ა. იანგი (72, ასტონ ვილა)

**ვესტ ბრომვიჩი 3:0 მიდლსბრო**

1:0 ბრანტი (4), 2:0, 3:0 კორენი (54, 67)

გაფრთხილება: შავკი, ჰათი (მიდლსბრო)

გაძევება: დიგარდი (62, მიდლბსრო)

**ჰალი 1:3 არსენალი**

0:1 ადებაიორი (30), 1:1 კუზინი (65), 1:2 ნასრი (82), 1:3 ბენდტნერი (87)

გაფრთხილება: ეშბი (ჰალი), კლიში (არსენალი)

**ვესტ ჰემი 3:1 ფულემი**

1:0 დი მიკელე (7), 1:1 კონჩესკი (22), 2:1 ნობლი (59პ), 3:1 კოული (76)

გაფრთხილება: ბეჰრამი (ვესტ ჰემი), პანსილი, დევისი, კონჩესკი (ფულემი)

**ტოტენჰემი — პორტსმუთი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. 31-ე გვერდზე, მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის)

**ლივერპული — ევერტონი**

დღეს გაიმართება

**ბოლო** წუთზე ბერბატოვის თავურმა „მანჩესტერი“, სეზონში პირველად, ცხრილის კენწეროში მოაქცია.

დაცვაში გამოკეტილი „ბოლტონის“ კართან სტუმრებმა აურაცხელი მომენტი შექმნეს და გვიანლა დაუფასდათ.

„ის იყო, დენი ველბეკით ტევესის შეცვლას ვაპირებდი და გოლიც გავიდა. ეს ახალი ტაქტიკაა — იხუმრა ალექს ფერგიუსონმა — როცა დაინახავენ, რომ მოედნის კიდესთან მათი თანაგუნდელი ხურდება, ეშინიათ, შეგვცვლიანო და უკეთესად ათამაშდებიან. ველბეკი მაღალია და ვიფიქრე, ეგებ თავით გაიტანოს-მეთქი“.

ტევესმა ბურთი თავზე დაასვა ბულგარელს, რომელმაც ორი მეტრიდან შვიდმეტრიან კარს არა ააცილა.

და „სტემფორდ ბრიჯზე“ რაღა ხდებოდა ბოლო წუთებზე? ფრენკ ლამპარდი გიჟივით გარბოდა და მაშინღა გაჩერდა, როცა თხუთმეტი კაცი ზურგზე ჩამოეკიდა და ამდენივემ ჩაიხუტა.

დიდი ზეიმით გაიმართა „ჩელსის“ სათადარიგოთ სკამთან ლამპარდის გოლის აღსანიშნავად, რომელმაც გუნდი და სკოლარი სირცხვილისგან იხსნა.

წინა ტურში „მანჩესტერთან“ დამარცხებული „ჩელსი“ „სტოკთანაც“ აგებდა დელაპის გოლით. დელაპი ორმა მცველმა მიაცილა ჩეხამდე და მასაც წამოწოლილი მეკარისთვის იღლიაში ბურთის გაძვრენა არ გასჭირვებია.

მერე ატყდა ბრახაბრუხი „სტოკის“ კართან — ურტყამდა ყველა, სკოლარის გარდა, მაგრამ მოედანზე ბელეტის გამოჩენამდე ბურთი სორენსენის კარში არ შევიდა.

სკოლარი ხომ შეცვლების გამოცნობაში ჩემპიონია — ბელეტი შეუშვა და ანგარიში გათანაბრდა. ბრაზილიელმა თავით გაიტანა.

ამას მოჰყვა შმაგი იერიშები „ჩელსისა“, ლამპარდის გოლი საჯარიმოს ხაზიდან და „სტემფორდ ბრიჯის“ ზანზარი.

„ფრენკი კაცია — ხარობდა სკოლარი — უზარმაზარი ტვირთი მომხსნა. კლუბის ისტორიის ნაწილია და მის ოჯახს კიდევ დიდხანს ემახსოვრება ეს გოლი ლამპარდის მეოთხასე მატჩში“.

ბოლოწუთური ამბები დატრიალდა სანდერლენდშიც და ჰალშიც, სადაც ზედა ხუთეულის გუნდები თამაშობდნენ.

„სანდერლენდი“ „ასტონ ვილას“ დენი კოლინზის თავურით უგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ჯეიმს მილნერმა გაათანაბრა. მერე სტუმრებს ეშლი იანგი გაუძევეს — გაჭიმული ფეხებით ეცა მეტოქეს და ვილელები ათნი დარჩნენ, თუმცა აგბონლაჰორის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გარეთ ბერიმ გამოიყენა და „ასტონ ვილას“ წაუგებელმა სერიამ 10 მატჩს უწია.

„ჰალმა“ პირველ წრეში გააოგნა პრემიერლიგა, როცა „არსენალს“ სტუმრად მოუგო, მაგრამ ამჯერად შინ დამარცხდა. ადებაიორის თავურს კუზინმა თავურითვე უპასუხა. ვენგერმა, ისევე როგორც წინა ტურში, შეცვლაზე ბენდტნერი („ბოლტონთან“ გაიტანა) შეუშვა და და თამაში მოიგო. დანიელმა ფლორვარდმა მეორე გოლისას კომბინაცია დაიწყო, მესამე კი თვითონ შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 21 | 14 | 5 | 2 | 34:10 | 47 |
| ლივერპული | 21 | 13 | 7 | 1 | 35:13 | 46 |
| ჩელსი | 22 | 13 | 6 | 3 | 42:13 | 45 |
| არსენალი | 22 | 12 | 5 | 5 | 37:24 | 41 |
| ასტონ ვილა | 21 | 12 | 5 | 4 | 36:24 | 41 |
| ევერტონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29:25 | 35 |
| უიგანი | 22 | 9 | 4 | 9 | 25:23 | 31 |
| ვესტ ჰემი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:31 | 29 |
| ჰალი | 21 | 7 | 6 | 8 | 29:41 | 27 |
| ფულემი | 20 | 6 | 8 | 6 | 19:17 | 26 |
| სიტი | 21 | 7 | 4 | 10 | 39:30 | 25 |
| ბოლტონი | 22 | 7 | 2 | 13 | 22:30 | 23 |
| ნიუკასლი | 22 | 5 | 8 | 9 | 28:37 | 23 |
| სანდერლენდი | 22 | 6 | 5 | 11 | 23:32 | 23 |
| პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:33 | 23 |
| ბლეკბერნი | 21 | 5 | 6 | 10 | 25:36 | 21 |
| მიდლსბრო | 22 | 5 | 6 | 11 | 18:33 | 21 |
| სტოკი | 22 | 5 | 6 | 11 | 19:35 | 21 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 6 | 3 | 13 | 20:37 | 21 |
| ტოტენჰემი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:26 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 14 |
| რობინიო (სიტი) | 11 |

**ჩემპიონატი. XXVIII ტური**

პრესტონი — ბარნლი 2:1; ბირმინგემი — კარდიფი 1:1; ქოვენტრი — ბლექპული 2:1; კრ. პალასი — იფსვიჩი 1:4; დერბი — ქუინზ პარკი 0:2; ნორვიჩი — ბარნსლი 4:0; ნოტინგემი — პლიმუთი 2:0; უენსდი — ჩარლტონი 4:1; საუთჰემპტონი — დონკასტერი 1:2; სუონსი — რედინგი 2:0; უოტფორდი — შეფილდი 0:2; ბრისტოლი — ვულვზი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 28 | 18 | 5 | 5 | 57:35 | 59 |
| რედინგი | 28 | 16 | 6 | 6 | 57:26 | 54 |
| ბირმინგემი | 27 | 15 | 7 | 5 | 35:24 | 52 |
| შეფილდი | 28 | 13 | 8 | 7 | 40:25 | 47 |
| პრესტონი | 28 | 14 | 5 | 9 | 41:34 | 47 |
| კარდიფი | 27 | 11 | 12 | 4 | 37:26 | 45 |
| ბარნლი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:39 | 43 |
| ქუინზ პარკი | 28 | 11 | 9 | 8 | 28:27 | 42 |
| სუონსი | 28 | 9 | 14 | 5 | 37:30 | 41 |
| კრ. პალასი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:32 | 40 |
| იფსვიჩი | 28 | 10 | 9 | 9 | 40:30 | 39 |
| უენსდი | 28 | 10 | 8 | 10 | 30:39 | 38 |
| ქოვენთრი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:33 | 37 |
| ბრისტოლი | 27 | 8 | 11 | 8 | 32:34 | 35 |
| პლიმუთი | 27 | 9 | 6 | 12 | 27:31 | 33 |
| ბარნსლი | 28 | 9 | 5 | 14 | 28:37 | 32 |
| ბლექპული | 27 | 7 | 10 | 10 | 27:35 | 31 |
| ნოტინგემი | 28 | 7 | 9 | 12 | 30:38 | 30 |
| ნორვიჩი | 28 | 8 | 5 | 15 | 36:43 | 29 |
| დერბი | 27 | 7 | 8 | 12 | 28:39 | 29 |
| უოტფორდი | 28 | 7 | 6 | 15 | 38:50 | 27 |
| დონკასტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 19:32 | 27 |
| საუთჰემპტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 24:42 | 26 |
| ჩარლტონი | 28 | 4 | 7 | 17 | 29:51 | 19 |



დიმიტარ ბერბატოვმა „მანჩესტერი“ ამ ბოლო წუთის გოლით გაალიდერა

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XIX ტური

# ეტოოს კარის მეგობარი

### ტურის მატჩი

**ბარსელონა 5:0 დეპორტივო**

1:0 მესი (21), 2:0 ანრი (27), 3:0 ეტოო (41), 4:0 ანრი (82), 5:0 ეტოო (86პ)

ბარსელონა: ვალდესი, პიკე, პუიოლი, აბიდალი, ალვეში, ტურე (ინიესტა 71), კეიტა, ხავი, ანრი, ეტოო, მესი

მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა

დეპორტივო: არანცუბია, ზე კასტრო, ლოპო, კასმირსკი, პაბლო, როდრიგესი, სერხიო, ბოდიპო (რიკი 76), ვერდუ, გუარდადო (ლაფიტა 28), კრისტიანი (ხულიანი 64)

მწვრთნელი: ???

გაძევება: არანსუბია (85)

მსაჯი: ხულიან სანტიაგო

58 000 მაყურებელი

**სევილია 1:0 ნუმანსია**

1:0 რენატო (82)

გაფრთხილება: პრიეტო, ფაბიანო, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა (სევილია), ბრიტი, დომინგო, ბორისი, დომინგო, პინო (ნუმანსია)

გაძევება: დომინგო (51)

**მალაგა 4:0 ესპანიოლი**

1:0 ადრიანი (35), 2:0 აპონო (57), 3:0 ბაა (85პ), 4:0 ლუკე (90)

გაფრთხილება: მოისესი, აკრუსი (ესპანიოლი)

**ვილიარეალი 2:0 მალიორკა**

1:0 კაპდევილა (29), 2:0 როსი (33პ)

**ხეტაფე 0:1 რასინგი**

0:1 ჟიგიჩი (25)

გაფრთხილება: ალვარესი, დიასი, სოლდადო (ხეტაფე), სეგურა, ჟიგიჩი, პინილიოსი (რასინგი)

**რეალი 2:1 ოსასუნა**

0:1 ნეკუნამი (20), 1:1 რამოსი (50), 2:1 იგუაინი (64)

გაფრთხილება: ინფაინი, რამოსი, პაინცე (რეალი), ხუანფრანი, მასუდი, პუნალი, ფლანო, ხუანფრანი (ოსასუნა)

გაძევება: ხუანფრანი (83)

**უელვა 2:0 ხიხონი**

1:0 ხორხე (ნს.კ.), 2:0 ადრიანი (54)

გაფრთხილება: ადრიანი (უელვა), ბილიჩი, კამაჩო, კარმელო, მიჩელი (ხიხონი)

**ვალიადოლიდი 1:3 ბეტისი**

0:1 ხისკო (16), 1:1 პრიეტო (22), 1:2, 1:3 გარსია (62, 90)

გაფრთხილება: რივერა, ხუანიტო, აურელიო (ბეტისი)

**ბილბაო — ვალენსია**

**ალმერია — ატლეტიკო**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. 31-ე გვერდზე, მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის)

**კარლეს პუიოლი** — ცენტრალური მცველი — 86-ე წუთზე, როცა „ბარსა" 4:0-ს იგებდა, მეკარე არანსუბიასთან პირისპირ გავიდა, რომელმაც წააქცია და პენალტი დაინიშნა.

არანსუბია გააძევეს და რაკი „დეპორს" სამივე შეცვლა გაკეთებული ჰქონდა, კარში ნახევარმცველი ხუან როდრიგესი ჩადგა.

პუიოლი ისე შევარდა „დეპორტივოს" საჯარიმოში, თითქოს „ბარსელონას" აუცილებლად ხუთბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდა.

გვარდიოლას გუნდი ფანტასტიკურად თამაშობს. უტევს ყველა და გააქვა ყველას. მალე, ალბათ, მეკარე ვალდესსაც ვნახავთ მეტოქე მეკარეებთან პირისპირ გასულს.

მესი სამ მცველს გასცდა და ბურთი ნელა შეაგორა კარის კუთხეში.

ტიერი ანრიმ თავით გაიტანა, რაც იშვიათი ამბავია, ეტოომ კი მეკარის მოგერიებულს დაამატა და მესამე შეაგდო.

საამისოდ „ბარსას" 20 წუთი დასჭირდა.

მეორე ტაიმში ანრიმ ორი მეტრიდან გაიტანა, ხოლო პუიოლის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ეტოომ გამოიყენა.

„ბარსელონას" ეს გამარჯვება სარეკორდო გამოდგა — პირველი წრის (19 ტური) შემდეგ 50 ქულა მოაგროვა. მანამდე რეკორდი „რეალის" იყო, რომელმაც წინა სეზონში 47 ქულას მოუყარა თავი 19 მატჩში, ოღონდ „რეალმა" თავის მხრივ, ფრანკ რაიკარდის „ბარსას" შედეგი გააუმჯობესა — 46 ქულა 19 ტურში 2005-06 წლების სეზონში.

„ბევრი გოლი გავიტანეთ და ბევრი ქულაც მოვაგროვეთ. ძალიან მიხარია, რომ გულშემატკივრებს ასეთი თამაში დიდ სიამოვნებას ანიჭებს — თქვა გვარდიოლამ — მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამახსოვრდებათ ეს ჩემპიონატი, თუ პრიმერას მოვიგებთ. გაჩერება არ შეიძლება. უნდა გავაგრძელოთ და შეფასების დრო მოგვიანებით იქნება".

სამუელ ეტოო: „პენალტით გატანილი გოლი იმიტომ არ ვიზეიმე, რომ კარში ჩემი მეგობარი როდრიგესი იდგა".

კარლეს პუიოლი: „პირველ ტურში „ნუმანსიასთან" მარცხის შემდეგ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ 19 ტურის მერე ასეთ შედეგი გვექნებოდა".

„სევილიამ" კი მანამდე ვერ გაუტანა „ნუმანსიას", სანამ სტუმრებს კაცი არ გაუძევეს. ნუმანსიელ დომინგოს მეორე ტაიმის დასაწყისში მეორე ყვითელი ბარათი გაუწითლდა და „სევილიამაც" კაცნაკლულ მეტოქეს უფრო გულიანად შეუტია.

სტუმრები კარგა ხანს ყოჩაღად იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოსკენ დაიღალნენ და რენატომ ათი მეტრიდან სუსტი, მაგრამ ზუსტი დარტყმით გაიტანა და „სევილიამ" „ბარსელონასთან" 12-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

გასავარდნად ფაქტობრივად განწირულმა „ოსასუნამ" კი ლამის სენსაცია გამოაცხო — „რეალს" პირველი ტაიმი მოუგო. მეორეში კი ყველაფერი დალაგდა და პამპლონელები ბოლო ადგილზე დარჩნენ. „რეალი" კი ამ გამარჯვებით „ბარსას" იოტისოდენადაც ვერ მიუახლოვდა.

**კოტე ძიძილია**



სამუელ ეტოომ როდრიგეს სგაუტანა და მოუსამძიმრა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 59:13 | 50 |
| რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 40:27 | 38 |
| სევილია | 19 | 11 | 5 | 3 | 28:16 | 38 |
| ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 36:24 | 34 |
| ვილიარეალი | 19 | 9 | 6 | 4 | 32:25 | 33 |
| მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 31:27 | 31 |
| ატლეტიკო | 18 | 9 | 3 | 6 | 41:29 | 30 |
| დეპორტივო | 19 | 9 | 3 | 7 | 23:27 | 30 |
| რასინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:23 | 25 |
| ხიხონი | 19 | 8 | 0 | 11 | 26:39 | 24 |
| ვალიადოლიდი | 19 | 7 | 2 | 10 | 27:30 | 23 |
| ბილბაო | 18 | 6 | 5 | 7 | 24:27 | 23 |
| ბეტისი | 19 | 6 | 3 | 10 | 25:26 | 21 |
| ხეტაფე | 19 | 5 | 6 | 8 | 24:30 | 21 |
| ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 19:27 | 20 |
| უელვა | 19 | 5 | 5 | 9 | 17:28 | 20 |
| ნუმანსია | 19 | 6 | 2 | 11 | 24:37 | 20 |
| ესპანიოლი | 19 | 3 | 6 | 10 | 17:32 | 15 |
| მალიორკა | 19 | 3 | 5 | 11 | 18:37 | 14 |
| ოსასუნა | 19 | 2 | 7 | 10 | 20:28 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ვილია (ვალენსია) | 14 |

### სეგუნდადივიზიონი XX ტური

**სალამანკა — მურსია 2:3; ალბასეტე — ერკულესი 0:3; კორდობა — სარაგოსა 1:0; ლევანტე — სოსიედადი 0:2; რაიო ვალეკანო — ლას პალმასი 1:1; სელტა — სევილია B 2:0; ელჩე — ხიმნასტიკი 2:0; ეიბარი — კასტელიონი 0:1; უესკა — ხერესი 1:1; ტენერიფე — ხირონა 4:1; ალიკანტე — ალავესი 0:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 20 | 9 | 7 | 4 | 35:22 | 34 |
| სარაგოსა | 20 | 9 | 6 | 5 | 33:21 | 33 |
| ტენერიფე | 20 | 10 | 3 | 7 | 36:30 | 33 |
| ერკულესი | 20 | 8 | 8 | 4 | 29:17 | 32 |
| კასტელიონი | 20 | 8 | 8 | 4 | 28:20 | 32 |
| სალამანკა | 20 | 9 | 5 | 6 | 26:21 | 32 |
| სოსიედადი | 20 | 7 | 10 | 3 | 21:15 | 31 |
| სელტა | 19 | 8 | 7 | 4 | 23:18 | 31 |
| უესკა | 20 | 7 | 8 | 5 | 28:23 | 29 |
| ლევანტე | 20 | 8 | 5 | 7 | 26:27 | 29 |
| რაიო ვალეკანო | 20 | 6 | 10 | 4 | 23:21 | 28 |
| ხირონა | 20 | 7 | 7 | 6 | 19:21 | 28 |
| ხიმნასტიკი | 20 | 6 | 9 | 5 | 31:25 | 27 |
| ლას პალმასი | 20 | 6 | 9 | 5 | 26:20 | 27 |
| ელჩე | 20 | 6 | 7 | 7 | 24:23 | 25 |
| ალბასეტე | 20 | 6 | 6 | 8 | 21:28 | 24 |
| ალავესი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:32 | 23 |
| მურსია | 19 | 6 | 4 | 9 | 20:27 | 22 |
| კორდობა | 20 | 5 | 6 | 9 | 18:26 | 21 |
| ეიბარი | 20 | 5 | 6 | 9 | 14:26 | 21 |
| ალიკანტე | 20 | 2 | 6 | 12 | 14:33 | 12 |
| სევილია B | 20 | 1 | 6 | 13 | 11:32 | 9 |



# კალდერონმა წასვლა ცრემლით დაასველა

**ცნობილი** გამყალბებელი რამონ კალდერონი გადადგა. „რეალის" პრეზიდენტის არჩევნები ზაფხულში გაიმართება, მანამდე კი კლუბს ვიცე-პრეზიდენტი ვისენტე ბოლუდა უხელმძღვანელებს.

7 დეკემბერს კლუბის გენერალური ასამბლეა შედგა, რომელსაც ბიუჯეტი უნდა დაემტკიცებინა. „მარკამ" გამოქქა, რომ ასამბლეის მონაწილეებს შორის იყო ათი კაცი, რომლებსაც ბიუჯეტის დამტკიცებისას იქ არაფერი ესაქმებოდათ და ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ. ათივე კალდერონის მიყვანილი იყო და ბიუჯეტიც მათი დახმარებით დაამტკიცეს.

14 იანვარს „მარკამ" გაყალბების ამბავი პირველ გვერდზე გამოფინა და რამონ კალდერონს დასცხა.

ინფორმაცია გაზეთს კლუბის წევრთა დეპარტამენტის შეფმა მარიანო როდრიგესმა მიაწოდა, რომელიც პრეზიდენტის ოპოზიციაში იყო. როდრიგესიც და მისი დეპარტამენტის თანამშრომელი ლუის ბარსენა კალდერონმა გაათავისუფლა და თავი იმართლა: „შეიძლება რაღაც შეცდომები იყო ასამბლეაზე, მაგრამ კანონი არ დამირღვევია".

ეს კი თქვა, მაგრამ სკანდალი ისე გაიბერა, რომ რამონ კალდერონი სავარძლიდან გადმოაგდო.

16 იანვარს „რეალის" პრეზიდენტმა თანამდებობა დატოვა და თვალცრემლიანმა განაცხადა: „დირექტორატის წევრების წინააღმდეგობის მიუხედავად, ამაყად თავაწეული მივდივარ. ლაჩარი არ ვარ და დასამალიც არაფერი მაქვს. ვიმედოვნებ, ჩემი წასვლით საქმეები უკეთესობისკენ შემობრუნდება".

რამონ კალდერონმა საპრეზიდენტო არჩევნები 2006 წლის ივლისში ხუან პალასიოსს 246 ხმით მოუგო, მისი წინასაარჩევნო დაპირება კი არიენ რობენის, ფრანსესკ ფაბრეგასის და კაკას ყიდვა იყო.

კაკას და ფაბრეგასს ვერ შესწვდა, მაგრამ რობენი, რუუდ ვან ნისტელროი, მაჰამადუ დიარა, ფაბიო კანავარო და ემერსონი იყიდა.

გასული ზაფხული „მანჩესტერთან" ჭიდაობაში გაატარა, მაგრამ რონალდუ ვერ გადაიბირა.

მწვრთნელად ფაბიო კაპელო მიიყვანა და პრიმერა მოიგო.

კაპელო სეზონის (2006-07) ბოლოს გაუშვა და ბერნდ შუსტერით შეცვალა. შუსტერითაც ჩემპიონი გახდა, მაგრამ შარშან მაისიდან კლუბში არეულობა დაიწყო:

**მაისი**

გენერალური ასამბლეის საგანგებო კრებაზე კალდრონს კლუბის წესდების შეცვლა სურდა, მაგრამ თავისი ვერ გაიტანა და ოპოზიციონერებმა თანამდებობის დატოვება მოსთხოვეს.

**ივლისი**

შუსტერი აუჯანყდა: „კლუბის სატრანსფერო ამბებს ბოლო ვიგებ. მწვრთნელი ვარ და იმისთვის, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში რაღაცას მიაღწიოს, პირველ რიგში მე უნდა მეკითხებოდნენ, ვინ ვიყიდოთ".

**აგვისტო**

რობინიო კალდერონს შეხვდა და მიახალა, რომ თუ ჯამაგირს არ მოუმატებდნენ, „ჩელსიში" გადავიდოდა. პრეზიდენტმა უთხრა, არ იყიდებიო, მაგრამ თვის ბოლოს რობინიო „სიტის" 42 მილიონ ევროდ მიჰყიდეს.

კალდერონმა დავიდ ვილიას და სანტი კასორლას შეძენა ამაოდ სცადა. ვან დერ ვაარტი კი მიიყვანა, რომელიც შუსტერს არ უთხოვია.

**სექტემბერი**

„დეპორტივოსთან" მატჩის შემდეგ შუსტერმა პრეზიდენტის გასაგონად თქვა: „ცვლილების გაკეთება მინდოდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამს რომ გადავხედე, ვერც რობინიო დავინახე და ვერც სხვა რომელიმე ფეხბურთელი, რომელიც გუნდს გააძლიერებდა".

**ოქტომბერი**

კალდერონს კლუბის თანხის გაფლანგვა დააბრალეს. ამბობდნენ, ყავასაც „რეალის" ფულით სვამს და არა საკუთარითო.

**ნოემბერი**

„რეალი" თასიდან რომელიღაც-დივიზიონის „უნიონმა" გააგდო და შუსტერის გათავისუფლების დროც მოვიდა. კალდერონი თითოეულ ფეხბურთელს ზედიზედ 5 მატჩის მოგებაში 120 ათას ევროს შეპირდა.

**დეკემბერი**

„რეალის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი მიჩელი წავიდა — პრეზიდენტს ფეხებზე ვკიდივართო.

შუსტერი მოხსნეს და ხუანდე რამოსი დანიშნეს. ლასანა დიარა და კლაას იან ჰუნტელაარი იყიდეს, რათა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისთვის შემადგენლობა გაეძლიერებინათ, მაგრამ აქაც შეცდნენ. უეფას წესდება კრძალავს ლიგის განაცხადში ორი ისეთი ფეხბურთელის შეყვანას, რომლებსაც საიმსეზონო ევროთასზე სხვა კლუბში უთამაშიათ. გაასაჩივრეს და უეფამ უარით გაისტუმრა.

**ირაკლი ნინიძე**

## კვირის ქრონიკა

### მასალბუგდუვობა

**„თაიმსმა“** 50 ამომავალი ევროპელი ვარსკვლავის ნუსხა გამოაქვეყნა, რომელში ერთი გამოგონილი ფეხბურთელიც ურევია.

ეს გახლავთ მოლდოველი მასალ ბუგდუვი ბელცკის „ოლიმპიადან“. განმარტებაში წერია, რომ ბუგდუვი 16 წლის იყო, როცა ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. პროფესიული საკლუბო კარიერის პირველივე მატჩში კი თურმე ჰეთ თრიქი შეუსრულებია.

ზოგიერთ ინტერნეტ-წყაროში ისიც წერია, რომ ამ ფეხბურთელით ბევრი ევროპული გრანდია დაინტერესებული და არსენ ვენგერი 8 მილიონ გირვანქას იხდის არარსებულ მასალ ბუგდუვში.

სიის პირველი სამეული კი ასეთია: ერნანესი „სან პაულუდან“, ქარიმ ბენზემა „ლიონიდან“ და დავიდ სილვა „ვალენსიადან“.

### ბაგაიოკოს გამოუწერეს

**„ნანტის“** ფორვარდ იბრაჰიმ ბაგაიოკოს ექვსკვირიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. „მონაკოსთან“ მატჩის (10 იანვარს) 77-ე წუთზე ფეხბურთელი მსაჯ ერიკ პოლას ეცა, რომელიც მისთვის ყვითელი ბარათის ჩვენებას აპირებდა. არბიტრს ხელი ჰკრა და პოლამ ყვითელი ბარათი უმალ წითლად აქცია.

სადისციპლინო კომიტეტის შეფმა პასკალ გარიბიანმა თქვა: „ინციდენტი განვიხილეთ, ეპიზოდი ვიდეოც ვნახეთ და გადავწყვიტეთ, რომ ბაგაიოკოს აგრესიული ქმედება თვენახევრიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს“. „ნანტის“ თავდამსხმელი 2 მარტამდე დაისვენებს.

### წავიდა, რათა დაბრუნებულიყო

**„ტორინომ“** პალერმოელი მცველი ერნან დელაფიორე დაიბრუნა. ფეხბურთელი წინა სეზონში ტურინელთა შემადგენლობაში თამაშობდა, ამ სეზონის წინ „პალერმოში“ გადავიდა, მაგრამ ახალ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა. დელაფიორემ „პალერმოს“ მაისურა სერია A-ს მატჩებში ოდენ 4-ჯერ მოირგო.

„ტორინოში“ დაბრუნებით ბედნიერი ვარ. ძალიან მინდა, გუნდს გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევაში დავეხმარო“ — თქვა ფეხბურთელმა.

### სკოლარიმ, აი, დარდიო

**ინგლისურ** პრესაში ცნობა გავრცელდა, „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსთან“ თუ დამარცხდა, ლუიშ ფელიპე სკოლარის გაუშვებენო. „ჩელსის“ ბოლოდროინდელი წაფორხილების ფონზე ამგვარი ვარაუდიი სავსებით ლოგიკურია.

თავად სკოლარიმ კი განაცხადა, გაშვების პერსპექტივა სულაც არ მანაღვლებსო: „დიდი ხანია მწვრთნელად ვმუშაობ და ამგვარ რამეებს შეჩვეული ვარ. „ჩელსიში“ მუშაობა ძალიან მომწონს, მაგრამ თუ გამიშვეს, არც ეს იქნება პრობლემა, სამსახურს როგორმე მოვძებნი“.

### მანუშომ ჰალი იშოვა

**პრემიერლიგის** დებიუტანტმა „ჰალმა“ „მანჩესტერის“ ანგოლელი ფორვარდი მანუშო სეზონის ბოლომდე ითხოვა.

მანუშომ — სრული სახელი მატეუშ ალბერტუ კონტრეირაშ გონსალვეში — კარიერა ანგოლის „ბენფიკაში“ დაიწყო, მერე ექვსი წელი „პეტრო ატლეტიკოში“ თამაშობდა და 2008-ში „მანჩესტერმა“ იყიდა.

პრემიერლიგაში ერთი მატჩი ჩაატარა და „პანათინაიკოსს“ მიაქირავეს, სადაც 7 მატჩში 4-ჯერ შეაგდო.

მანუშოს ანგოლის მაისურით 15 შეხვედრაში 6 გოლი გაუტანია.

### ჰონდურასელი ტოტნეჰემში

**„უიგანის“** მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა დაადასტურა, რომ ჰონდურასელ ნახევარმცველ უილსონ პალასიოსს „ტოტენჰემს“ 14 მილიონ გირვანქად მიჰყიდის.

ადრე „ტოტენჰემმა“ 24 წლის ჰონდურასელ ნახევარმცველში უიგანელებს 10 მილიონი გირვანქა შეაძლია, რაზეც უარი მიიღო. „შემოთავაზებული თანხა ძალიან მცირეა — თქვა „უიგანის“ პრეზიდენტმა დეივ უილანმა — ახლა „ტოტენჰემს“ ორი გზა აქვს, ან თანხა უნდა გაზარდოს, ან პალასიოსზე ოცნებას შეეშვას“. როგორც ხედავთ, „ტოტენჰემი“ პირველ გზას დაადგა.

პალასიოსი 2007 წლის აგვისტოში „არსენალში“ იყო გასინჯვაზე, საიდანაც ექვსი თვით „ბირმინგემმა“ წაიყვანა და შარშან იანვარში „უიგანმა“ იყიდა, რომლის შემადგენლობაშიც 36 მატჩი ითამაშა.

### მილანმა ომი მოიგო

**„მილანმა“** კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიური „გრემიოს“ 20 წლის მცველ ფელიპე მატიონისთან, ვინც იტალიურ კლუბში იჯარით ითამაშებს. „მილანმა“ სატრანსფერო ომში „იუვენტუსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და აიაქსი“ დაამარცხა.

ბუნებრივია, როცა ასეთ კლუბებს აქვთ ომი გაჩაღებული, გამორჩეულ ფეხბურთელთან უნდა გვქონდეს საქმე. მატიონი 20 წლისაა და ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება სამშობლოში. ის ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრია.

## იტალია

### სერია A. XIX ტური





„მილანის“ ვიპ-ლოჟაში კაკას ფანებმა ადრიანო გალიანი, ვიქტორია ბექემი, სტეფანო გაბანა და დომენიკო დოლჩე შეაწუხეს, ატალანტაში კი კრისტიანო დონიმ (№12) „ინტერი“ დააწიოკა

# გალიანის გიჟებმა მიაკითხეს

**ტურის მატჩი**

**მილანი 1:0 ფიორენტინა**

1:0 პატო (7)

მილანი: აბიატი, ფავალი, მალდინი, იანკულოვსკი, ძამბროტა, პირლო, ამბროზინი, ბექჰემი (სენდეროსი 82), პატო (რონალდინიო 78), კაკა, ზეედორფი (ფლამინი 69)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ფიორენტინა: სტორარი, კროლდრუპი, გამბერინი, ვარგასი, კომოტო, მელო, მონტოლივო, კუზმანოვიჩი (ბონაცოლი 72), ჟილარდინო, იოვეტიჩი, სანტანა (გობი 82)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: ვარგასი, კომოტო, ბექემი, იანკულოვსკი, იანკულოვსკი

გაძევება: იანკულოვსკი (90)

მსაჯი: რობერტო როზეტი

65 692 მაყურებელი

**სიენა 1:0 რეჯინა**

1:0 ფრიკი (75)

გაფრთხილება: კოდრეა (სიენა), ლანცარო, სანტოსი (რეჯინა)

**ატალანტა 3:1 ინტერი**

1:0 ფლოსკარი (18), 2:0, 3:0 დონი (28, 33), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (90)

გაფრთხილება: ბელინი, ვიერი (ატალანტა), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)

**კალიარი 2:0 უდინეზე**

1:0 კონტი (4), 2:0 ბიონდინი (19)

გაფრთხილება: კოსუ, ბიანკო, გ. ლოპესი (კალიარი), კოდა (უდინეზე)

**კატანია 1:2 ბოლონია**

0:1 დი ვაიო (49), 0:2 ადაილტონი (54), 1:2 პაოლუჩი (85)

გაფრთხილება: კარბონი (კატანია), ვალიანი (ბოლონია)

გაძევება: ისკო (37, კატანია)

**კიევო 2:1 ნაპოლი**

1:0 მარკოლინი (32პ), 1:1 ლავეცი (52), 2:1 მარკოლინი (74პ)

გაფრთხილება: ლუჩიანო, რიგონი, პინცი, მორერო, მორერო (კიევო), კონტინი, ბლაზი, რინაუდო, პ. კანავარო, ლავეცი (ნაპოლი)

გაძევება: ჰამშიკი (55, ნაპოლი), მორერო (71, კიევო)

**ლეჩე 0:2 ჯენოა**

0:1 იანკოვიჩი (68), 0:2 სკული (90)

გაფრთხილება: ძანკეტა, ფაბიანი, პოლენგი, კასეტა (ლეჩე), პაპასტათოპულოსი, იურიჩი (ჯენოა)

**სამპდორია 0:2 პალერმო**

0:1, 0:2 ბრეშიანო (45, 57)

გაფრთხილება: პალონგო, ლუკინი (სამპდორია), მილიაკო (პალერმო)

**ტორინო 0:1 რომა**

0:1 ბაპტიშტა (90)

გაფრთხილება: ბარონე, კოლომბო, ამორუზო, ბარონე (ტორინო), პიზარო, სისინიო (რომა)

გაძევება: ბარონე (90, ტორინო)

**ლაციო — იუვენტუსი**

ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. 31-ე გვერდზე, მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის)

**„მილანის“** ფანთა ჯგუფი ტაიმებს შორის „სან სიროს“ ვიპ ლოჟაში შეღწევას ლამობდა, სადაც ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ეგულებოდათ. ქომაგები კაკას გაყიდვას ვერ ეგუებიან და პასუხი გალიანისთვის უნდა მოეთხოვათ, მაგრამ აბა, გაავებულებს იქ ვინ შეუშვებდა.

ჯერ დევიდ ბექჰემმა ააწრიალა „მილანი“, მერე კაკამ და „სიტის“ მილიარდერმა შეიხმა, გოლი კი „ფიორენტინას“ ალექსანდრე პატომ გაუტანა და 19 წლის ფორვარდმა 19 მატჩში მეცხრე მიითვალა.

ბექჰემის აქტიურობისა და რიკოშეტის შემდეგ საჯარიმოში ბურთი პატოს მიუვიდა, რომელმაც შორ კუთხეში დაჰკრა და ძელ-გოლი გამოუვიდა.

მანამდე, მეოთხე წუთზე, მსაჯმა „მილანის“ კარში პენალტი დანიშნა და უმალ გადაიფიქრა.

კრისტიან აბიატი ბურთისთვის დასწრებაზე გამოვიდა და სტივენ იოვეტიჩი წააქცია. რობერტო როსეტიმ პენალტის ნიშნულზე მიუთითა და ბარათისთვის ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ საქმეში ლაინსმენი ჩაერია და აბიატი გაამართლეს.

დევიდ ბექჰემი კვლავ ძირითად შემადგენლობაში იყო და პირველი იტალიური ყვითელი ბარათიც მიიღო.

ინგლისელი ნახევარმცველი მეორე ტაიმში ფილიპ სენდეროსმა შეცვალა და სერიაში შვეიცარიელის დებიუტი შედგა.

კლარენს ზეედორფმა რამდენჯერმე დაკარგა ბურთი და უსტვინეს. ნასტვენი ჰოლანდიელის ნაცვლად ანჩელოტიმ ფლამინი შეუშვა.

„პატო უნიჭიერესია. ის უკვე სტაბილური გახდა და ბოლო სამ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა — შეაქო მწვრთნელმა ბრაზილიელი — რაც შეეხება ბექჰემს, ჯერ 90 წუთისთვის მზად არაა, მაგრამ მისი დისციპლინა მომწონს და ძალიან იშვიათად ცდება“.

ჩეზარე პრანდელი: „დასანანი გოლი გავუშვით რომელმაც ცოტა არია ჩემი გუნდი, მაგრამ მერე ბურთი კარგად გავაგორეთ და ბევრად უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე წინა ტურში „ლეჩესთან“ შინ წაგებულ მატჩში.

ორი-სამი საგოლე მომენტი ჩვენც გვქონდა და ვფიქრობ, რომ ფრეს მაინც ვიმსახურებდით.

მსაჯებმა რამდენჯერმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ არ გვიწუწუნია და ბიჭებმა მოედანი ამაყად თავაწეულებმა დატოვეს.

აბიატი-იოვეტიჩის ეპიზოდისას პენალტი, მგონი, არ იყო, მაგრამ არც ისაა სწორი, რომ მსაჯმა გადაწყვეტილება ასე იოლად შეცვალა.

ჯუზეპე ფავალიმაც წააქცია მონტოლივო და არც ამის გამო აგვიტეხია ამბავი. ქომაგები ზოგჯერ გვიბრაზდებიან, რატომ არ აპროტესტებთო, მაგრამ რაკი არ ვწიოკობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ვერ ვხედავთ“.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 19 | 13 | 4 | 2 | 33:15 | 43 |
| იუვენტუსი | 18 | 12 | 3 | 3 | 31:13 | 39 |
| მილანი | 19 | 11 | 4 | 4 | 31:20 | 37 |
| ჯენოა | 19 | 10 | 5 | 4 | 29:17 | 35 |
| ნაპოლი | 19 | 10 | 3 | 6 | 27:18 | 33 |
| ფიორენტინა | 19 | 10 | 2 | 7 | 26:17 | 32 |
| ლაციო | 18 | 9 | 3 | 6 | 29:24 | 30 |
| რომა | 19 | 9 | 3 | 7 | 26:25 | 30 |
| პალერმო | 19 | 9 | 2 | 8 | 26:23 | 29 |
| ატალანტა | 19 | 8 | 3 | 8 | 26:23 | 27 |
| კალიარი | 19 | 7 | 4 | 8 | 23:22 | 25 |
| კატანია | 19 | 7 | 4 | 8 | 19:23 | 25 |
| უდინეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 26:29 | 23 |
| სიენა | 19 | 6 | 4 | 9 | 14:20 | 22 |
| სამპდორია | 19 | 5 | 5 | 9 | 16:23 | 20 |
| ბოლონია | 19 | 4 | 7 | 8 | 22:29 | 19 |
| ლეჩე | 19 | 3 | 8 | 8 | 16:27 | 17 |
| ტორინო | 19 | 4 | 3 | 12 | 18:33 | 15 |
| კიევო | 19 | 3 | 4 | 12 | 12:29 | 13 |
| რეჯინა | 19 | 3 | 4 | 12 | 17:37 | 13 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დი ვაიო (ბოლონია) | 13 |
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 12 |
| დ. მილიტო (ჯენოა) | 12 |

**სერია B. XXI ტური**

ლივორნო — ასკოლი 1:0; ანკონა — ალბინოლეფე 1:0; ბრეშა — პიზა 4:0; ემპოლი — აველინო 1:1; მოდენა — ტრიესტინა 0:0; პარმა — სასუოლო 1:1; პიაჩენცა — ვიჩენცა 1:0; რიმინი — ჩიტადელა 1:0; სალერნიტანა — მანტოვა 2:1; ტრევიზო — ბარი 0:2; ფროზინონე — გროსეტო დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი | 21 | 11 | 7 | 3 | 23:15 | 40 |
| ლივორნო | 21 | 9 | 11 | 1 | 28:14 | 38 |
| ბრეშა | 20 | 10 | 5 | 5 | 25:19 | 35 |
| პარმა | 21 | 8 | 10 | 3 | 25:17 | 34 |
| სასუოლო | 20 | 9 | 6 | 5 | 32:21 | 33 |
| ემპოლი | 21 | 9 | 6 | 6 | 26:22 | 33 |
| ტრიესტინა | 21 | 8 | 8 | 5 | 27:21 | 32 |
| გროსეტო | 20 | 9 | 5 | 6 | 32:30 | 32 |
| ვიჩენცა | 21 | 7 | 8 | 6 | 25:14 | 29 |
| რიმინი | 21 | 8 | 5 | 8 | 26:28 | 29 |
| ანკონა | 21 | 7 | 5 | 9 | 28:26 | 26 |
| მანტოვა | 21 | 6 | 8 | 7 | 20:21 | 26 |
| პიზა | 21 | 7 | 5 | 9 | 27:32 | 26 |
| ალბინოლეფე | 21 | 5 | 9 | 7 | 17:20 | 24 |
| პიაჩენცა | 21 | 6 | 6 | 9 | 16:21 | 24 |
| ფროზინონე | 20 | 5 | 8 | 7 | 22:27 | 23 |
| სალერნიტანა | 21 | 6 | 5 | 10 | 20:29 | 23 |
| ტრევიზო | 21 | 4 | 10 | 7 | 19:25 | 22 |
| ჩიტადელა | 21 | 4 | 9 | 8 | 15:19 | 21 |
| აველინო | 21 | 4 | 9 | 8 | 20:30 | 21 |
| ასკოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 13:23 | 21 |
| მოდენა | 21 | 3 | 7 | 11 | 24:36 | 16 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXI ტური

გრენობლი — ლიონი 0:2; ლორიანი — ვალანსიენი 1:1; მარსელი — ლე ავრი 2:0; ნიცა — ოსერი 2:0; სენტ ეტიენი — ლე მანი 1:1; ტულუზი — ნანსი 3:0; ნანტი — ბორდო 1:2; კაენი — მონაკო 2:2; პსჟ — სოშო 2:1; ლილი — რენი წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 21 | 12 | 6 | 3 | 26:13 | 42 |
| ბორდო | 21 | 12 | 5 | 4 | 37:20 | 41 |
| მარსელი | 21 | 10 | 8 | 3 | 37:24 | 38 |
| რენი | 20 | 9 | 10 | 1 | 25:13 | 37 |
| ტულუზი | 21 | 10 | 7 | 4 | 23:15 | 37 |
| პსჟ | 21 | 11 | 3 | 7 | 26:22 | 36 |
| ნიცა | 20 | 9 | 6 | 5 | 25:19 | 33 |
| ლილი | 19 | 8 | 8 | 3 | 28:19 | 32 |
| ლორიანი | 21 | 7 | 7 | 7 | 27:25 | 28 |
| ნანსი | 20 | 6 | 7 | 7 | 18:20 | 25 |
| ლე მანი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:29 | 25 |
| გრენობლი | 21 | 6 | 7 | 8 | 13:20 | 25 |
| კაენი | 20 | 5 | 9 | 6 | 25:23 | 24 |
| მონაკო | 21 | 6 | 6 | 9 | 25:27 | 24 |
| ნანტი | 21 | 6 | 5 | 10 | 18:28 | 23 |
| ოსერი | 21 | 5 | 5 | 11 | 14:23 | 20 |
| სენტ ეტიენი | 21 | 6 | 2 | 13 | 16:30 | 20 |
| სოშო | 21 | 2 | 11 | 8 | 20:27 | 17 |
| ვალანსიენი | 20 | 3 | 7 | 10 | 17:26 | 16 |
| ლე ავრი | 21 | 3 | 3 | 15 | 14:37 | 12 |

### II დივიზიონი. XX ტური

აიაჩო — რეიმსი 2:1; ანჟერი — ბასტია 2:0; კლერმონი — ბრესტი 2:0; გენგამი — ბულონი 3:0; ნიმი — სედანი 2:1; ამიენი — მონპელიე 2:0; სტრასბური — დიჟონი 0:0; ტურსი — მეცი 1:4; ლანსი — ვანი 2:1; ტრუა — შატორუ 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 20 | 13 | 1 | 6 | 29:21 | 40 |
| ბულონი | 20 | 10 | 5 | 5 | 26:18 | 35 |
| სტრასბური | 19 | 9 | 7 | 3 | 29:18 | 34 |
| ანჟერი | 19 | 9 | 7 | 3 | 28:17 | 34 |
| მონპელიე | 20 | 9 | 6 | 5 | 33:18 | 33 |
| მეცი | 19 | 9 | 5 | 5 | 23:16 | 32 |
| ტური | 20 | 8 | 4 | 8 | 27:29 | 28 |
| ვანი | 20 | 8 | 4 | 8 | 15:18 | 28 |
| ტრუა | 19 | 7 | 6 | 6 | 20:19 | 27 |
| ბასტია | 20 | 7 | 5 | 8 | 21:23 | 26 |
| კლერმონი | 20 | 6 | 7 | 7 | 24:27 | 25 |
| გენგამი | 20 | 5 | 9 | 6 | 19:18 | 24 |
| ამიენი | 19 | 5 | 9 | 5 | 17:16 | 24 |
| აიაჩო | 19 | 6 | 5 | 8 | 27:32 | 23 |
| ბრესტი | 20 | 7 | 2 | 11 | 19:24 | 23 |
| დიჟონი | 19 | 5 | 7 | 7 | 20:24 | 22 |
| შატორუ | 19 | 5 | 6 | 8 | 20:24 | 21 |
| სედანი | 19 | 5 | 6 | 8 | 18:25 | 21 |
| ნიმი | 20 | 3 | 7 | 10 | 16:28 | 16 |
| რეიმსი | 19 | 2 | 6 | 11 | 19:35 | 12 |

### III ლიგა

ნიორი — როდეზი 1:0; სეტე — ლავალი 0:1; პარიზი — ბაიონი 4:1; არლე — კრუა დე სავოი 0:1; კარნო — ლიბურნი 1:3; ისტრი — კანი 1:1. ლენტენტი — კალე, ბუვე — შერბური, კრეტეი — ეური და გენიონი — ლ კანი გადაიდო

### ლიგის თასი

ნიცა — ლე ავრი 1:0; ვანი — მეცი 1:1 (4:3პ); ბორდო — შატორუ 2:1; პსჟ — ლანსი 2:0

## ამხანაგური მატჩები

ვენი — კარლ ცაისი 3:0; ფორტუნა — კარლსრუე 1:3; აარაუ — ვილი 3:1; პსვ — მაასტრიხტი 7:1; არმინია — ფიურტი 1:0; შტუტგარტი — ობერჰაუზენი 3:2; აინტრახტი — აუქსბურგი 2:3; ფრანკფურტი — პადერბორნი 2:2; გრასჰოპერი — ლას პალმასი 3:1; ლევანტე — შალკე 0:0; ბამბერგი — ბაიერნი 0:3; ჰერტა — ოსნაბრიუკი 1:0; გლადბახი — შახტარი 0:3; გენჩლერი — დენიზლი 1:1; გალათასარაი — ვერდერი 4:1; ლევერკუზენი — ბურსა 3:1

## თურქეთი

### თასი

ანთალია — გაზიანთეფი 2:0; ტრაბზონი — გაზიანთეფი BBK 1:0; ალთაი — ანკარა 2:3; გალათასარაი — მალათია 4:2; კონია — ალანია 4:0; მანისა — სივასი 0:1; ბურსა — თოქათი 6:0; ფენერბაჰჩე — ესქიშეჰირი 3:0

## ბელგია

### I დივიზიონი. XVIII ტური

ანდერლეხტი — სერკლი 1:2; ბრიუგე — მეხელენი 3:0; კორტრაიკი — რუზელარე 2:1; ლოკერენი — ზულტე-ვარეგემი 2:1; მონსი — გენტი 1:2; მუსკრონი — ტუბიცე 1:1; სტანდარდი — დენდერი 3:2; შარლერუა — ვესტერლო 1:2; ბეერსხოტი — გენკი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 18 | 12 | 2 | 4 | 44:19 | 38 |
| სტანდარდი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:19 | 37 |
| ბრიუგე | 18 | 10 | 4 | 4 | 32:23 | 34 |
| ვესტერლო | 18 | 9 | 4 | 5 | 24:21 | 31 |
| სერკლი | 18 | 10 | 1 | 7 | 31:29 | 31 |
| ლოკერენი | 18 | 7 | 9 | 2 | 24:15 | 30 |
| გენკი | 18 | 9 | 3 | 6 | 27:26 | 30 |
| მუსკრონი | 18 | 8 | 4 | 6 | 29:23 | 28 |
| გენტი | 18 | 7 | 5 | 6 | 35:25 | 26 |
| კორტრაიკი | 18 | 6 | 7 | 5 | 20:25 | 25 |
| ვარეგემი | 18 | 7 | 3 | 8 | 26:25 | 24 |
| შარლერუა | 18 | 6 | 3 | 9 | 23:28 | 21 |
| ბეერსხოტი | 18 | 4 | 6 | 8 | 22:24 | 18 |
| მეხელენი | 18 | 4 | 6 | 8 | 19:31 | 18 |
| მონსი | 18 | 3 | 6 | 9 | 20:26 | 15 |
| დენდერი | 18 | 3 | 6 | 9 | 23:36 | 15 |
| ტუბიცე | 18 | 4 | 3 | 11 | 21:37 | 15 |
| რუზელარე | 18 | 2 | 4 | 12 | 14:35 | 10 |

### II ლიგა

ბევერენი — შარლერუა 0:0; დაინცე — ოსტენდე 3:3; ეუპენი — ნამური 1:1; ბრიუსელი — ვაასლანდი 2:0; ლომელი — ლიეჟი 1:1; ლიერსი — ანტვერპენი 4:1; სტ ტრუიდენი — ჰამე 4:1; ვირტონი — ლეუვენი 2:0; ტიენენი — ტურნაი 1:1

### თასი

დენდერი — ლიერსი 2:3; მეხელენი — ანდერლეხტი 2:1; გენკი — ლოკერენი 1:0; გენტი — მუსკრონი 2:1; კორტრაიკი — ვესტერლო 3:1; რასინგი — ვარეგემი 0:0 (10:9 პ)

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXII ტური

ჰამილტონი — ინვერნესი 1:0; ჰიბერნიანი — სენტ მირენი 2:0; კილმარნოკი — ჰართსი 0:2; რეინჯერსი — ფოლკირკი 3:1; აბერდინი — სელტიკი 4:2; დანდი იუნ. — მოზერუელი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 22 | 16 | 3 | 3 | 49:24 | 51 |
| რეინჯერსი | 22 | 15 | 4 | 3 | 51:18 | 49 |
| აბერდინი | 22 | 11 | 3 | 8 | 29:24 | 36 |
| დანდი იუნ. | 22 | 9 | 8 | 5 | 30:26 | 35 |
| ჰართსი | 22 | 10 | 5 | 7 | 22:22 | 35 |
| ჰიბერნიანი | 22 | 8 | 6 | 8 | 28:28 | 30 |
| მოზერუელი | 22 | 8 | 3 | 11 | 25:31 | 27 |
| კილმარნოკი | 22 | 8 | 2 | 12 | 22:30 | 26 |
| სენტ მირენი | 22 | 7 | 4 | 11 | 16:24 | 25 |
| ჰამილტონი | 22 | 7 | 2 | 13 | 20:36 | 23 |
| ფოლკირკი | 22 | 4 | 6 | 12 | 23:34 | 18 |
| ინვერნესი | 22 | 5 | 2 | 15 | 20:38 | 17 |

### I დივიზიონი

დანდი — მორტონი 0:0; დანფერმლაინი — ერდრი 1:1; ლივინგსტონი — კლაიდი 1:1; პარტიკი — სტ ჯონსტონი 0:0; როსი — ქუინი 1:0

### II დივიზიონი

არბროთ — ისტ ფაიფი 0:2; პიტერჰედი — ალოა 2:2; ქუინზ პარკი — ბრეჩინი 0:0; რაითი — სტრანრარი 2:1; სტირლინგი — ეირი 2:0

### III დივიზიონი

ქოუდენბითი — ბერვიკი 2:0; ალბიონი — ბერვიკი 2:1; დამბარტონი — სტენჰაუზმური 1:0; ისტ სტირლინგი — ფორფარი 3:2; ელგინი — ქოუდენბითი 1:1; მონტროუზი — ანანი 0:3

### ასოციაციის თასი

ბრეჩინი — სტ მირენი 1:3; ფორფარი — ფორესი 6:1; სტ ჯონსტონი — რეინჯერსი 0:2

## აზიის ერთა თასი

ომანი — ყატარი 1:0; ს. არაბეთი — ქუვეითი 1:0

## მექსიკა

### პრიმერადივიზიონი

ტეკოსი — ინდიოსი 1:2; ჩიაპასი — ატლასი 2:1; მონტერეი — პუებლა 4:0; გვადალახარა — კრუს ასული 3:3; მონარკასი — სან ლუისი 0:0; ნეკაქსა — უნამი 1:2

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XVIII ტური

ჰერენვენი — ფეიენოორდი 3:1; გრაафსხაპი — ტილბურგი 1:0; დენ ჰააგი — ჰერაკლესი 2:2; ტვენტე — ვიტესი 2:1; ბრედა — უტრეხტი 1:1; როდა — პსვ 1:1; ნაიმეგენი — აიაქსი 2:4; სპარტა — გრონინგენი 1:1; ვოლენდამი — ალკმაარი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 18 | 13 | 3 | 2 | 33:11 | 42 |
| აიაქსი | 18 | 13 | 2 | 3 | 45:19 | 41 |
| ტვენტე | 18 | 11 | 4 | 3 | 35:17 | 37 |
| ჰერენვენი | 18 | 9 | 5 | 4 | 39:38 | 32 |
| პსვ | 18 | 9 | 4 | 5 | 31:18 | 31 |
| ბრედა | 18 | 9 | 3 | 6 | 27:26 | 30 |
| გრონინგენი | 18 | 8 | 3 | 7 | 37:25 | 27 |
| ნაიმეგენი | 18 | 7 | 5 | 6 | 27:22 | 26 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 5 | 6 | 24:22 | 26 |
| ტილბურგი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:27 | 24 |
| ჰერაკლესი | 18 | 5 | 6 | 7 | 19:28 | 21 |
| სპარტა | 18 | 5 | 5 | 8 | 31:36 | 20 |
| ფეიენოორდი | 18 | 5 | 4 | 9 | 31:29 | 19 |
| დენ ჰააგი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:28 | 16 |
| გრააფსხაპი | 18 | 4 | 4 | 10 | 13:34 | 16 |
| როდა | 18 | 3 | 6 | 9 | 22:35 | 15 |
| ვიტესი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:32 | 15 |
| ვოლენდამი | 18 | 3 | 2 | 13 | 19:47 | 11 |

### ერსტე დივიზიონი

აპელდორნი — ვალვაიკი 2:2; დენ ბოსხი — ექსელსიორი 0:0; დორდრეხტი — ოსი 2:0; ეინდჰოვენი — ტელსტარი 1:4; ჰაარლემი — კამბური 0:1; ომნივოლდი — ემენი 1:0; სიტარდი — ჰელმონდი 3:1; ვეენდამი — მაასტრიხტი 1:0; ვენლო — როზენდალი 3:1; იგლზი — ზვოლე 0:1

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

ქერსვსი — ჰევერფორდვესტი 1:0; კარმარტენი — აბერისვითი 2:1; დრუიდსი — პრესტატინი 3:2; ველშპული — კარნაფორდი 1:1; აირბასი — ლანელი 0:4; ბანგორი — ნითი 0:1; კონაჰი — პორტ ტალბოტი 0:2; რილი — პორთმადოგი 2:0; ტნს — ნიუთაუნი 1:1

## კვიპროსი

### I დივიზიონი

ეთნიკოსი — დოქსა 2:0; ლარნაკა — ალკი 1:1; პაფოსი — ანორთოსისი 2:2; ომონია — აპოელ 0:1; კინირასი — ათრომიტოსი 3:1; პარალიმნი — აპოლონი 0:3

### თასი

ერმისი — ლაკატამიასი 3:1; ლარნაკა — კინირასი 0:2; ომონია — დიგენისი 3:1; პაფოსი — ლიმასოლი 0:1

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XVIII ტური

პანსერაიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; ტრიპოლისი — ფილისი 3:0; ირაკლისი — აეკ 0:1; ლევადიაკოსი — ერგოტელისი 4:0; ოფი — პანიონიოსი 2:0; ქსანთი — ლარისა 1:1; პანათინაიკოსი — არისი 4:0; პაოკ — პანთრაკიკოსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 14 | 3 | 1 | 31:7 | 45 |
| პანათინაიკოსი | 18 | 10 | 6 | 2 | 34:13 | 36 |
| პაოკ | 18 | 10 | 6 | 2 | 21:9 | 36 |
| აეკ | 18 | 7 | 10 | 1 | 21:16 | 31 |
| ლარისა | 18 | 6 | 8 | 4 | 23:17 | 26 |
| პანიონიოსი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:22 | 25 |
| არისი | 18 | 6 | 6 | 6 | 14:18 | 24 |
| ლევადიაკოსი | 18 | 6 | 4 | 8 | 16:16 | 22 |
| ქსანთი | 18 | 5 | 7 | 6 | 12:13 | 22 |
| ირაკლისი | 18 | 5 | 7 | 6 | 15:18 | 22 |
| ერგოტელისი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:28 | 22 |
| პანთრაკიკოსი | 18 | 6 | 4 | 8 | 11:18 | 22 |
| ტრიპოლისი | 18 | 3 | 8 | 7 | 17:20 | 17 |
| ოფი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:31 | 14 |
| ფილისი | 18 | 3 | 3 | 12 | 15:31 | 12 |
| პანსერაიკოსი | 18 | 2 | 5 | 11 | 9:26 | 11 |

### თასი

ვერია — პანიონიოსი 0:0; პანთრაკიკოსი — პანათინაიკოსი 0:4; პაოკ — არისი 0:0; ეგროტელისი — ქსანთი 0:3

## ინგლისი

### პრემიერლიგა

**ტოტენჰემი 1:1 პორტსმუთი**

0:1 ნუგენტი (59), 1:1 დეფო (70)

გაფრთხილება: დევისი, ქაბული (პორტსმუთი)

### I ლიგა

სუინდონი — სტოკპორტი 1:1; იოვილი — სკანთოპი 1:2; ჰარტლპული — ნორთჰემპტონი 2:0; ბრაიტონი — ლიდსი 0:2; კარლაილი — მილტონი 3:2; კოლჩესტერი — ჩელტენემი 3:1; ქრიუ — სკანთორპი 3:2; ჰერეფორდი — ოლდემი 5:0; ჰადერსფილდი — სუინდონი 2:1; ლეიტონი — ბრისტოლი 1:2; მილუოლი — ტრანმერი 1:0; პიტერბრო — უოლსოლი 1:0; სტოკპორტი — საუთენდი 3:1

### II ლიგა

ჩესტერი — ლუთონი 2:2; ალდერშოტი — მაკლსფილდი 1:1; ბარნეტი — დაგენემი 1:1; ბრეტფორდი — აკრინგტონი 1:1; ბრენტფორდი — ნოთსი 1:1; ჩესტერი — ჩესტერფილდი 1:3; დარლინგტონი — ლუთონი 5:1; ექსეტერი — ბარი 0:0; მორეკომბი — ჯილინგემი 0:1; პორტ ვეილი — შრიუსბერი 1:1; როჩდეილი — ლინკოლნი 2:2; როტერჰემი — ბორნმუთი 1:0; უიკომბი — გრიმსბი 0:1

### კონფერენსლიგა

ტორკი — რექსემი 1:1; კემბრიჯი — უოკინგი 4:1; ებსფლითი — რაშდენი 1:0; ფორესტ გრინი — ისტბორნი 1:2; გრეისი — ბარტონი 0:1; კიდერმინსტერი — ვეიმუთი 0:2; მანსფილდი — ქრიული 1:0; ნორთვიჩი — ჰისტონი 1:2; ოქსფორდი — ალტრინჩემი 1:0; სტივენეიჯი — ბაროუ 3:0; იორკი — ლიუისი 3:0

### სამხრეთ კონფერენსლიგა

ბასინგსტოკი — ბონგორი 0:0; ბრაინთრი — ისტლი 1:1; დორჩესტერი — ვორჩესტერი 3:1; ფიშერი — ნიუპორტი 1:3; ჰავანთი — ჩელმსფორდი 1:1; ჰაიესი — ბათი 2:2; მეიდენჰედი — უიმბლდონი 0:4; სტ ალბანსი — ბრომლი 4:5; თიმ ბათი — ჰემპტონი 0:2; თაროკი — ვესტონი 0:1; უელინგი — სტორტფორდი 1:3

### ჩრდ. კონფერენსლიგა

ალფრეტონი — ჰეროგეითი 4:1; დროილსდენი — გეითჰედი 0:0; ფარსლი — კინგსლინი 1:1; ჰინკლი — ვოქსჰოლი 2:3; სოლიჰალი — სტალიბრიჯი 0:2; სტეფორდი — ბარსკო 0:2; თამვორთი — ჰაკნალი 1:1; ტელფორდი — ჰაიდი 2:3; ვორკინგტონი — გეიმსბრო 5:0

### ასოციაციის თასი

ბირმინგემი — ვულვზი 0:2; ბრისტოლი — პორტსმუთი 0:2; ბარნლი — ქუინზ პარკი 2:1 დ.დ. (1:1); ჩელტენემი — დონკასტერი 0:0; ქრიუ — მილუოლი 2:3; ჰისტონი — სუონსი 1:2; ლეიტონი — შეფილდი 1:4; ნორვიჩი — ჩარლტონი 0:1; პიტერბრო — ვესტ ბრომვიჩი 0:2; ნიუკასლი — ჰალი 0:1; კრისტალ პალასი — ლესტერი 2:1; საუთენდი — ჩელსი 1:4

### FA ტროფი

ბაროუ — ვორკინგტონი 0:3; ბასინგსტოკი — რექსემი 1:2; ებსფლიტი — სთალიბრიჯი 2:1; ფარნბორო — სტივენეიჯი 0:2; ჰედნესფორდი — უელინგი 4:3; ილკესტონი — კიდერმინსტერი 3:5; ლიუისი — ჰავანთი 3:3; ოქსფორდი — იორკი 1:2; საუთპორტი — დარჰემი 3:1; ტელფორდი — ჰაიესი 4:0; აქსბრიჯი — სუინდონი 1:6; კემბრიჯი — ქრიული 0:5; კეტერინგი — ტივერტონი 1:1 (4:1პ)

## პორტუგალია

### ლიგის თასი

ნასიონალი — პორტუ 2:1; სეტუბალი — აკადემიკა 1:2; ბელენენსეში — გიმარაეში 0:0; ბენფიკა — ოლიანენსე 4:1; მარიტიმუ — ფერეირა 2:1; რიუ ავე — სპორტინგი 0:1; ბენფიკა — ბელენენსეში 1:0; პორტუ — აკადემიკა 1:0; გიმარაეში — ოლიანენსე 3:0; მარიტიმუ — რიუ ავე 1:2; სეტუბალი — ნასიონალი 1:0; სპორტინგი — ფერეირა 5:1



„ბილბაო" ორჯერ იგებდა და საბოლოოდ, ლიორენტეს ბოლო წუთის პენალტით გაიმარჯვა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი

**ბილბაო 2:2 ვალენსია**

0:1 ვილია (2), 1:1 გაბილონდო (17), 1:2 მორიენტესი (30), 2:2 მარტინესი (41), 3:2 ლიორენტე (90პ)

გაფრთხილება: გაბილონდო, მარტინესი, ოსიო, კამპო (ბილბაო), მატა, მორიენტესი, ფერნანდესი, ფერნანდესი (ვალენსია)

გაძევება: ფერნანდესი (90)

### კოპა დელ რეი

ალმერია — მალიორკა 1:1; ბეტისი — უნიონი 1:0; ესპანიოლი — პოლი ეხიდო 1:0; დეპორტივო — სევილია 0:3; ვალენსია — რასინგი 3:1დ.დ. (1:1); ვალიადოლიდი — ხიხონი 2:1; ბარსელონა — ატლეტიკო 2:1; ბილბაო — ოსასუნა 2:0



„იუვენტუსი" მარცხისგან ოლაფ მელბერგმა იხსნა

## იტალია

### სერია A

**ლაციო 1:1 იუვენტუსი**

1:0 ლედესმა (22), 1:1 მელბერგი (30)

გაფრთხილება: დაბო, რადუ, ლიხტშტაინერი, ბროკი (ლაციო), დელ პიერო, მოლინარო, სისოკო (იუვენტუსი)

### კოპა იტალია. 1/8 ფინალი

ინტერი — ჯენოა 3:1 დ.დ. (1:1); იუვენტუსი — კატანია 3:1

### სერია C1/A

პრო სესტო — პორტოგრუარო 1:1; ლენანო — ლეკო 0:2; ლუმეცანე — პადოვა 2:0; ნოვარა — მონცა 1:2; პერგოკრემა — საბენედეტეზე 2:1; პრო პატრია — რეჯანა 0:1; სპალ — ვერონა 0:1; ვენეცია — კრემონეზე 1:1; ჩეზენა — რავენა დღეს გაიმართება

### სერია C1/B

არეცო — სორენტო 6:5; კროტონე — პისტოიეზე 2:1; ფოჯა — პესკარა 2:0; გალიპოლი — პოტენცა 1:0; ლანჩანო — ბენევენტო 0:1; პერუჯა — კავეზე 0:0; ტერნანა — სტაბია 2:1

## აზიის თასი

### შესარჩევი მატჩები

ირანი — სინგაპური 6:0; სირია — ჩინეთი 3:2; ვიეტნამი — ლიბანი 3:1; იორდანია — ტაილანდი 0:0



2004 წლის 27 თებერვალს შვედმა ტომას ლუნდმენმა ბურთის თავით კენწვლის რეკორდი დაამყარა. მან ბურთი შეუსვენებლად 8 საათი, 32 წუთი და 3 წამი კენწლა.

# ანეკდოტები

— იცით, ჩემი ძმა 100 მეტრს 6 წამში გარბის!
— როგორ, მსოფლიოს რეკორდი ხომ 10 წამია?!
— ჩემმა ძმამ მოკლე გზა იცის.

☺ ☺ ☺

დღეს დიდი მატჩია! საქართველოს ნაკრები „სკუადრა აძურას" მასპინძლობს.

აი, მოედანზე გამოვიდნენ ქართველი ფეხბურთელები. ბრწყინვალე ჩაწოდება მარცხენა ფლანგიდან და გოოოოლ! მეკარის ბაქნიდან ლევან მჭედლიძემ თავით გაიტანა.

ახლა კი მოედანზე იტალიელი ფეხბურთელები გამოდიან...

☺ ☺ ☺

ეჰ, ლუდი გამითავდა და სანამ მოსატანად ვიყავი გასული, ჩვენებმა გოლი გაუშვეს. ყოველთვის ეგრეა, თამაშის დროს მეკარე ლუდზე არ უნდა წავიდეს...

☺ ☺ ☺

ცოლი ქმარს ეჩხუბება:
— ჩემ თავს ფეხბურთი გირჩევნია!
— ძვირფასო, ჰოკეი დაგავიწყდა.

☺ ☺ ☺

ჩვენმა ფეხბურთელებმა ერთხელაც გაახარეს გულშემატკივარი: ამჯერად ირლანდიელი...

# სახალისო ფოტო



# სპორტი და ისტორია

1989 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ პიკს უწია, სპორტისთვის კი არავის ეცალა, მსოფლიო ჰოკეიში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — ჰოკეის ნაციონალურმა ლიგამ რუსებს ფართოდ გაუღო კარი, თუმცა საკავშირო სპორტკომიტეტი ამ ამბავს მაინცდამაინც არ გაუხარებია და საბჭოელი ჰოკეისტების ოკეანისგაღმა მიგრაციას ხელს უშლიდა.

ნჰლ-ში წასული პირველი მერცხალი „კრილია სოვეტოვის" კაპიტანი სერგეი პრიახინი იყო, ვინაც მსოფლიოს უძლიერესი ლიგის კარი 28 მარტს შეაღო და „კალგარი ფლეიმზში" ჩაირიცხა. აი, ცსკა-ს ჰოკეისტმა ალექსანდრ მოგილნიმ სხვა გზა აირჩია. 9 მაისს ამერიკის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, თანხმობა მიიღო და „ბუფალოში" ამოჰყო თავი. ესესერში კი საქმე ალიძრა საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმცროსი ლეიტენანტის დეზერტირობის გამო, მაგრამ მალევე ჩაიფარცხა — საბჭოთა კავშირში პერესტროიკა მძვინვარებდა.





ალექსანდრ მოგილნი

# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

მაიკლ ოუენი კურდღელივით გარბის, რომელიც... რას მისდევენ ხოლმე კურდღლები? არ ვიცი, ნუ, ვთქვათ, სხვა კურდღლებს.

თვითმფრინავის ფრენის ტრაექტორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქრის.

მათ საყურადღებოდ, ვინც მატჩს შავ-თეთრ ტელევიზორში უყურებს: „ტოტენჰემი" ყვითელი მაისურებით თამაშობს.

მეკარემ იმაზე შორს ისროლა ბურთი, ვიდრე მე სამსახურში დავდივარ.

მოედანი საუკეთესო მდგომარეობაშია, ანუ ტრავმის მიღება ძალიან იოლია.

ეს თქვენ ჭადრაკი არ გეგონოთ, ფეხბურთია! აქ ცოცხალი ადამიანები თამაშობენ.

# სარბიელის კვირის რეიტინგი

1. შოთა ხაბარელი (კვირის მთავარი სკანდალის ავტორი); 2. თემურ ქეცბაია (მე-17 ადგილი მსოფლიოში საკლუბო მწვრთნელებს შორის), 3. ზაზა ფაჩულია (14 ქულა და 8 მოხსნა ნბა-ში); 4. მანუჩარ მარკოიშვილი (17 ქულა ევროჩელენჯზე); 5. ნიკა მეტრეველი (ახალგაზრდული ევროლიგის საუკეთესო ცენტრი); 6. თორნიკე შენგელია (დებიუტი „ვალენსიას" მთავარ გუნდში); 7. ვიქტორ სანიკიძე (17 ქულა და 11 მოხსნა ესტონეთის ჩემპიონატში); 8. გიორგი ფოფხაძე (ახალი კონტრაქტი დანიურ „ვიბორგთან"); 9. დავით კვირკველია (რუსების გამოკითხვით, „რუბინის" შეუცვლელი ფეხბურთელი); 10. შოთა გრიგალაშვილი (ტრანსფერი „ზესტაფონში")



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გია ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაგდა ლოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge